საპარიკმახერო საქმე

სახელმძღვანელო მომზადებულია „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითრების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს თმის სტილისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის პროფესიის ათვისებაში ხელშეწყობას.

სახელმძღვანელოს მიზანია, დაინტერესებულ პირებს გააცნოს პროფესიული საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები: საპარიკმახერო ინსტრუმენტები, მათი დანიშნულება და გამოყენების წესები; ვარცხნილობების სახეები, მათ შორის კრეატიული, მათი შეჭრისა და დავარცხნის წესები. სახელმძღვანელო მოიცავს ვარცხნილობების შესარჩევ პრაქტიკულ რჩევებს, თავის ფორმისა და თმის ტიპის მიხედვით. ასევე მოცემულია, ქიმიური დახვევის სახეები, წესები და რეკომენდაციები მათი შესრულებისა და დახეევევის შემდგომ თმის მოვლის შესახებ.

სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილში აღწერილია საპარიკმახერო საქმის ისტორია, რაც სტუდენეტებს მისცემს მეტ ინფორმაციას, მათი პროფესიისა და ვარცხნილობების მოდის ჩამოყალიბება-განვითარების შესახებ. ასევე უქმნის საჭირო ლექსიკური მარაგს მომავალი პროფესიის მარტივად ათვისებისათვის.

წიგნის ავტორი: ნატალია თოლორაია

თანაავტორი: სვეტლანა დათაშვილი, ნათია მორჩილაძე

რეცენზენტები: სვეტლანა დათაშვილი, ელენა ვარდანიან

© 2015, სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

სარჩევი

საპარიკმახერო ხელოვნების ისტორია ძველი ეგვიპტიდან XX საუკუნემდე	6
ძველი ეგვიპტის და ძველი აღმოსავლეთის საპარიკმახერო საქმე	6
საპარიკმახერო ხელოვნება ძველ საბერძნეთში	8
საპარიკმახერო ხელოვნება ძველ რომში	10
საპარიკმახერო ხელოვნება ევროპული შუა საუკუნეების ეპოქაში (V-XIV სს.)	12
საპარიკმახერო ხელოვნება აღორძინების ხანაში (XIV – XVI სს.)	13
საპარიკმახერო ხელოვნება ბაროკოს სტილის ხანაში (XVII ს-დან XVIII ს-ის შუამდე)	14
საპარიკმახერო ხელოვნება როკოკოს სტილის ხანაში (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი)	15
საპარიკმახერო ხელოვნება კლასიციზმის სტილის ხანაში (XVIII ს-დან - XIX საუკუნის დასაწყისი)	17
საპარიკმახერო ხელოვნება ამპირის (1800-1815წწ.) და ბიდერმეიერის (XIX საუკუნის შუა წლების) სტილის ხანაში	17
საპარიკმახერო ხელოვნება ეკლექტიკის ხანაში (XIX საუკუნის მეორე ნახევარი)	18
თმისა და კანის ტიპები	23
საპარიკმახერო ინსტრუმენტები	46
სანიტარია და ჰიგიენა, სამუშაო ადგილის ორგანიზება	59
საპარიკმახერო საქმე	68
თავის არეები	68
კეფის ზედა არე	68
ფრონტალური თხემის არე	69
საფეთქელ-გვერდითა არეები	70
თავის ზონების დახასიათება	71
თავის დაბანა/ დაბანისა და მოვლის საშუალებები	74
თმის შეჭრა	82
თმის შეჭრის ძირითადი წესები	82
თმის დაყოფა თავის ზონების მიხედვით	82
თმის შეჭრა	84

გრადუირება	85
ტუშირება	86
ფილირება	87
კონტურის შემოვლება	87
მამაკაცის თმის შეჭრა	90
ქალის თმის შეჭრა	100
ვარცხნილობა „კარე“	100
ვარცხნილობა „იტალიანკა“	102
ვარცხნილობა „ქუდი“ („შაპოჩკა“)	104
ვარცხნილობა „ბობ-კარე“	105
ვარცხნილობის შერჩევა სახის ფორმის მიხედვით	110
ვარცხნილობის ძირითადი ფორმები	111
სახის ფორმის განსაზღვრა	112
თმების დაყოფა ზონებად	112
კრეატიული ვარცხნილობები	120
„დაუდევარი“ ვარცხნილობები	121
მოკლე „დაუდევარი“ ვარცხნილობები	122
გრძელი „დაუდევარი“ ვარცხნილობები	123
ვარცხნილობა „გარსონი“	124
ვარცხნილობა „პაჟი“ (ვარცხნილობა „სესუნი“)	127
ვარცხნილობა ”კარე”	131
მოკლე „კარე ფეხებზე“	136
ასიმეტრიული ვარცხნილობები	137
ვარცხნილობა ”ქუდი”	140
ვარცხნილობა ”ბობი”	142
ვარცხნილობა ”კასკადი”	145
ვარცხნილობები მოკლე თმისათვის	150
ვარცხნილობა „ტალღა შუბლზე“	150
მოკლე ვარცხნილობა ”ჯაგრისი”	151
ვარცხნილობა ”სოკო”მოკლე თმისთვის	152

”კიბისებური ბობი”	153
მოკლე ვარცხნილობა ”თოჯინა”	153
”პიორიშკები”	154
ვარცხნილობა „გარსონი“	155
ვარცხნილობა „სველი კულულები“	156
საშუალო სიგრძის თმის ვარცხნილობები	158
ვარცხნილობა „კარე“ საშუალო თმისთვის	158
ვარცხნილობა საშუალო თმისთვის „ტალღოვანი ქუდი“	159
ვარცხნილობა „ნიკაპამდე“	159
ვარცხნილობა ”შიდა ტალღა”	160
ვარცხნილობა ”პაჟი” საშუალო სიგრძის თმაზე	160
რკალისებური ვარცხნილობა	162
ვარცხნილობა ”ფოჩები”	163
ვარცხნილობა „კიბისებური ტალღები“	164
კლასიკური ”კარე” (”ბობი”)	164
ვარცხნილობა ”ხვეული კარე”	165
ვარცხნილობა „კასკადი“ გრძელ თმებზე	166
ვარცხნილობა „კიბეები“	168
თმის დახვევა	174
ბიგუდები - თმის დახვევის მარტივი ინსტრუმენტები	174
ქიმიური დახვევა	180
თმის გასწორება	189
თმის გასწორება ფენით	189
თმის გასწორება თმის უთოთი	191
თმის გასწორება კერატინით	192
თმის აბრეშუმისებრი გასწორება (SILIS)	194
ბიბლიოგრაფია	197

ძველი ეგვიპტიდან XX საუკუნემდე

საპარიკმახერო საქმე დაიწყო იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანს თავის წარმოსაჩენად საკუთარი სახის გალამაზება მოუნდა. პირველყოფილმა ადამიანმა ჩაიხედა მდინზონაში, დაინახა თავისი თავი და გაიფიქრა, რომ ლეოპარდის ზონარით აწეული მისი ქოჩორი უფრო საინტერესოდ გამოჩნდებოდა, ვიდრე უბრალოდ ჩამოშლილი. „რატომაც არა?“ - გაიფიქრა უძველესმა ადამიანმა და პრაქტიკულად განახორციელა თავისი ჩანაფიქრი.

შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, პირველი ვარცხნილობა გამოირჩეოდა თავისი სილამაზით თანატომელების თავების საერთო მასიდან, ხოლო მისი პრაქტიკულობა უბრალოდ გასაოცარი იყო. პირველმა „დეფილემ“ კარგად ჩაიარა. გაოცებულმა თანატომელებმა ასეთივე თავსაკრავები მოინდომეს... აი, ასე, ან დაახლოებით ასე, დაიბადა ხელოვნების ახალი სახე - საპარიკმახერო საქმე.

ვარცხნილობის ფორმირება ხდებოდა საზოგადოების, კლიმატური პირობების და ბევრი სხვა ფაქტორის ზეგავლენით. სილამაზის ცნება იცვლებოდა საუკუნეების მანძილზე და ის, რაც ლამაზად და მომხიბვლელად მიიჩნეოდა ერთ პერიოდში, მოგვიანებით ულამაზო და უშნო ჩანდა, და პირიქით. მაგრამ ერთი რამ ყოველთვის უცვლელი რჩებოდა - ადამიანის მისწრაფება გამორჩეული ყოფილიყო სხვებისგან, ხაზი გაესვა თავისი ინდივიდუალობისთვის.

ძველი ეგვიპტის და ძველი აღმოსავლეთის საპარიკმახერო საქმე

საპარიკმახერო საქმე სათავეს იღებს ძალიან ძველი დროიდან. განვიხილოთ საპარიკმახერო ხელოვნება ძველ მსოფლიოში.

ეგვიპტელები ძველად პარიკებს ატარებდნენ. გულმოდგინედ დაწნული თმები შეჭრილი იყო ერთ სიგრძეზე, ყურს ქვევით (პირველი „კარე“), შუბლზე შეჭრილი თმა (ე.წ. „ჩოლკა“) ან ნაწნავები უკან იყო გადაწეული, და თავზე დამაგრებული იყო სალტით ან დიადემით, იყენებდნენ სავარცხელს (ე.წ. „გრებენს“), თმის სარჭებს. ძვირფასი მასალისგან დამზადებულ პარიკებს ქურუმები ხმარობდნენ, ხოლო შემდგომში გაბატონებული კლასის წარმომადგენლები.

მოდური ფერი იყო მუქი ყავისფერი ან შავი. იყენებდნენ ბუნებრივ საღებავს - ინას. წარმოვიდგინოთ ძველი ეგვიპტის პორტრეტული ქანდაკების დღემდე შემონახული საუკეთესო ნიმუშები. ნოფრეტის ქანდაკება (ძველი ეგვიპტე, დაახლოებით 2700-2500 წ.წ. ჩვ. ერამდე, კაიროს მუზეუმი), რომელიც შესრულებულია რბილი კირქვისგან, მოხატულია ქალის ქანდაკებისთვის იმ დროისთვის მიღებული მოყავისფრო-ყვითელი ფერით, თვალები აქვს რუხი-ცისფერი ფერის, რომელიც გაკეთებული იყო მორუხო-ცისფერი ქალცედონისგან (საფირისგან), თმები კოხტად დაწნულია და შეჭრილია მხრებამდე, თავს უმშვენებს სიმბოლურგამოსახულებიანი დიადემა. იმ დროში, რომელიც მიეკუთვნებოდა ფარაონის V დინასტიას (ჩვ. ერამდე III ათასწლეულის შუა ხანა), მოითხოვნდენ პორტრეტული ქანდაკების აბსოლუტურ მსგავსებას პროტოტიპთან, რამეთუ ეგვიპტური



რელიგიის მიხედვით, სიცოცხლის ძალას („კას“) და ადამიანის სულს („ბას“) ადამიანის სიკვდილის შემდეგ კვლავ შეეძლოთ მოენახათ თავისი მიწიერი გარსი. ასე გაჩნდა რეალისტური სკულპტურული პორტრეტი, რომლის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ვარცხნილობაზეც. ეს არის XV საუკუნის დასასრული და XIV საუკუნის დასაწყისი ჩვენს ერამდე.

ნეფერტიტის ეპოქა, რაც ძველეგვიპტურად ნიშნავს „ლამაზმანი მოვიდა“, დღესაც კი გვხიბლავს ძველეგვიპტელი დედოფლის სკულპტურული სახე თავისი გასაოცარი ვარცხნილობით. ეს იყო, კანზე წასასმელი სხვადასხვა შიგთავსის ნელსაცხებლების შექმნის ხელოვნების აყვავების ეპოქა. მალამოებში და სურნელებში ძველი ეგვიპტელები ერკვეოდნენ ისე, როგორც არავინ დედამიწის ზურგზე. მამაკაცები ძველ ეგვიპტეში წვერს იპარსავდნენ ქვის ან ბრინჯაოს საპარსებით, მაგრამ დარბაზობის დროს ფარაონი იკეთებდა პარიკს და მისაწებებელ წვერს, უბრალო ხალხი კი ატარებდა გაშლილ თმას.



ძველ აღთქმის წიგნებში მითითებულია გრძელი თმის, როგორც მამაკაცური სილამაზის და ძალის გამომხატველ მნიშვნელობაზე. სამსონის ძლიერების საიდუმლო მის თმაშია და როგორც კი მას კარგავს, სამსონს ძალა ეცლება. მშვენიერი ტალღოვანი ქალური თმები აღაფრთოვანებენ და გულს ავსებენ მთრთოლვარე სინაზით - გავიხსენოთ „სიმღერათა სიმღერა“... უფლისწული აბესალომი ასე გამოიყურება - ყმაწვილი ფაფუკი ხშირი ტალღოვანი თმებით. მამაკაცები ატარებდნენ გრძელ, უკან გადავარცხნილ თმებს. შუბლზე ჰქონდათ სპირალურად დახვეული კულულები, ხოლო ყურებთან და კისერზე - რკალისებურად.

საპარიკმახერო ხელოვნება ძველ საბერძნეთში

თვლიან, რომ ძველ საბერძნეთში საკარიკმახერო ხელოვნება ყველაზე განვითარებული იყო. სიტყვა „კოსმეტიკა“ ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს „გალამაზების ხელოვნებას“. ბერძნებმა იცოდნენ სამკურნალო კოსმეტიკური საშუალებების ბევრი საიდუმლო, ქვეყანაში გამეფებული იყო ადამიანის სხეულის კულტი, ვარცხნილობები შესრულებული იყო

ოსტატურად და საგულდაგულოდ. ქალები და მამაკაცები სხვადასხვა მეთოდით იწნავდნენ თმებს და იხვევდნენ მათ რკინის ღეროებზე, რომლებსაც კალამისებს ეძახდნენ, ხოლო ამ საქმის ოსტატებს - კალამისტრებს. ვარცხნილობა დიდხანს კეთდებოდა, რადგან რთული და ძნელი შესასრულებელი იყო. ამასთან ერთად, ელფერის მისაცემად იყენებდნენ მცენარეულ არომატიზირებულ ფხვნილებს. ქალების უმრავლესობას უნდოდა მოვერცხლისფრო ან ოქროსფერი თმები ჰქონოდა.



ბერძენი ქალების მძიმე და სქელი თმები ოსტატურად და ლამაზად იყო კეფაზე შეკრული და მორთული დიადემებით, მძივებით, სალტეებით და ბაფთებით.

ტანსაცმლის სამკაულები, ტანსაცმლის სტილი და ვარცხნილობა სრულიად შეესაბამებოდა ელინების ცხოვრების ყაიდას. ბერძენი ქალების ვარცხნილობებზე წარმოდგენა გვექმნება, როცა ვათვალიერებთ ძველი ბერძნების ხელოვნების ნაწარმოებებს: ფუმფულა თმები, დახვეული კულულები გაყოფილია შუაზე, შუბლიდან და გვერდებიდან გადავარცხნილია უკან და კეფაზეა შეკრული კვანძად.

როგორ გამოიყურებოდნენ ქალები, რომლებიც შევიდნენ ძველი საბერძნეთის ისტორიაში? აი, მაგალითად, ასპაზია, რომელიც გამოირჩეოდა დახვეწილი სახის ნაკვთებით, არის ძველი სამყაროს ერთერთი გასაოცარი ქალბატონი, რომელსაც შეეძლო ფილოსოფიურ საკითხებზე ემსჯელა სოფოკლესთან, სოკრატესთან, „ისტორიის მამაად“ ცნობილ ჰეროდოტესთან... მას ჰქონდა შესანიშნავი ვარცხნილობა: ფრონტალური ზონის თმები დაყოფილია პატარ-პატარა ნაწილებად, რომლებიც შუბლზე ეყრება და ნაწნავებად აქვს დაწნული, რაც მერე კოხტადაა კეფაზე გადატანილი.

საპარიკმახერო ხელოვნება ძველ რომში

საიმპერატორო რომში ძალიან აფასებდნენ ღია ფერის თმებს და ღია ფერის პარიკებს. არაა გამორიცხული, რომ გერმანული ტომების ქერა ლამაზმანები მოსვენებას უკარგავდნენ რომაელებს. დიდგვაროვანი რომაელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თავიანთ გარეგნობას: კოსმეტიკით ყოველდღე სარგებლობდნენ. საპარიკმახერო ხელოვნება ვირტუოზული გახდა, ქალური ვარცხნილობები - ძნელად მისახვედრი. მათზე ლექსებს თხზავდნენ და ღვარძლიანი ეპიგრამები იწერებოდა. მოდაში იყო კარგად დახვეული თმა, რომელსაც მერე იჩეჩავდნენ. ის, ვინც ვერ დაიკვეხნიდა მშვენიერი თმით, ხმარობდა პარიკს.

რომაულ თერმებში (აბანოებში) მონა-კოსმეტები ტანზე მასაჟს უკეთებდნენ პატრიციებს, ვირტუოზი-ოსტატები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ვარცხნილობების გამოგონებაში.

გამოიგონეს თმის ფერის შესაცვლელი საშუალება: მუქიდან - ღიაში. სამწუხაროდ გამოგონების საიდუმლო არ შემოინახა. იმ დროს, რომაელებმა დაიწყეს თმის შეჭრა: მამაკაცები ატარებდნენ კოხტად შეჭრილ მოკლე თმას, იპარსავდნენ ულვაშებს და წვერს. დროთა განმავლობაში ძველრომაელმა ოსტატებმა შექმნეს თავიანთი სტილი: ვარცხნილობები, რომლებიც ადრე ბერძნულ ხასიათს ატარებდნენ, ლაკონურები გახდნენ, გამოირჩეოდნენ ფორმის შემცირებით, მრავალფეროვნებით (დაიწყეს

”გამოგონებები” თმების დაწნაში, კულულებიანი თმის ვარცხნილობაში, თმების გაღიავებაში).

მდიდარი რომაელები ატარებდნენ საიუველირო სამკაულებს: დიადემები ამშვენებდნენ მათ გაშლილ შუბლებს, საყურეები ალამაზებდნენ მორთულობას. დაბალი ფენის ქალები თავზე მანდილს იფარებდნენ. შემორჩენილია ასევე რომის საიმპერატორო ვარცხნილობები, კლავდიუსის მეუღლის, მესალინა ვალერიას გამოსახულებაზე ჩანს - ლამაზი თავი, თმები დაყოფილია შვეულად, დაწნულია წვრილ-წვრილ ნაწნავებად და შეკრულია კეფაზე.

საპარიკმახერო ხელოვნება ევროპული შუა საუკუნეების ეპოქაში (V-XIV სს.)

შუა საუკუნეებში შეიქმნა მშვენიერი ქალის კულტი, გაჩნდა მისთვის რაინდული თავგანწირვის იდეა, სასიყვარულო ლირიკა. გავიხსენოთ, მაგალითად, ტრისტანის და იზოლდას საოცარი სიყვარულის ამბავი, როცა ტრისტანი სიყვარულით აღინთო, როგორც კი მერცხლის მიერ მოტანილი იზოლდას თმა დაინახა. პოეტების დახმარებით იოლი წარმოსადგენია მაშინდელი ქალის იდეალი: მშვენიერი, ნაზი და თხელი, შროშანივით თეთრი კანით და დიდი ცისფერი თვალებით. გრძელი ოქროსფერი კულულები წელამდე სწვდებოდა. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია ყმაწვილქალებისათვის გაშლილი თმის ტარება. გათხოვილ ქალებს თმები უნდა დაემალათ, რათა მხოლოდ ქმარს - მის ბატონს და მბრძანებელს - შესძლებოდა მისი სილამაზით ტკბობა. სილამაზის აუცილებელ პირობას კულულები წარმოადგენდა. მათ იხვევდნენ რკინის სახვევით და სპეციალურად გაცხელებული ჩხირების დახმარებით. თუმცა ქალის ბუნებრივ სურვილს, უკეთ გამოიყურებოდეს, ვიდრე სინამდვილეში არის, მორალის მქადაგებელნი ცოდვად მიიჩნევდნენ. „ისინი, ვინც თმებს იხვევენ, ჯოჯოხეთში უნდა წავიდნენ, რამეთუ სხვა გზა მათ არა აქვთ“, - ეს რეპლიკაა შუა საუკუნეების ერთერთი პიესიდან.

გვიანი შუასაუკუნეების ხანაში ეკლესიის მითითებით ქალებს თავზე ჩაჩი, თავსაფარი, თავსაბურავი უნდა დაეფარათ. ქალის დაუფარავი თმები ცოდვად ითვლებოდა. ისინი ატარებდნენ გრძელ შუაზე გაყოფილ თმებს, იწნავდნენ მათ და უკან (კეფაზე) იკრავდნენ, ვარცხნილობას ლამაზად რთავდნენ. ყმაწვილქალებიც ნაწნავებს კოხტად იწნავდნენ, შიგ ბაფთებს იწნავდნენ და ზემოდან მანდილს იფარებდნენ.

მამაკაცების სტილი ასეთი იყო - უკან სადად გადავარცხნილი და შეკონილი თმა, თავისუფლად გაზრდილი წვერი და თმები.

აღსანიშნია, საპარიკმახერო ხელოვნება ამ ეპოქაში არც ისე განვითარებულა. თუმცა გვიანი შუასაუკუნეების ბოლოს ქალებმა ისევ მიიღეს ისეთი შესახედაობა, რომელიც ბერძნულ ვარცხნილობას წააგავდა. „საზოგადოება ციკლურად ვითარდება, და ეს ციკლები მეორდება“ (ფილოსოფოსი არნოლდ ტოი-ბი). ხანგრძლივი შუასაკუნებრივი მარხვის შემდეგ იწყება საყოველთაო ევროპული ნადიმი: ბოკაჩოს „დეკამერონმა“ შეცვალა ბიბლია; აღარავინ ცხოვრობდა ჰოროსკოპების, წინასწარმეტყველების გარეშე - მოაბიჯებდა ცხოვრებით ტკბობის ეპოქა, აღორძინების ხანა.

საპარიკმახერო ხელოვნება აღორძინების ხანაში (XIV – XVI სს.)

აღორძინების ხანაში ყველა მიისწრაფოდა ცხოვრებისგან სიამოვნება მიეღო აქ, დედამიწაზე, და არა ზეცაში. „ოოო! რა მშვენიერია ახალგაზრდობა, და რა რიგ ხანმოკლე! იმღერე, იცინე, ბედნიერი იყავი, ვისაც ბედნიერება უნდა, და ხვალის იმედი არ გქონდეს“, - წერდა თავის ლექსებში ლორენცო მედიჩი, ფლორენციის მმართველი.

დადგა სულ სხვა ეპოქა, რომელმაც ყველაფერი შეცვალა: ცხოვრება, ადამიანის ფილოსოფია და ფსიქოლოგია, ხელოვნება, არქიტექტურის სტილი.

სამხრეთში ქალები ძველებურად ცდილობდნენ ქერები ყოფილიყვნენ. ისინი საათობით ისხდნენ მწველი მზის ქვეშ ლოჯიებში, ეხურათ ფართო ფარლებიანი ქუდები, რომლებიც მათ გარუჯვისგან იცავდა (მოდაში თეთრი კანი იყო); ქუდ-სოლარიუმებზე ეფინათ თმების კულულები. ვარცხნილობაში აუცილებელი მოთხოვნა იყო გახსნილი მაღალი შუბლი. მეტი გამომხატველობისთვის ცდილობდნენ შუბლის სიმაღლე გაეზარდათ, ამისთვის შუბლს ზევით თმის ნაწილს იპარსავდნენ. ზოგჯერ იპარსავდნენ წარბებსაც. საპარიკმახერო ხელოვნებამ განვითარება დაიწყო. დაუბრუნდნენ ანტიკურ მემკვიდრეობას, ვარცხნილობები კვლავ რთული გახდა, იყენებენ ძვირფას სამკაულებს, ბუმბულებს და დიადემებს. ამის შესახებ შეიძლება ბოტიჩელის სურათებით ვიმსჯელოთ. რამეთუ მოდის მიმდევარი ლამაზმანი იყო სიმონეტა ვესპუჩი, რომელსაც არაერთხელ აუღელვებია სანდრო ბოტიჩელის გული (მისი ნაკვთები კარგად ჩანს ბოტიჩელის ცნობილ "ვენერაში"). მამაკაცების სტილი იყო მხრებამდე გრძელი თმა, ლილვაკისებურად დახვეული კულულები, რომელიც სახეზე და კისერზე იყო შემოხვეული, წვერი და ულვაშები გაპარსული.

საპარიკმახერო ხელოვნება ბაროკოს სტილის ხანაში

(XVII ს-დან XVIII ს-ის შუამდე)

XVII საუკუნის ნახევრიდან იბადება ახალი მხატვრული სტილი - ბაროკო, რომლის სამშობლო გახლავთ ესპანეთი. ბაროკო ძალიან სწრაფად გავრცელდა მთელ ევროპაში. საფრანგეთმა, ინგლისმა და სხვა ქვეყნებმა აითვისეს და განავითარეს ვარცხნილობები, რომელთა სტილი შეესაბამებოდა იმ დროის ჩაცმულობას: მაშინ მოდური იყო მაღალი

საყელოები ”ჟაბო” (ვარაუდობენ, რომ ფილიპე III-ის მეუღლეს ჰქონდა მაღალი კისერი და მან შემოიტანა მაღალი საყელოები), რომლებიც მოითხოვდნენ დიდი მოცულობის ვარცხნილობებს. მათ რთავდნენ ძვირფასეულობებით და იხურავდნენ ბერეტს.

XVII საუკუნის მეორე ნახევრი ეს არის ხანა, როდესაც ესპანეთი გათავისუფლდა მავრების ბატონობისგან და გადაიქცა უძლიერეს სახელმწიფოდ. იმდროინდელ ესპანურ კოსტუმს ადარებდნენ ოქროთი და ძვირფასეულობებით დატენილ სკივრს: ისინი თვალს სჭრიდნენ თავისი ფუფუნებით. რთულ ვარცხნილობებში ხშირად ბრწყინავდნენ ოქროსფერი და ვერცხლისფერი (პირდაპირი გაგებით) კულულები. მამაკაცების სტილი იყო მოკლედ შეჭრილი თმა, სოლისებურად შეჭრილი ულვაშები და წვერი (”ესპანური წვერი”).

1638 წლიდან იწყება საფრანგეთის ეპოქა. ის ხდება მოდის ფუძემდებელი. ბაროკოს სტილის ფრანგული მოდის აყვავების ხანაა XVII საუკუნის მეორე ნახევარი. ეს არის პარიკების საუკუნე, რომელიც მთელი ქონება ღირდა. ქალთა მოდაში გაბატონებული იყო რთული ვარცხნილობები, დამაგრებული მავთულის ჩონჩხედზე (კარკასზე). მოდაში შემოდის ვარცხნილობა ”ა ლა ფონტაჟი” ბაფთებით და მაქმანებით გაწყობილი, რომელთა შორის დაჭიმულია თმების კულულები.

სახელწოდება მიიღო მეფის ფავორიტი ქალის მარია ანჟელიკა დე ფონტაჟის სახელისგან. ლეგენდა გვიამბობს, რომ ერთხელ ნადირობის დროს მას თმები გაეშალა და ბაფთით შეიკრა. მეფე აღფრთოვანდა და სთხოვა დე ფონტაჟს სულ ასეთი ვარცხნილობა ეტარებინა. თავიდან ის იყო რბილი და დაბალი, მაგრამ მერე ქსოვილების გახამება და მათი მავთულის ჩონჩხედზე (კარკასზე) დაჭიმვა დაიწყეს. ვარცხნილობა დაემსგავსა მაღალ კოშკს. კარეტებსაც კი გადასახდელი სახურავებით აკეთებდნენ, სხვანაირად ქალი ვერ ჩაჯდებოდა ეკიპაჟში.

საპარიკმახერო ხელოვნება როკოკოს სტილის ხანაში

(XVIII საუკუნის პირველი ნახევარი)

მაგრამ ყველაფერი გადის, ყველაფერი იცვლება. ვინც მწვერვალს მიაღწია, ის ქვევით ვარდება. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ლუდოვიკო XIV სიცოცხლეშივე დაიწყო ფრანგული წოდებრივი მონარქიის დაცემა და ის რევოლუციამდე გაგრძელდა. "მეფე-მზე", რომელიც ამბობდა: "სახელმწიფო ვარ მე", უწინდებურად ზრუნავდა საფრანგეთის დიდებაზე. ხოლო ლუდოვიკო XV, რომელიც წუთითაც კი უარს არ ამბობდა აბსოლუტიზმზე, ფიქრობდა მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე. სხვა არაფერზე არ ფიქრობდა არც მისი გარშემომყოფი არისტოკრატიის უმრავლესობა. ეს იყო, სიამოვნებისთვის გაუმაძღარი დევნის დრო, მხიარულად, მაგრამ ფუჭად ცხოვრების დრო. მაგრამ როგორი ბინძურიც არ უნდა ყოფილიყო უსაქმური არისტოკრატების გართობები, მაშინდელი საზოგადოება უდავოდ გამოირჩეოდა დახვეწილი გემოვნებით, რამაც საფრანგეთი მოდის კანონმდებლად აქცია. და ეს დახვეწილი გემოვნება გამოიხატა მაშინდელ ესთეტიკურ ცნობიერებაში. ყველგან ვრცელდება ელეგანტური სიფაქიზე და გრძნობადი სიამოვნების სინატიფე.

1740 წელს ნირონი ერთერთ თავის ლექსში ცნობილი მხატვრის ბუშეს პირით ეუბნება ლუდოვიკო XIV-ის საყვარელს, ქალბატონ დე პომპადურს:



"სიმართლე რომ ვთქვათ, მე ვეძებ მხოლოდ
სინატიფეს, გრაციას, სილამაზეს,
სირბილეს, თავაზიანობას და მხიარულებას.
- მოკლედ, ყველაფერ იმას, რითიც
სუნთქავს გრძნობა ან სილაღე.
ყველაფერი ეს ზედმეტი თავისუფლების გარეშე,
ფარულად, როგორც ითხოვს
შარიანი ზნეობრიობა."

ბაროკოს მაგივრად დადგა ადრეული როკოკოს ხანა. არაბუნებრივმა დიდმა ვარცხნილობებმა ადგილი დაუთმეს პატარა, მოხდენილ, დახუჭუჭებულ კულულებს. გაჩნდა "დაპუდრული ვარცხნილობა". მოხდენილი და მომხიბვლელი მარკიზა დე პომპადური, რომელიც მეფის კარზე სულ ახალ-ახალი ვარცხნილობებით ჩნდებოდა, მისაბაძი გახდა. ლუდოვიკო XV აღფრთოვანებული იყო ამ პატარა, დაბალი ქალით, რომელმაც პირველმა შემოიტანა მაღალი ქუსლების მოდა და ბაროკოს სტილის მაღალი ვარცხნილობები დააპატარავა "პატარა ქალის" სტილის შესაბამისად.

შემდგომ, მარია ანტუანეტას დროს, საპარიკმახერო ხელოვნებამ ისეთი დიდი მნიშვნელობა შეიძინა, რომ უნიკალური ვარცხნილობების შექმნის შესასწავლად დაარსდა საპარიკმახერო აკადემიები. 1770 წლის შემდეგ გვიანი როკოკოს პერიოდში დადგა საპარიკმახერო ხელოვნების აყვავების ხანა. ამ დროს ქალბატონების თავებზე "თამაშდება" საზღვაო ბრძოლები პატარა იალქნიანი ნავებით, "ჰყვავის" სამოთხის ბაღები.... ადრეული როკოკოს ხანაში დაპატარავებული ვარცხნილობები საფუარივით იზრდება. პარიკმახერებს ოქროს ფასი აქვთ. პუდრა, რომელიც ფქვილისგან მზადდება, კილოგრამობით გამოიყენება.

საპარიკმახერო ხელოვნება კლასიციზმის სტილის ხანაში

(XVIII ს-დან - XIX საუკუნის დასაწყისი)

დიდი ფრანგული რევოლუცია გახდა "ფუჭი მარკიზების" ეპოქის დასასრული. მარია ანტუანეტას მოჰკვეთეს ლამაზი თავი. მისი სიკვდილით დასრულდა მთელი ეპოქა. მოდაში შემოდის კლასიციზმი, ანტიკურობის კულტი და რომაული სულისკვეთება. "დარბაზები ეწყობა ანტიკურ მანერაზე; გასაოცრად შეიცვალა ტანსაცმელი და ვარცხნილობა: აქაც

ყველაფერი გახდა "ა ლა ანტიკ" - ქალის ტანსაცმელი დაემსგავსა ქიტონებს, თმა დავარცხნილი იყო როგორც მოხდენილი დიადემა. მოდას აყოლილ ქალბატონებს უნდოდათ დამსგავსებოდნენ ძველ ქანდაკებებს. პირველად გაჩნდა ქალის მოკლე ვარცხნილობა. ვარცხნილობა "ა ლა ტიტუს" მოკლედ შეჭრილი და ბოლოში წვრილად დახვეული კულულებით გაჩნდა მათ სახსოვრად, ვინც თავისი დღეები გილიოტინაზე დაასრულა (სიკვდილის წინ თმებს აჭრიდნენ და კისერს აშიშვლებდნენ). სწორედ ასეა დავარცხნილი მადამ რეკამიე დავითის პორტრეტზე. მის თმებს ფართო ბაფთა იკავებს. ჟერარის პორტრეტზე იგივე მადამ რეკამიე დავარცხნილია "ა ლა გრეკის" სტილზე: თმები ერთადაა შეკრული და ამშვენებს დეკორატიული ნემსი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვარცხნილობა ხდება უფრო მარტივი და ბუნებრივი, ხშირად მხოლოდ ერთი სარჭს იყენებენ, ზოგჯერ კი უბრალოდ იკრავენ. კულულები აუცილებელია.

საპარიკმახერო ხელოვნება ამპირის (1800-1815წწ.) და ბიდერმეიერის (XIX საუკუნის შუა წლების) სტილის ხანაში

1800 წელს საფრანგეთში ხელისუფლებში მოდის ნაპოლეონ I და ჩნდება ამპირის სტილი (ე.წ. იმპერიის), რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო სხვადასხვა ხერხის გამოყენება კულულების გასაკეთებლად: მრგვალის, სპირალურის, ბრტყელის და ა.შ. კულულებს ალამაზებდნენ ბუმბულებით, თმის სარჭებით, სალტეებით. მამაკაცები ატარებდნენ საშუალო სიგრძის დავარცხნილ თმებს.

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ამპირის სტილი მოდიდან გადავიდა - მოვიდა ბიდერმეიერის სტილის დრო. ეს სტილი წარმოიშვა XIX საუკუნის 20-იან წლებში ვენაში. ეს იყო საპარიკმახერო ხელოვნების აყვავების დრო: ფაფუკი კულულები საფეთქლებთან

ეფინა, ხოლო კეფაზე შეკრულ დანარჩენ თმას სხვადასხვაგვარი ნახატის ფორმა ჰქონდა მიცემული. ვარცხნილობას რთავდნენ ბაფთებით, ვუალებით, ყვავილებით, მარგალიტებით, ატარებდნენ დიადემებს. ბიდერმეიერის პერიოდში ვარცხნილობა ჰგავდა დეკორატიულ არქიტექტურას. უპირატესობას, როგორც ყოველთვის, ანიჭებდნენ ქერათმიანებს. მამაკაცები ატარებდნენ ბაკენბარდებს, კულულებს შუბლის დასაწყისში, შუბლზე შეჭრილ მაღალ გაფორმებულ თმას (”ჩოლკას”), რომელიც არ ფარავდა შუბლს.

ამ ეპოქის განუმეორებელმა სტილმა წარმოქმნა რთული ვარცხნილობების გაკეთების ხელოვნება, იმ დროისთვის არსებული საპარიკმახერო მოწყობილობების გამოყენებით: თმების შეღებვის ხერხები და წყალბადის ზეჟანგით თმის გაუფერულება, რკინის დამხვევი ცხელი დახვევისთვის და სხვა - ყველა ეს მოწყობილობები (რა თქმა უნდა, გაუმჯობესებული) დღესაც გამოიყენება.

საპარიკმახერო ხელოვნება ეკლექტიკის ხანაში

(XIX საუკუნის მეორე ნახევარი)

1848 წლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა კაპიტალიზმის განვითარებას. საფრანგეთმა კვლავ მოიპოვა ზეგავლენა მოდის სფეროში. ვარცხნილობები გამარტივდა, მაგრამ გრძელი თმით გაკეთებული რთული ვარცხნილობები კვლავაც პოპულარულია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისამდე. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის მამაკის მოდას წარმოადგენს მოკლე შუაში გაყოფილი თმა და კოხტად გაპარსული ულვაშების და წვერის ფორმა, ხშირად ქვევით ორად გაყოფილი.

XIX საუკუნის ბოლო აღსანიშნავია ტექნიკური აზრის მიღწევებით: 1881 წელს ფრანგმა

მარსელმა გამოიგონა რკინის დამხვევები თმის ცხელი დახვევისთვის, 1884-1885 წლებში მან გააუმჯობესა გერმანელი ფიშერის მიერ გამოგონებული ქიმიური საშუალებების გამოყენებით თმების დახვევის მეთოდი. 1904 წელს წარმოშობით გერმანელმა შარლ ნესტლემ გამოიგონა ქიმიური საშუალებების და გათბობის გამოყენებით თმის ხანგრძლივი დახვევის მეთოდი. ამ დროს მოდაში შემოვიდა მოკლე, ქალური, გეომეტრიული შეჭრა. პირველმა მსოფლიო ომმა ქალები აიძულა მამაკაცური პროფესიები აეთვისებინა. ქალს ფართო ნაბიჯებით უნდა ევლო, მას მოხერხებული ტანსაცმელი სჭირდებოდა და დრო აღარ რჩებოდა კულულების დასახვევად. მოდაში შემოდის ახალი სახე - "ბიჭური" ქალი მოკლე კაბაში და გეომეტრიული ფორმის მოკლედ შეჭრილი თმებით. ეს იყო რევოლუცია. მოდაზე სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს კინო, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ხმოვანი. ბოლო წუთებს ითვლიდა ქალის ძველებური იდეალი, განსახიერებული ლილიან და დოროთი გიშების მიერ, განსაკუთრებით კი, მერი პიკფორდისა - მიამიტი და უწყინარი ოქროსთმიანი ანგელოზები. მერის ძნელად მისახვედრი ვარცხნილობა გადაიქცა მის საფირმო ნიშნად. ის ასე გამოიყურებოდა: თმების უზარმაზარი მასა, კოხტად გაყოფილი 18 დაჭიმულ კულულად (ორი ამჟამად ინახება ჰოლივუდში, კინოს მუზეუმში). მაგრამ პიკფორდის განსახიერებული სილამაზე გამოიყურება ძველმოდურად. გაჩნდა ქალი-ვამპი. XX საუკუნის ოციანი წლები ეს ის იშვიათი ეპოქაა, როცა, ბოლოსდაბოლოს, დამთავრდა ქერა ქალების ბატონობა. ეკრანზე და ცხოვრებაში გაბატონდნენ ისეთი ქალები, როგორებიცაა ასტა ნილსენი, ტედა ბარა, ფრანჩესკა ბერტინი, - თხელი და უფერული ქალები, შავი მოკლედ შეჭრილი თმებით "კარეს" სტილში და შუბლზე შეჭრილი სწორი თმით "ჩოლკით", რომელიც კარგად შეღებილ თვალებზე ეშვებოდა. ათწლეულები ბატონობდა სახემშვენიერი, თითქოს "სინათლისგან და მარტოობისგან შექმნილი" გრეტა გარბოს და მარლენ დიტრიხის სახე.

40-იან წლებში ქალის ტანსაცმელი იყო უხეში, გასამხედროებული. და რაოდენ გასაოცარია, მოდაში

იყო რთული ვარცხნილობები კულულებით მხრებამდე და ფაფუკი ქოჩორი შუბლს ზევით. მან ომს გაუძლო.

50-იან წლებში მსოფლიო კინოში გაჩნდა მერილინ მონრო. მისი როლებია მშვენიერი ქერა ქალების ისტორიები, რომლებიც „თვალებს ბრილიანტებისთვის ახელენ და კოცნისთვის ხუჭავენ“. 50-იანი წლების ბოლოს როჟე ვადიმის ფილმის („და შეჰქმნა ღმერთმა ქალი“) მერე ახალგაზრდობის კუმირი გახდა ბრიჯიდ ბარდო. მან მოდაში შემოიტანა მთელი რიგი ვარცხნილობები: სწორი და გრძელი გაშლილი თმები, „ცხენის კუდი“, აჩეჩილი ფუმფულა „ბაბეტა“.

60-იან წლებში კიდევ ერთი მომავალი კინო ვარსკვლავი, რომელსაც უწოდებენ „ყველაზე ლამაზ ქალს მსოფლიოში“, თმას ქერად გადაიღებავს. ეს არის კეტრინ დენევი. „ის დაემსგავსა ბრიჯიდ ბარდოს“, - წერდნენ ჟურნალისტები.

60-იანი წლების ბოლოს ინგლისელმა პარიკმახერმა ვიდალ სასუნმა შექმნა თავისი ცნობილი დემოკრატიული ვარცხნილობა. 25 წლის მერე მან ამ ვარცხნილობას უწოდა პირადი წვლილის შეტანა ქალის ემანსიპაციაში. „მე გავუადვილე ქალებს მათი ყოველდღიური ცხოვრების მცირედი ნაწილი. მე მათთვის მოვიგონე ვარცხნილობა, რომელიც ადვილი მოსავლელია. თავს დაიბან, გაიშრობ და უბრალოდ გააქნევ...“ ამ წლებში ისევ ხმარობენ სხვადასხვა ფერის პარიკებს, ჭაღარის, იისფერის და ცეცხლისფერ-წითურის ჩათვლით.

70-იან წლებში შემოაქვთ მოდაში „ქიმიური დახვევა“. მოდაზე კვლავ მოქმედებს ახალგაზრდული მოძრაობა. ამ ათწლეულის ბოლოს ლონდონში გაჩნდნენ პანკები, რომლებიც შოკში აგდებდნენ ყველას თავისი შეხედულებით. მათი ვარცხნილობა ჰგავდა აბურგძნულ ზღარბებს და მაჩვ-ზღარბებს: გაჩეჩილი, აქეთ-იქით გაშვერილი უსწორმასწორო თმები, შეღებილი საოცარ ფერებში.

მოდამ არ უარყო პანკების სტილი, მადლობელი დარჩა მისი. გოგონების თავები დაამშვენეს ვარცხნილობებმა „კასკადი“, მოდაში შემოვიდა სულ მოკლე ვარცხნილობა „ზღარბუნია“ („იოჟიკები“).

80-იან წლებში მოდამ გადაიწია უფრო ქალურობისკენ. „რა მოჰყვება ნაირფერად შეღებილ და უწესრიგოდ გაწეწილ თმებს? ბოლოს და ბოლოს დაბრუნდა გრძელი თმა, რომელიც ესოდენ საყვარელი და მიღებული იყო ძველ დროში. როგორც იქნა, ქალი ქალს დაემსგავსა. დაბრუნდა კულულები, ტალღოვანი თმები, რომლებიც ნარნარად ეფინება მხრებს“, - წამოიძახეს მამაკაცებმა, ასე იუწყებოდა ამერიკულ ჟურნალი 1986 წელს.

სინაზე, ქალურობა და ბუნებრივობა - ეს არის დღევანდელი მოდის სამი ძირითადი ელემენტი ვარცხნილობაში. ისმის ნოსტალგიური ხმებიც: მოდელიერებს (დიზაინერებს) ძალიან მოსწონთ გასული წლების ქალების სილამაზე. შეჭრის გარდა სთავაზობენ ვარცხნილობებს მარინა ვლადის, ბრიჯიდ ბარდოს, ოდრი ჰეპბერნის სტილში.

თმების ღებვამ სრულყოფილებას მიაღწია. თმა შეგიძლიათ შეიღებოთ თუნდაც ყოველ კვირა, როგორც ამას სუპერმოდელი ლინდა ევანგელისტა აკეთებს, მაგრამ დაიმახსოვრეთ, ყველაზე მოდური ფერია ის, რითაც ბუნებამ დაგაჯილდოვათ. საღებავების ადგილს სულ უფრო და უფრო იკავებენ ელფერის მიმცემი შამპუნები, რომლებიც ამდიდრებენ თმების ბუნებრივ ფერს, მათ მომხიბლავ ელფერს აძლევენ. სულ უფრო ბევრი მიმდევარი ჰყავს ბუნებრივ მცენარეულ საღებავებს, რომელთა მეშვეობით თმები ცოცხლდება, ბრწყინავს... მოდა საშუალებას იძლევა შეინარჩუნო ინდივიდუალობა და დარჩე ისეთი, როგორიც ხარ.

კანი (ლათ. cutis) – ადამიანისა და ცხოველების სხეულის ზედაპირული საფარველია.

კანი შედგება ეპიდერმისისაგან, დერმისგან და კანქვეშა ცხიმოვანი შრისაგან.

ეპიდერმისი აგებულია ეპითელური უჯრედებისგან, იგი ორი შრისგან შედგება: ზედა შრე- მკვდარი უჯრედები, და ქვედა შრე - ცოცხალი უჯრედები. ეპიდერმისი მუდმივად იქერცლება და უფრო ღრმად განლაგებული უჯრედების ხარჯზე ისევ აღდგება.

დერმა ანუ საკუთრივ კანი აგებულია შემაერთებელი ქსოვილისგან. აქ მოთავსებულია რეცეპტორები, თმის ბოლქვები, ჩანთები, თმის კუნთები, საოფლე ჯირკვლები და სადინარები, ქონის ჯირკვლები, სისხლძარღვები, ლიმფური კვანძები. დერმაშია რქოვანი წარმონაქმნები: თმები და ფრჩხილები.

კანქვეშა ცხიმოვანი შრეში ცხიმი გროვდება. მას კანქვეშა უჯრედისიც ეწოდება. იგი საკვები ნივთირებებისა და ენერგიის საცავია.

კანის ფუნქციები:

გამომყოფი ორგანო - საოფლე ჯირკვლების მეშვეობით ორგანიზმიდან ჭარბი წყალი და მარილები გამოედინება

დამცველობითი - იცავს სხეულს მექანიკური დაზიანებისგან, ხელს უშლის უცხო ნივთიერებებისა და დაავადების გამომწვევი მიკრობების ორგანიზმში შეღწევას.

თბორეგულატორული - მონაწილეობს სხეულის მუდმივი ტემპერატურის შენარჩუნებაში.

შეგრძნებები - კანში მოთავსებულია მრავალი რეცეპტორი, რომლებიც აღიქვამენ წნევას, ტკივილს, სითბოსა და სიცივეს, რეცეპტორები ადამიანს საშუალებას აძლევს თავიდან აიცილოს ჭრილობები, მოყინვა, დამწვრობა, კანის მგრძნობელობა ადამიანს გარემოსთან ურთიერთობაში უწყობს ხელს.

კანში სინთეზირდება D ვიტამინი, კანში გამომუშავდება მუქი პიგმენტი, რომელიც ორგანიზმს ჭარბი ულტრაიისფერი სხივებისგან იცავს.

კანის რქოვანი წარმონაქმნებია თმები და ფრჩხილები. თავზე თმები ადამიანს მზის სხივებისა და გაციებისგან იცავს.

კანის საოფლე ჯირკვლები ექსეკტორულ ფუნქციას ასრულებენ. საოფლე ჯირკვლებში იფილტრება წყალი, მინერალური მარილები, შარდოვანა, ისინი ოფლის სახით

გამოიყოფა. ოფლი ასევე მონაწილეობს სხეულის ტემპერატურის რეგულაციაში.



კანის ტიპის დასადგენად დილით, პირის დაბანამდე, სახეზე სუფთა ხელსახოცს იფარებენ. თუ მას ცხიმის ლაქები აჰყვა, ე.ი. ცხიმიანი კანი გაქვთ. თუ ლაქებს მხოლოდ შუბლის, ცხვირისა და ნიკაპის არეში შენიშნავთ, კომბინირებულ ტიპს განეკუთვნებით. ხოლო თუ ხელსახოცი მშრალი დარჩება, იმის მანიშნებელია, რომ მშრალი კანი გაქვთ.

თმა (ლათ. unguis) - იზრდება კანზე,
შედგება ძირითადად კერატინისგან და წარმოადგენ სხეულის დამცავი სისტემის ნაწილს. ადამიანის სხეული, მცირე გამონაკლისების გარდა (ტუჩები, ხელისგულები), მთლიანად დაფარულია თმით.
ზრდასრულებს აქვთ ორი ტიპის თმა: ღინღლი-მოკლე ,თხელი, არაპიგმენტირებული, ე.წ. პირველადი თმა და ტერმინალური თმა, რომელიც უფრო უხეში, სქელი და ძირითადად პიგმენტირებულია.
ტერმინალური თმის მაგალითია თმა წარბებზე და თავზე. ადამიანის თავზე 200 ათასი, ხოლო ტანზე 20 ათასი თმის ღერი აქვს.
თმა ყველაზე სწრაფად ზაფხულში იზრდება. თმის სიგრძე წელიწადში საშუალოდ 10–15 სანტიმეტრს იმატებს. როგორც ამბობენ ჟღალი თმა უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე ქერა თმა.
ადამიანმა თმა რომ არ შეიჭრას, სიცოცხლის ბოლომდე მისი სიგრძე 725 კმ–ს მიაღწევს



თმა-მხოლოდ ერთი შეხედვით არის მარტივი, რეალურად, ის ჩვენი ორგანიზმის ერთ-ერთი რთული შემადგენელი ნაწილია. თმა ცოცხლობს და კვდება, ის იზრდება, ცვივა და შემდეგ მის ადგილას (ნორმაში) იზრდება ისეთივე ახალი თმა.

თმის აგებულება

თმის ზრდის ფაზები

თითოეული ფოლიკული, დაბადებიდან მოყოლებული, განუწყვეტლივ გადის აქტიური ზრდისა და მოსვენების ფაზებს:

- ანაგენი - თმის აქტიური ზრდის ფაზაა;
- კათაგენი - გარდამავალი ფაზა;
- ტელოგენი - მოსვენების პერიოდი.

  სხვადასხვა თმები ერთსა და იმავე დროს არიან განვითარების ციკლის სხვადასხვა სტადიაში, კერძოდ:

- 85% - აქტიური ზრდის ფაზაში (ანაგენში)
- 1% - მოსვენების ფაზაში (კატაგენში)
- 14%- ცვენი სფაზა (ტელოგენში)



ანაგენის ფაზა

ანაგენის ხანგრძლივობა ინდივიდუალურია და მასაც გენეტიკა განსაზღვრავს, მამაკაცებში ის საშუალოდ 3-დან 5 წლამდე გრძელდება, ქალებში კი 5-7 წელი. ტელოგენის ხანგრძლივობა დაახლოებით 100 დღეა.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თმის ზრდა დამოკიდებულია სპეციალურ ცილებსა და ჰორმონებზე, რომელთა გარეშეც თმა ნაწილობრივ ან საერთოდ წყვეტს ზრდას. თმა განუწყვეტლივ იზრდება, თანაც დღისით უფრო სწრაფად, ვიდრე ღამით, გაზაფხულსა და შემოდგომაზე მეტი ინტენსივობით, ვიდრე ზაფხულსა და ზამთარში, მამაკაცებში უფრო სწრაფად, ვიდრე ქალებში.

24 საათში თმა 0,3-0,35 მმ-ს იმატებს.

ბავშვის თმა თვეში საშუალოდ - 13 მმ-ით,

მოზრდილებისა - 15 მმ-ით,

ხანშიშესულებისაკი - 11 მმ-ით იზრდება.



თმი სფერი

თმის ფერი რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორისაც მთავარია გენეტიკური და ენდოკრინული ფაქტორები. თმის ფერს განსაზღვრავს თმის ქერქოვან შრეში მოთავსებული პიგმენტი და იმ ჰაერის რაოდენობა, რომლითაც ეს ნარევია "განზავებული".

თმის ფერის განმსაზღვრელი პიგმენტებია: ეუმელანინი (მოშავო-მოყავისფრო) და ფეომელანინი (მოყვითალო-მოწითალო), კაცობრიობა სწორედ მათ ურთიერთშეფარდებას უმადლის თმის ფერთა მთელ გამას.

თმის ფერსა და რაოდენობას შორის ერთგვარიკავშირი არსებობს. ყველაზე მეტი თმის ღერი ქერებს აქვთ - 150 ათასი, წითურებს - 90 ათასი, შავგვრემნებს კი - 100-110 ათასი. ეუმელანინსა და ფეომელანინს სპეციალური უჯრედები - მელანოციტები გამოიმუშავებენ,

რომელთა აქტივობაც ასაკთან ერთად, ორგანიზმის ბიოლოგიური დაბერების კვალდაკვალ მცირდება და თავზე ჭაღარა, პიგმენტებით შეუღებავი თმა ჩნდება.

თმის სისქე და რაოდენობა

ვინაიდან თმა კანის დანამატია, ამიტომ კანი პირდაპირ განსაზღვრავს მათ სისქეს, ადამიანის კანი თუ თხელია, მას თმაც თხელი აქვს და პირიქით. ყველაზე თხელი ქერა თმაა, ყველაზე სქელი - შავი. თმის რაოდენობა თავზე მერყეობს 100-150 ათასამდე, თმის საფარველის 1 სმ2 18-დან 320 ათასამდე თმის ღერია. თმის ცვენა ძველი თმის ახლით შეცვლაა.

ნორმალურია, როცა დავარცხნისა და დაბანისას ადამიანი 50-დან 100-150 ღერ თმას კარგავს, ეს ტელოგენის ფაზაში მყოფი ღერებია. რამდენიმე წლის წინ ეს მაჩვენებელი 100-ს არ აღემატებოდა, დღეს დასაშვებმა ზღვარმა რამდენადმე აიწია.

თმის ტიპები

ადამიანს სხეულზე სამი ტიპის თმა აქვს.

თმა მუცლადყოფნის პერიოდშივე იწყებს ზრდას. მას კანქვეშა შრესა და საოფლე ჯირკვლებთან კავშირი არა ქვს, ამიტომ დაბადებიდან მალევე ცვივა. ეს პირველი თმაა - ლანუგო, წვრილი და თხელიღერები, რომლებიც ახალშობილის მთელს ტანს ფარავს.

ლანუგო ყველაზე უკეთ ვადაზე ადრე დაბადებულ პატარებს ეტყობათ, თუმცა მოგვიანებით მათაც სცვივათ.

პუბერტატულ ასაკში ჩნდება თმის მეორე ტიპი, რომელიც გაცილებით მყარია, სქელი დაკანქვეშა შრეშიც საკმაოდ კარგად არის ფიქსირებული.

მესამე ტიპი გარდატეხის ასაკის დასრულების შემდეგ ფორმირდება. ის საკმაოდ ძლიერი და მყარია.

******

თმა იყოფა რამდენიმე ტიპის კატეგორიად სხვადასხვა თვისებებისა და ნიშნების მიხედვით.

უმარტივესი გზა თმის ტიპის დასადგენად არის სავარცხელი, ცხიმიანი თმა უფრო მარტივად ივარცხნება, მშრალი თმა უფრო რთულად.

თუმცა მხოლოდ სავარცხლის იმედად რომ არ ვიყოთ, არსებობს თმის დიაგნოსტიკის აპარატები, რომლებიც განსაზღვრავენ თმის ტიპს, და ყველა იმ პრობლემას რაც თმას გააჩნია.

მშრალი თმა გამოირჩევა ადვილად მტვრევადობით, აკლია მბზინვარება, ის ცუდად ივარცხნება და ძალიან ხშირად იყოფა ბოლოებში. ასეთი თმის ქონის შემთხვევაში აუცილებელია ისეთი დასაბანი საშუალებების გამოყენება, რომლებიც მოიცავენ დამატენიანებელ და მკვებავ ნივთიერებებს, ან სხვა კომპონენტებს, რომლებიც ქმნიან თმის ღერის დამცავ ფენას.

ცხიმიან თმას აქვს დამახასიათებელი მქრქალი მბზინვარება. დაბანიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ ცხიმიანი თმა ხდება წებოვანი და აქვს დაუბანელისა და მოუვლელის იერსახე. თმის ცხიმიანობა დამოკიდებულია თავის ქალის ცხიმოვან ჯირკვლებზე, რომელიც არის ინდივიდუალური და თავის მხრივ დამოკიდებულია გენეტიკაზე და სხვა ფაქტორებზე. თავის

ქალაზე წარმოქმნილი ცხიმოვანი ფენა ასევე დამოკიდებულია კვების ტიპზეც, თუ რა ტიპის საკვებს იღებს ინდივიდი, რამდენად დიდია მის საკვებ რაციონში ცხიმისა და ნახშირწყლების შემცველობა.

ნორმალური თმა (შუალედური ტიპის თმა) კარგად ირეკლავს სინათლეს. გამოირჩევა ელასტიურობით, თითქმის არ იყოფა ბოლოებში, მარტივია მათი დავარცხნა და ფორმის მიცემა, აქვთ ცოცხალი და ჯანსაღი შესახედაობა და ამ თვისებებს ინარჩუნებს დაბანიდან რამდენიმე დღის მანძილზე.

შერეული ტიპის თმა ყველაზე რთული მოსავლელია, ხშირ შემთხვევაში ესაა გრძელი თმა ძირებში ცხიმიანი და ბოლოებში მშრალი. ამ ტიპის თმის ქონის შემთხვევაში აუცილებელია თმის მოვლისადმი განსაკუთრებული მიდგომა, ცხიმის მინიმუმამდე დაყვანა ძირებში, ხოლო ბოლოების დამუშავება დამატებით მკვებავი ელემენტებით.

თმა ხშირად არის თხელი, ეს თმა ჯანსაღია, მაგრამ თმის ღერი იმდენად თხელია და არახშირი, რომ გამოიყურება როგორც ძალიან თხელი თმა. თხელი თმა მარტივად ზიანდება. ამ ტიპის თმის გასქელება შეუძლებელია, თუმცა არის გამოსავალი, თმის ღერისათვის დამატებითი დამცავი ქსოვილის შექმნის გზით იზრდება თმის ღერის დიამეტრი და თმა ხდება ვიზუალურად შედარებით ხშირი. თხელი თმის შემთხვევაში არის კიდევ ერთი საშუალება ოპტიკური თვალსზირისით მათი გაზრდის, ეს არის დამატებითი მბზინვარება და მოცულობის გაზრდა სხვადასხვა თმის მოვლის საშუალების მიერ.

ქერტლი - არა მხოლოდ კოსმეტიკური ხარვეზია, არამედ თავის კანის არაჯანსაღი მდგომარეობის მაჩვენებელიც. ქერტლთან ბრძოლის 2 გზა არსებობს. ერთი, ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნების გამოყენება, რომელიც აქტიურად ებრძის და ამარცხებს ქერტლის გამომწვევს სოკოს, თუმცა ამ მიმართულების მინუსი არის ის, რომ ბრძოლა წყდება ამ შამპუნის გამოყენებისთანავე და თუ თავის კანს არ ვუმკურნალეთ, ქერტლი ხელახალა გაჩნდება. მეორე გზა ქერტლთან ბრძოლის არის თავის ქალისა და თმის მცოდნე სპეციალისტთან ვიზიტი, რომელიც დაგეხმარებათ გამოიკვლიოთ ქერტლის გამომწვევი მიზეზები და დაგინიშნავთ მკურნალობის გზებს, რაც ერთხელ და სამუდამოდ გაგანთავისუფლებთ ამ უსიამოვნო პრობლემისგან.

ზოგიერთ ადამიანზე ძალიან ძლიერად ზემოქმედებს არასტაბლური და დაბინძურებული გარემო და ეკოლოგიური პრობლემები, რაც აისახება თავის კანის მაღალი მგრძნობიარობის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში უნდა ვურჩიოთ გამოიყენოს შამპუნი და სხვა მოვლის საშუალებები, რომლბიც არ შეიცავს არომატიზატორებს, მღებავ და სხვა ძლიერ ქიმიურ კომპონენტებს, არამედ პირიქით უნდა იყოს მაქსიმალურად ბუნებრივ ინგრედიენტებზე დამზადებული და უნდა მოიცავდეს დამამშვიდებელ ელემენტებს.

იმისათვის, რომ თმა იყოს ჯანსაღი და მბზინავი, რეკომენდებულია შამპუნისა და ბალზამის გამოყენება. ბალზამი ანელებს გამოშრობისა და თმის ღერის გაყოფის პროცესს,

ამარტივებს თმის დავარცხნას, ანიჭებს თმას ელასტიურობას და აძლიერებს შამპუნის მკვებავ ზემოქმედებას. მხოლოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუკი ორივე შამპუნიც და ბალზამის განეკუთვნება ერთიდაიგივე ფირმის ერთიდაიგივე ხაზსა და ერთიდაიგივე მოდელს.

მშრალი თმა

ადამიანებს, რომლებსაც უქვეითდებათ ცხიმოვანი ჯირყვლების აქტივობა თავზე, თმა უხდებათ გამომშრალი, მტვრევადი და მბზინვარება კლებულობს. როგორც წესი ამ დროს თმის ღერი იყოფა ბოლოებში და ძალიან მარტივად ტყდება.

მშრალი თმის მქონე ადამიანებისათვის, რეკომენდებულია ისეთივე დიეტა, რასაც ყველაზე ხშირად ნიშნავენ გამომშრალი კანის შემთხვევაში, ეს არის A ვიტამინით გაჯერებული პროდუქტები (სტაფილო, ქაცვი, ქლიავი, ნაღების კარაქი, კვერცხის გული) .

მშრალი თმის დავარცხნას უნდა მივუდგეთ განსაკუთრებით აკურატულად, სასურველია ასეთი თმა დაივარცხნოს შედარებით ნაკლებად ხშირ კბილებიანი სავარცხლით და ძალიან ფრთხილი მოძრაობებით რადგან ასეთი ტიპის თმა ყველაზე მარტივად ტყდება.

თავის დაბანის წინ, სასურველია თმის სპეციალური ნიღბის გამოყენება, რომელიც თმაში უნდა შეიზილოთ, ჯერ თავის კანი უნდა დაიფაროს მაქსიმალურად, შემდეგ კი სათუთად უნდა გადანაწილდეს მთელს თმაზე. ნიღაბი სასურველია შეიფუთოს პოლიეთილენის ან რეზინის ქუდით და შემდეგ პირსახოცით, რათა მივიღოთ სასურველი ტემპერატურა რეაქციისთვის. გავიჩეროთ საშუალოდ 30 წუთი საუკეთესო შედეგების მისაღწევად.

მშრალი თმის შესაღებად სასურველია გამოვიყენოთ მცენარეული საღებავები, ხოლო ქიმიური საღებავის გამოყენების შემთხვევაში, მაქსიმალურად დავიცვათ მწარმოებლის მიერ დაწესებული წესები და ჩავიტაროთ თმის მკვებავი და დამატენიანებელი პროცედურები. (თმის ლამინირება, ფილერი და ა. შ.)

მშრალი თმის შემთხვევაში სასურველია მოვერიდოთ თმის გაღიავებას, ქიმიურ დახვევას და ფენის ხშირ გამოყენებას.

ცხიმიანი თმა

ცხიმიან თმას გააჩნია დამახასიათებელი მქრქალი მბზინვარება, თავის დაბანიდან მცირე პერიოდის შემდეგ, თმა იძენს არასასურველ სიპრიალეს, როს გამოც ენიჭება არააკურატულისა და დაბინძურებულის ეფექტი.

თმის ცხიმიანობა დამოკიდებულია თავზე ცხიმოვანი ჯირკვლების აქტიურობაზე, რომელიც არის ინდივიდუალური მაჩვენებელი და სხვა ფაქტორებთან ერთად (მათ შორის კვებაზე) გენეტიკაზეც არის დამოკიდებული. შამპუნის არჩევისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ არა იმდენად თმის ტიპზე, რამდენადაც თავის კანის მდგომარეობაზე: ცხიმიანია ის, მგრძნობიარე თუ გამომშრალი. მაგალითად: თუკი თმა გაქვთ შედარებით მშრალი, მაგრამ ამავე დროს თუკი თმის კანი ძალიან მალე ცხიმიანდება სასურველია გამოვიყენოთ შამპუნი ცხიმიანი თმისთვის.

ცხიმიანი თმის მოვლას ართულებს მისი მალე დაბინძურება, ასეთი თმა უნდა დაიბანოს ცხიმსაწინააღმდეგო შამპუნით.

ნორმალური თმა

ნორმალური თმის მოვლის პროცესში უმთავრესია შევინარჩუნოთ მათი ჯანსაღი და ლამაზი იერსახე, და არ დავაზიანოთ ისინი არასწორი კოსმეტიკური საშუალებებითა და თერმული ინსტრუმენტებით.

აუცილებელია ამ ტიპის თმის მოვლა სეზონების მიხედვით, ცივ სეზონს შესაბამისი მოვლა უნდა შევურჩიოთ, მზეზე და ზღვაზე დასვენების შემდეგ თმას უნდა დავახმაროთ დამატენიანებელი და მკვებავი საშუალებები.

განსაკუთრებით სჭირდება მოვლა ქიმიური დახვევისა და შეღებვის შემდეგ. სასურველია პერმანენტულად გაკეთდეს თავზე მასაჟი და სხვა სპა პროცედურები.

შერეული ტიპის თმა

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად თმის ტიპი განისაზღვრება კანის ტიპიდან გამომდინარე, შერეული ტიპის თმა მაინც საკმაოდ გავრცელებული სახეობაა. ხშირ შემთხვევაში ესაა გრძელი თმა ძირებში ცხიმიანი და ბოლოებში მშრალი.

შერეული ტიპის თმა, ყველაზე მეტად ცხიმიანი თმისგან გარდაიქმნება ხოლმე, გარემო ფაქტორების გავლენისგან მას შემდეგ რაც ხდება ცხიმიანი თმის ქიმიური დახვევა, არასწორი შეღებვა და ა.შ.. ასეთ თმას კომპლექსური მოვლა სჭირდება: თავის ქალას უნდა შევურჩიოთ შამპუნი ცხიმიანი თმისთვის, ხოლო ბოლოებს უნდა ვუმკურნალოთ - მაგალითად მოვიჭრათ დაზიანებული ბოლოები და მივცეთ საშუალება ჟანგბადს შეაღწიოს თმის ღერში სრულფასოვნად. გაყოფილი ბოლოები უნდა დამუშავდეს ბალზამითა და კონდეციონერით, რომელიც მოიცავს ვიტამინებს და სილიკონს.

თხელი თმა

მოცულობითი და ჯანსაღი თმა რა თქმა უნდა ყველა ქალბატონის ოცნებაა, მაგრამ სამწუხაროდ თმის მოცულობის გაზრდა მხოლოდ მოვლისა საშუალებებით ვერ ხერხდება, რადგან მოცულობას განსაზღვრავს თმის რაოდენობა და თმის ღერის სისქე. მოცულობის მიმცემი შამპუნებისა და სხვა მოვლის საშუალებებით, თმას მოცულობა ეძლევა მხოლოდ ვიზუალურად. თხელი თმის შემთხვევაში ხდება თხემთან თმის აჩეჩვა, რომლის მიზანია მოცულობაში გაზრდა თმის, ხდება თმის გახშირება ხელოვნური გზით, თმის დაგრძელებისა და სხვა საშუალებებით და თმის გადანერგვა.

თხელი თმის მოვლა ძალიან სათუთი პროცესია, საჭიროებს თმის დაბანის მაქსიმალურად ნაზ პროცედურას და ნიღბებს.

თმის დაცვა

თმას არ უყვარს ტემპერატურის უეცარი ცვლილებები და ულტრაიისფერი სხივების ზედმეტი ზემოქმედება. ამიტომ თმას ესაჭიროება დაცვა და გაფრთხილება.

განსაკუთრებით თმას აზიანებს მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედება, ამ დროს ხდება თმის ზედაპირზე არსებული ცხიმოვანი გარსის სრულად გამოშრობა, უხეშდება თმის ღერის ქერცლოვანი ზედაპირი და ხდება ნელ ნელა თმიდან ცილების გამოდევნა, რის შედეგადაც თმა კარგავს ელასტიურობას და სიმყარეს.

ამიტომ ზაფხულში სასურველია გამოყენებული იქნას სპეციალური მზისგან დამცავი და ე.წ. "მზის შემდგომი" - შამპუნები, ნიღბები და ბალზამი.

აუცილებელია ზღვაში ბანაობის შემდგომ, თმისა და თავის კანის კარგად დაბანა მტკნარი წყლით.

თმის კვებისათვის საუკეთესო გზაა ნიღბების გამოყენება, განსაკუთრებით ნიღბების,რომლებშიც შედის ცილოვანი დანამატები (კერატინი და ა. შ.) რადგან დაზიანებულ თმას დარღვეული აქვს კავშირის სტრუქტურა ცილოვან მოლეკულებს შორის.

რეკომენდაციები:

- არ არის სასურველი ზაფხულში თმის ქიმიური დახვევა.
- არ არის სასურველი თმის შეღებვა უშუალოდ ზღვაზე დასასვენებლად წასვლის წინ.
- აუცილებლად გამოიყენეთ მზისგან დამცავი მოვლის საშუალებები.
- თმის საღებავი და შეღებვის სხვა ფორმის შედეგად შეცვლილი ფერი - ყველაზე აქტიურად ზღვის წყლისგან ირეცხება და ხუნდება.
- აუცილებლად მოიჭერით თმა ზღვიდან დაბრუნების შემდგომ.
- ჩაიტარეთ პროცედურა "ცხელი მაკრატელი" ზღვიდან დაბრუნების შემდეგ.

ყველა ტიპის თმა, მიუხედავად იმისა, შეღებილია თუ ნატურალური, განიცდის გარემოს მავნე ზემოქმედებას და საჭიროებს მნიშვნელოვან დახმარებას. თმის აღსადგენად გამოიყენებაა ასევე მკვებავი ზეთები.
მათ შორის ლაბორატორია Framesi- ს ახალი ხაზი Morphosis SUBLÌMIS, სადაც შეხამებულია ინოვაციური ტექნოლოგიები და ფორმულას საფუძვლად უდევს არგანის ზეთი. არგანის ზეთი - ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია მთელს მსოფლიოში, რომელიც შეიცავს მაღალი კონცენტრაციის E და A ვიტამინებს, შეუცვლელ ცხიმოვან მჟავებს, კაროტინოიდებს, სტერინებს, პოლოფენოლებს. ამის წყალობით ზეთი მშვენივრად კვებავს, ატენიანებს და იცავს თმას. შესანიშნავად ამაგრებს და აღადგენს დაზიანებული თმის სტრუქტურას, ასწორებს თმას, ხდის მათ უფრო რბილს და მორჩილს.

კოსმეტიკური შრატები და თმის ამპულები შეიცავს მკვებავ ნივთიერებების მაღალ კონცენტრაციას და ახასიათებს სწრაფი ეფექტი.

არსებობს ასევე სპეციალური სითხეები თმის ბოლოებისთვის სილიკონის შემცველობით, რომელიც "აწებებს" გაყოფისკენ მიდრეკილ თმას და არ აძლევს საშუალებას დაიყოს თმა.

ზამთარში თმას სჭირდება ასევე სპეციალური დაცვა:

უპირველეს ყოვლისა, თმას ესაჭიროება დატენიანება, რისთვისაც გამოიყენება ბალზამ - კონდიციონერი და ბალზამ - სპრეი.

კონდიციონერს აქვს ინტენსიური ზემოქმედება და იცავს თმას გამოშრობისგან.

სპრეები კვებავს, იცავს თმას და აუმჯობესებს მის სტრუქტურას დაბანიდან დაბანამდე.

სასურველია ზამთარში გამოიყენებოდეს დამატენიანებელი და მკვებავი ნიღბები.

დღესდღეისობით თმის ლაკისა და გელების გამოყენება მაქსიმალურად უსაფრთხოა, რადგან ეს პროდუქტები უკვე თავად შეიცავს ვიტამინებს და არ აზიანებს თმის სტრუქტურას. გარდა ამისა, მათი უმეტესობა არის UV ფილტრით, რაც დამატებით დაცვას მოიაზრებს ზამთრის ცივ, მაგრამ მზიან დღეებში. ზამთრის მზე არანაკლებ საშიშია ვიდრე ზაფხულის.

სიცივისგან სისხლძარღვები ვიწროვდება, თავის კანში სისხლის ცირკულაციის პროცესი ნელდება, რის გამოც თმის ფესვები ვეღარ იღებს სასიცოცხლოდ საჭირო ელემენტებს იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც აუცილებელია, რის შედეგადაც იკარგება თმის სილამაზე და სიძლიერე. ამიტომ ხდება რომ თმის ძირები მალე ბინძურდება და ბოლოები შრება.

არსებობს ე.წ. დასუსტებული, ცვენისადმი მიდრეკილი თმის მოვლის კომპლექტები. თმის ცვენის საწინააღმდეგო კომპლექსი Morphosis Densifing Kit შედგება 3 პროდუქტისაგან, რომელთა საფუძველს მოცვის ექსტრაქტი წარმოადგენს. ყველა პრეპარატი

გამდიდრებულია B ჯგუფის ვიტამინებით, ნიაცინამიდით, ხორბლის პროტეინებით, მცენარეების ექსტრაქტებით. ახდენს უჯრედებში მეტაბოლიზმის აქტივიზაციას, აჯერებს ქსოვილებს ჟანგბადით და აძლიერებს სისხლის მიმოქცევას კანში, ამაგრებს თმას. ამცირებს თმის ცვენას, აქცევს მას დრეკად და მაგარ თმად, ახდენს ანტი-ეიჯ ეფექტს.

კომპლექტში შედის გამაძლიერებელი წვეთები რომელიც დამზადებულია ალპური მოცვის ექსტრაქტზე და არის თმის ცვენასთან ბრძოლის აუცილებელი ეტაპი, რომელიც აძლიერებს ყველა პროცედურის ეფექტურობას და უზრუნველყოფს მათ ხანგრძლივ მოქმედებას. პრეპარატი ახდენს თავის კანის მიკროცირკულაციის სტიმულირებას, აჯერებს უჯრედებს ჟანგბადით და ასტიმულირებს ჯანმრთელი, მაგარი თმის ზრდას.

თმის პრობლემები და დაავადებები

თმის პრობლემებსა და დაავადებებს შორის ყველაზე გავრცელებულია ქერტლი.

ქერტლი – დაავადება, რომელსაც ახასიათებს თავის თმიანი ნაწილის საფარის აქტიური გამოშრობა.



ქერტლის წარმოშობის მიზეზები

არსებობს საკმაოდ შთამბეჭდავი ჩამონათვალი იმ ფაქტორებისა, რომლებიც შეიძლება ქერტლის გაჩენის მიზეზად იქცეს:

• ძლიერი ნერვულობა და ხშირი სტრესი;
• არასწორი კვება, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები;
• თმის არასწორი მოვლა;
• სისხლის მიმოქცევის მოშლა;
• ზოგიერთი ვიტამინის ნაკლებობა;
• ენდოკრინული სისტემის დაავადებები;
• სხეულის ტემპერატურის მომატება;
• გენეტიკური განწყობა.

•ცხიმოვანი ჯირკვლების ფუნქციის დარღვევა;

•სოკოვანი დაავადებების, ფსორიაზის გართულება

არსებობს ქერტლის რამდენიმე სახეობა. სწორი, წარმატებული მკურნალობისთვის სახეობის განსაზღვრა აუცილებელია.

ამრიგად, ქერტლი შეიძლება იყოს

• ცხიმიანი;
• მშრალი;
• შერეული.

ქერტლის ტიპი დამოკიდებულია ცხიმოვანი ჯირკვლების მუშაობაზე. ცხიმის გაძლიერებული წარმოქმნისას თმა სწრაფად ცხიმიანდება, ჭუჭყიანდება და უსიამოვნო შესახედავი ხდება. ქერტლის მსხვილი ფანტელები შეიძლება მიეკრას თმას, ხოლო კანის თმიან ნაწილზე წარმოიქმნას მტკივანი უბნები. მშრალი ქერტლის დროს ცხიმის წარმოქმნა დაქვეითებულია, თავის თმიან ნაწილზე კანი ადვილად ღიზიანდება, ხოლო თმა მყიფეა და მშრალი. ქერტლი ამ შემთხვევაში ადვილად შორდება თმას და ფართო რადიუსზე იფანტება. ამ ტიპის ქერტლის მკურნალობა აუცილებლად გულისხმობს ორგანიზმის წყლის ბალანსის აღდგენას.

როგორ ვუმკურნალოთ ქერტლს
უნდა დავიწყოთ ცხოვრების წესის კორექციით.
• პირველი ნაბიჯი უნდა იყოს დაბალანსებული და სწორი კვება;
• მეორე – რაც შეიძლება მეტი დრო გავატაროთ სუფთა ჰაერზე;
• მესამე – ფიზიკურად მეტად ვიაქტიუროთ;
• მეოთხე – სწორად მოვუაროთ თმას. უარი ვთქვათ ცხელი წყლით დაბანაზე, შევზღუდოთ ცხელი ჰაერით გაშრობა და ვარცხნილობის დასაყენებელი მეტალის საშუალებები.

ქერტლის სამკურნალო შამპუნები

არსებობს ქერტლის საწინააღმდეგო ოთხი ტიპის შამპუნი და თითოეულ მათგანს მოქმედების თავისი მექანიზმი აქვს:
• შამპუნები, რომლებიც აშორებს კანს ზედმეტ ცხიმს და ამცირებს მის პროდუქციას, ცხიმიანი ქერტლის დროს არის ეფექტური;

• შამპუნები სოკოს საწინააღმდეგო ეფექტით ეფექტურად ებრძვის სოკოს შედეგად გაჩენილ ქერტლს;
• შამპუნები, რომლებიც ას¬უფთავებს კანს მკვდარი უჯრედებისგან და ანელებს მათ წარმოქმნას;
• შამპუნები, რომლებიც აძლიერებს სისხლის მიმოქცევას ეპიდერმისში და კვებავს თმის ბოლქვს, რითაც აუმჯობესებს თმისა და კანის მდგომარეობას და ხელს უშლის ქერტლის წარმოქმნას.

ქერტლის სამკურნალო ხალხური საშუალებები

ხალხური მედიცინის არსენალში ქერტლის მოსაშორებლი უამრავი რეცეპტია. მათ შორის ბევრი ეფექტურია და შეიძლება დაგვეხმაროს ქერტლთან ბრძოლაში. ცხიმიანი ქერტლის დროს ხა¬ლხური მედიცინა გვირჩევს, შევიზილოთ თმაში გულყვითელას სპირტზე მომზადებული ნაყენი, შევიხვიოთ პირსახოცით და ნახევარი საათის შემდეგ ჩამოვიბანოთ თბილი წყლით. ეს პროცედურა გავიმეოროთ კვირაში 2-ჯერ. ასევე შეიძლება გამოვიყენოთ აბუსალათინისა და ბირკავას ზეთი. ქერტლთან ბრძოლისას შეიძლება ეფექტური აღმოჩნდეს ჩვეულებრივი მაწონი. წავისვათ იგი ნახევარი საათით თმაზე, მერე კი მდოგვიანი თბილი წყლით ჩამოვიბანოთ. ქერტლიც გაქრება და თმაც გაჯანსაღდება. ქერტლთან ბრძოლისას აუცილებელია კომპლექსური და სისტემური მიდგომა. თუ შევიცვლით ცხოვრების წესს და აქტიურად გამოვიყენებთ სამკურნალო საშუალებებს, ქერტლი შეიძლება რამდენიმე კვირაში დავამარცხოთ.

სებორეა

კანის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. ეს არის კანის ფუნქციური მდგომარეობის ცვლილება, რომელსაც საფუძვლად უდევს ცხიმოვანი ჯირკვლების სეკრეტორული ფუნქციის დარღვევა. ამ დროს კანის ცხიმი ჭარბად ან ნაკლული ოდენობით გამომუშავდება და შეცვლილია მისი ხარისხიც.
კანის ცხიმს დიდი ფუნქციური მნიშვნელობა აქვს. კანის ზედაპირზე იგი ერევა საოფლე ჯირკვლების სეკრეტს და წარმოქმნის წყალცხიმოვან აპკს, რომელიც კანის ტენის დაკარგვისგან, გარესამყაროს მავნე ზემოქმედებისა და ინფექციებისგან იცავს. სებორეის დროს კი იმატებს კანის pH, რაც ხელს უწყობს მიკროორგანიზმების ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და ანთების განვითარებას.
სებორეის განვითარების მიზეზები ბოლომდე არ არის შესწავლილი. თუმცა ცნობილია მასზე მოქმედი ფაქტორები. ესენია:

- გენეტიკური განწყობა (ცხიმწარმოქმნის მატებასა და ცხიმოვანი ჯირკვლების ჭარბ განვითარებას ხშირად ოჯახური ხასიათი აქვს);
- ჰორმონული ცვლილებები, რომლებიც ანდროგენების (მამაკაცის სასქესო ჰორმონების) და ესტროგენების (ქალის სასქესო ჰორმონების) ნორმალური თანაფარდობის დარღვევით გამოიხატება. კანის ცხიმის გამოყოფის პროცესი ჰორმონდამოკიდებულია. ანდროგენების პროდუქციის მატება ცხიმის გამოყოფას

აძლიერებს. სქესობრივი მომწიფების პერიოდში ხდება ორგანიზმის ჰორმონული გადაწყობა, რის შედეგადაც ცხიმის გამომუშავება ძლიერდება. ამ მოვლენას ფიზიოლოგიური სებორეა ეწოდება. სქესობრივი მომწიფების დასრულების შემდეგ ცხიმოვანი ჯირკვლების მუშაობა ნორმას უბრუნდება;

- კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები, ენდოკრინული მოშლილობანი, ფსიქიკური დაავადებები;
- ჰორმონული პრეპარატების (გლუკოკორტიკოსტეროიდების, ანაბოლური სტეროიდების, ტესტოსტერონის, პროგესტერონის და სხვა) ხანგრძლივი მიღება;
- ნერვული სისტემის მუშაობის დარღვევა - ფსიქოგენური სტრესი ხელს უწყობს კანის ცხიმის გამომუშავების გაძლიერებას;
- დაუბალანსებელი კვება, პირველ რიგში - A და B ჯგუფის ვიტამინებისა და მიკროელემენტების უკმარისობა;
- კანის არასწორი მოვლა, მაგალითად, აგრესიული გამწმენდი საშუალებების ხმარება. თავის თმიანი ნაწილის კანზე სებორეის განვითარებას შესაძლოა ხელი შეუწყოს ფენის ხშირმა გამოყენებამ და თმის შეღებვამ.

კანის სხვადასხვა უბანზე ცხიმოვანი ჯირკვლების რაოდენობა სხვადასხვაა. ყველაზე მჭიდროდ ცხიმოვანი ჯირკვლები განლაგებულია სახის ცენტრალურ ნაწილში (ცხვირი, ცხვირ-ტუჩის სამკუთხედი), შუბლზე, ნიკაპზე, თავის თმიან ნაწილზე, ყურის ნიჟარებზე, დელკოლტეს ზონაში, ბეჭებზე და ბეჭებს შორის. სწორედ ამ უბანში შეიმჩნევა დაზიანებები სებორეის დროს.

გამოყოფენ სებორეის რამდენიმე სახეს: ცხიმოვანს, მშრალსა და შერეულს.

ცხიმოვანი სებორეა

სებორეა უმეტესად ცხიმოვანი ფორმით მიმდინარეობს. ამ დროს სებორეული ზონები - სახე (შუბლი, ცხვირი, ცხვირ-ტუჩის სამკუთხედი), თავის თმიანი ნაწილი, დეკოლტეს ზონა და ბეჭები - იღებს მოყვითალო ელფერს, ხდება გადამეტებულად ცხიმიანი, კანი პრიალებს, უხეშდება, სქელდება, ფორები ფართოვდება. აღინიშნება ძლიერი, ზოგჯერ აუტანელი ქავილი.

კანის ცხიმის ფიზიკურ-ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე, განასხვავებენ სებორეის თხევად და სქელ ფორმებს. თხელი სებორეის დროს ცხიმის სეკრეტი ძალიან თხელია, კანი გარეგნულად ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ცხიმი აქვს წასმული, ხოლო სქელი სებორეის დროს სეკრეტი ძალიან სქელია, ცომის კონსისტენციისა, კანი კი მონაცრისფრო ელფერს იღებს.

ცხიმოვანი სებორეის დროს კანის ცხიმის ჭარბი გამოყოფა იწვევს კანის უჯრედების გარქოვანებისკენ მიდრეკილებას, რის შედეგადაც ჩნდება ქერტლი. თმა სწრაფად ცხიმიანდება, ეწებება ერთმანეთს, ზოგჯერ კიდეც ცვივა.

მშრალი სებორეა

მშრალი სებორეა ცხიმოვანი ჯირკვლების ფუნქციის დაქვეითების შედეგია. ამ დროს ცხიმის

გამოყოფა შემცირებულია, ქერტლი ფარავს თმას, ზოგჯერ ეფინება ერთმანეთს და წარმოქმნის მოყვითალო-მოთეთრო ან მორუხო-მოთეთრო ქერქს. ცხიმის გამოყოფის შემცირების გამო თმა შრება, თხელდება, მტვრევადი ხდება, ბოლოებში იყოფა. ტანსა და კიდურებზე ჩდება მოვარდისფრო-მოწითალო ლაქები.
ზოგჯერ მშრალი სებორეა ვლინდება მცირე ქერცლით, რომელიც ქერტლს მოგვაგონებს. ქერტლი სებორეის ერთ-ერთი ნიშანია. ამ ფორმას თავის თმიან ნაწილზე უხვი წვრილი ქერცლის გაჩენა ახასიათებს.
მშრალი სებორეა ეგზემური პროცესის რისკფაქტორია. ცხიმოვანი სებორის დროს მეტწილად ფერიმჭამელების წარმოშობა (აკნე) და თმის ცვენაა მოსალოდნელი. მაგრამ როგორც მშრალი, ისე ცხიმოვანი სებორეის დროს კანი უხეშდება და სქელდება, იღებს არაჯანსაღ ელფერს.
სებორეას აქვს მიდრეკილება ქრონიკული მიმდინარეობისა და ხშირი გამწვავებისკენ. სებორეის დიაგნოსტირება და მკურნალობა უნდა ჩაატაროს დერმატოლოგმა.

სებორეული დერმატიტი

სებორეულ დერმატიტს, ტრადიციისამებრ, ცალკე დაავადებად გამოყოფენ. იგი სებორეისგან იმით განსხვავდება, რომ მისი თავდაპირველი მიზეზია არა ცხიმოვანი ჯირკვლების მუშაობის დარღვევა, არამედ კანის ანთებითი დაავადება, რომელიც შემდგომ ცხიმოვანი ჯირკვლების მუშაობის დარღვევას, კანის დამცველობითი და ყველა სხვა ფუნქციის დაქვეითებას იწვევს, ეს კი, თავის მხრივ, დაავადების შემდგომი განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.
სებორეული დერმატიტი - ეს არის დერმატიტი, რომელიც ლოკალიზდება მხოლოდ ცხიმოვანი ჯირკვლებით მდიდარ უბნებში: სახეზე (შუბლზე, ცხვირზე, ცხვირ-ტუჩის სამკუთხედზე, ნიკაპზე), თავის თმიან ნაწილზე, დეკოლტეს ზონასა და ბეჭებზე. სებორეული დერმატიტი იწვევს სიწითლეს, აქერცვლას, კანის გასქელებას, მკვეთრ ქავილს. მისთვის ასევე დამახასიათებელია ქერტლი, თმის გამოფიტვა და დაზიანება.
განასხვავებენ თავის თმიანი ნაწილის სებორეული დერმატიტის სამ ფორმას:

- მშრალი ტიპის ანუ ჩვეულებრივი ქერტლი - ახასიათებს წვრილი ქერტლი, თმა სწრაფად არ ჭუჭყიანდება;
- ცხიმოვანი ტიპის ქერტლი - ახასიათებს სქელი ცხიმიანი, ყვითელი ქერტლი, რომელიც ეკვრის თმას; შესაძლოა, ქერტლი ერთმანეთს შეეწებოს; თმა ძალიან სწრაფად ჭუჭყიანდება;
- ანთებითი ტიპი - დამახასიათებელია ძლიერი სიწითლე, სისველე, ქავილი; დაზიანება სცდება თმოვანი საფარველის არეს.

სებორეული დერმატიტის გამომწვევი ფაქტორები სებორეის ანალოგიურია - ნეიროგენული, ჰორმონული, იმუნური. სებორეული დერმატიტი ძლიერდება ნერვული სტრესის, ჰორმონული ცვლილებისა და იმუნური სისტემის დასუსტების შემთხვევაში.
თუ სებორეულ დერმატიტს არ ვუმკურნალეთ, ის შესაძლოა სებორეულ უბნებს გასცდეს და ერითროდემიამდე განივრცოს (ერითროდემია კანის დიფუზური გაწითლებაა, რომელიც კანის მთელ საფარველს მოიცავს), ცალკეულ შემთხვევებში კი მეორეული ბაქტერიული

ინფექციით გართულდეს.
სებორეული დერმატიტი უმეტესად გვხვდება სამ წლამდე (დიათეზის სახით), სქესობრივი მომწიფების პერიოდში და 30-დან 70 წლამდე. მამაკაცებს უფრო ხშირად ემართებათ, ვიდრე ქალებს. აქვს მემკვიდრეობითი ხასიათი. უკეთესობა (ჩაცხრობა, რემისია) შეინიშნება ზაფხულობით, გამწვავება - შემოდგომაზე.

მკურნალობა

მკურნალობა ინიშნება ინდივიდუალურად გამოკვლევათა წყების შემდეგ. ზოგჯერ რამდენიმე სპეციალისტთან გამოკვლევაც კი ხდება საჭირო.
მკურნალობის ძირითადი საშუალებებია:

- პრეპარატები, რომლებიც აღადგენს ვეგეტაციური ნერვული სისტემის მუშაობას;
- ჰორმონული პრეპარატები, თუმცა ისინი ინიშნება მხოლოდ ძალიან მძიმე ფორმების დროს;
- განსაკუთრებული დიეტა. სასარგებლოა რძის ნაწარმი, კვერცხი, ხილი, ბოსტნეული (განსაკუთრებით - კომბოსტო და ჭარხალი), შვრიის (ჰერკულესის) ფაფა. უნდა შეიზღუდოს: ცხოველური ცხიმი (საქონლის, ღორისა და ცხვრის ქონი), მსუქანი ფრინველის ხორცი, კონსერვები, მლაშე და ცხარე პროდუქტები, საკაზმი (მდოგვი, პილპილი). ყოველივე ეს აუცილებელია მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად და კუჭ-ნაწლავის მუშაობის მოსაწესრიგებლად; B, A, D, E ვიტამინები, თუთიისა და გოგირდის პრეპარატები - ისინი აუცილებელია ორგანიზმისთვის, რათა იგი დამოუკიდებლად გაუმკლავდეს სებორეას;
- ფიზიოთერაპია: მასაჟი, კრიოთერაპია, მეზოთერაპია, ოზონოთერაპია, ფიტოთერაპია, დარსენვალი, ულტრაიისფერი სხივები.

ძალიან მნიშვნელოვანია კანისა და თმის მოვლა სახლის პირობებში. ხშირად ამისთვის საჭიროა სამკურნალო საშუალებების გამოყენებაც.
აუცილებელია ფიზიკური დატვირთვა: ჰაერზე სეირნობა, მზისა და ჰაერის აბაზანები, გაკაჟება, ცურვა ღია აუზში.
ვარჯიში აწესრიგებს სისხლის მიმოქცევასა და ნივთიერებათა ცვლას;
დაავადების მძიმე მიმდინარეობის შემთხვევაში ინიშნება ანტიმიკოზური პრეპარატები.
მშრალი სებორეის დროს ინიშნება 10%-იანი გოგირდის კრემი.

სებორეული ეგზემა

სებორეული ეგზემა (სებორეული ეგზემატიდი, სებორეიდი) კანის ცხიმოვანი ჯირკვლებით მდიდარი უბნების (თავის თმიანი ნაწილის, ყურის უკანა ზონების ცხვირ-ტუჩის ნაკეცის, ქუთუთოს კიდეების, ბეჭთაშუა არის, მკერდის ზედა ნაწილის და სხვა) ქრონიკული ანთებაა. სებორეიდი, წესისამებრ, იმუნური სისტემის დასუსტებისას ვითარდება. ასეთ დროს კანის სენსიბილიზაციას ანუ მგრძნობელობის მომატებას ხშირად საკუთარივე ექსკრეტი (ნივთიერებათა ცვლის საბოლოო პროდუქტი, რომელიც გამოიდევნება ორგანიზმიდან) ან

კანზე მობინადრე ბაქტერიების ცხოველქმედების პროდუქტები იწვევს.
ზოგიერთი ავტორი სებორეულ ეგზემას ქრონიკულ სებორეულ დერმატიტს მიაკუთვნებს, ზოგს კი მიაჩნია, რომ ეს ინფექციური დაავადებაა, რომელსაც სპეციფიკური მიკროორგანიზმი (მოროკოკი) ან სტრეპტოსტაფილოკოკი იწვევს.
სებორეული ეგზემის მიზეზებიდან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პიოკოკებს (ერთგვარი მიკროორგანიზმებია), განსაკუთრებით - ოვალურ პიტიროსპორუმს. ანტიგენებად შესაძლოა მოგვევლინოს კანდიდას ტიპის სოკო და სტაფილოკოკიც. დაავადების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნეიროენდოკრინული სისტემის დარღვევები და ორგანიზმის რეაქტიულობა. აღსანიშნავია ისიც, რომ სებორეულ ეგზემას კავშირი აქვს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკულ დაავადებებთან, ჰაიმორიტთან, კონიუნქტივიტთან (თვალის ლორწოვანი გარსის ანთება), რინიტთან (ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება), ნევროლოგიურ დარღვევებთან.

სიმპტომები და მიმდინარეობა

სებორეული ეგზემის დროს თავის თმიანი უბნების კანი გამომშრალი და ჰიპერემიულია, დაფარულია დიდი რაოდენობით ქატოსმაგვარი მორუხო ქერცლით, სეროზული ან სეროზულ-ჩირქოვანი მოყვითალო ფუფხით, რომლის მოცილების შემდეგაც კანზე სველი ზედაპირი რჩება. დაზიანებულ უბნებს აქვს მკვეთრი საზღვრები, თმა ამ ადგილებზე ერთგვარად შეწებებულია. კანის ნაკეცებში შეშუპება, ჰიპერემია, ღრმა მტკივნეული ნახეთქები აღინიშნება, დაზიანებული უბნების პერიფერიულ ნაწილს კი ყვითელი ქერცლი და ქერქი ფარავს. სხეულსა და კიდურებზე მოყვითალო-მოვარდისფრო ლაქები ჩნდება. კლინიკურად სებორეული ეგზემა ერითემულ ფოლაქებს წარმოადგენს (ერითემა სისხლძარღვთა გაფართოებით გამოწვეული კანის სიწითლეა). ეს ფოლაქები უმეტესად წვრილი პაპულების (მშრალი მუწუკების) ან მოყვითალო-მოვარდისფრო მიკრობუშტუკების გაერთიანებით წარმოიქმნება. პერიფერიებზე შერწყმის გამო დაზიანების კერები შედარებით გავრცობილ სახეს იძენს. პაციენტები წვასა და ქავილს უჩივიან. ქერქების მოცილებისას, განსაკუთრებით - კანის ნაკეცებში, კანი სველი და ეროზირებული რჩება.

მკურნალობა

სებორეული ეგზემის მკურნალობა კომპლექსურია. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანმხლები დაავადების კორექციას, ვიტამინოთერაპიას. პაციენტს უნიშნავენ სედაციურ პრეპარატებს, ანტიჰისტამინურ და მადესენსიბილიზებელ საშუალებებს (რომლებიც აქვეითებენ გამღიზიანებლისადმი ორგანიზმის მგრძნობელობას). დაავადების შედარებით მძიმე ფორმების დროს აუცილებელია გლუკოკორტიკოიდების გამოყენება. დიდი ყურადღება ეთმობა ადგილობრივ თერაპიასაც. თავის თმიანი ნაწილის დასაბანად პაციენტებს 2%-იანი კეტოფენაზოლის შამპუნის (ნიზორალის) გამოყენებას ურჩევენ. ამის შემდეგ კანი ჰიდროკორტიზონის შემცველი სპეციალური სითხით ან ლოსიონით უნდა დამუშავდეს. საგანგებო დამუშავება და მოვლა სჭირდება სხეულისა და სახის კანსაც. პიოკოკური ფლორის შეერთების შემთხვევაში აუცილებელი ხდება სამკურნალო

კომპლექსში ანტიბიოტიკების შემცველი კრემებისა და საცხების ჩართვა. მკურნალობის ტაქტიკას ექიმი დერმატოლოგი ადგენს პაციენტის მდგომარეობის, დაავადების ფორმისა და მიმდინარეობის შესაბამისად. აუცილებელია ძილისა და კვების რეჟიმის მოწესრიგება, სხვადასხვა სახის ალერგენსა და სტრესფაქტორთან კონტაქტის თავიდან აცილება, რაციონიდან კვერცხის, ნიგვზის, ყავის, შოკოლადის, ციტრუსების, ბულიონების, გაზიანი სასმელების ამოღება.

თმის ცვენა

თმის ცვენა – ფიზიოლოგიური პროცესია, რომლის დროსაც ძველი თმა (ტელოგენის ფაზის თმა) ცვივა და მის ნაცვლად ამოდის ახალი თმა. ნორმის ფარგლებში ითვლება დღეში 60 დან - 100 ღერამდე თმის ცვენა. რა თქმა უნდა შეუძლებელია დაცვენილი თმის ღერების რაოდენობის კონტროლი, მაგრამ თუ შენიშნავთ რომ გახშირდა თმის ცვენა, აუცილებელია რომ ჯანმრთელობის მდგომარეობას დააკვირდეთ.

თმის ცვენის ძირითადი მიზეზებია: ვიტამინების ნაკლებობა, ინფექციური დაავადებები, ანტიბიოტიკების მოზრდილი დოზებით მიღება, ჰორმონალური პრეპარატები, არასწორი კვება, ნერვიულობა და ა.შ.

ყველაზე ხშირად კი თმის ცვენის მიზეზი არის არასწორი მოვლა: ქიმიური დახვევა, ხშირი ღებვა, ფენის ხშირი და არასწორი გამოყენება, მეტალის აქსესუარების ხშირი გამოყენება,

ასეთ შემთხვევაში აუცილებელია თმის დიაგნოსტიკის გაკეთება სპეციალური აპარატებით, რომლებიც არის ხოლმე დიდ სალონებში ან თმის კლინიკებში.

დიაგნოსტიკის შედეგად, ინიშნება მიზანმიმართული მკურნალობა, მათ შორის კვების დარეგულირებისა და თმის მოვლის პროდუქტების სწორი ჩამონათვალის მითითებით.

აუცილებელია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თმის გახშირებული ცვენისას ადამიანში მომატებულ ან შემცირებულ ჰორმონებს, ეს ყველაფერი უნდა იქნას გამოკვლეული ლაბორატორიულად, სისხლის მეშვეობით.

გარდა თერაპიული მოვლისა, თმის ცვენას ებრძვიან სხვადასხვა პროცედურებით და ბოლოს ქირურგიული ჩარევითაც - თმის გადანერგვით.

თმის ცვენის შესაჩერებელი პროცედურებია:

პლაზმოლიფტინგი

პლაზმოლიფტინგი არის პაციენტისავე სისხლისგან დამზადებული მისივე თრომბოციტებით მდიდარი პლაზმის შეყვანა დაზიანების კერაში, რაც იწვევს რეგენერაციული პროცესების დაჩქარებას, მიკროცირკულაციის და უჯრედული მეტაბოლიზმის გაძლიერებას, თმის ფოლიკულების გადართვას მოსვენების (ტელოგენი) სტადიიდან ზრდის (ანაგენი) სტადიაში.

მეზოთერაპია

მეზოთერაპია არის უწვრილესი ნემსებით სამკურნალო პრეპარატების, ვიტამინების, ამინომჟავების და მიკროელემენტების მცირე დოზების შეყვანა დერმაში, უშუალოდ დაზიანების კერაში.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. რისგან შედგება კანი?
2. ჩამოთვალეთ კანის ფუნქციები
3. რისგან შედგება თმა?
4. სად მდებარეობს ტერმინალური თმა?
5. საშუალოდ რამდენი სმ-ით იზრდება თმა წელიწადში?
6. ჩამოთვალეთ თმის ზრდის ფაზები.
7. რაზეა დამოკიდებული თმის ფერი?
8. ჩამოთვლეთ თმის ტიპები
9. დაახასიათეთ ცხიმიანი თმა
10. როდის არ არის რეკომენდებული თმის ქიმიური დახვევა?
11. როგორ ვუვლით თმას ზაფხულში?
12. როგორ ვუვლით თმას ზამთარში?
13. თმის რა დაავადებებს იცნობთ?
14. ჩამოთვალეთ ქერტლის წარმოშობის მიზეზები.
15. ქერტლის რა სახეობებს ვიცნობთ?
16. რა არის სებორეა?
17. როგორ ვუმკურნალოთ სებორეას?

საპარიკმახერო ინსტრუმენტები

როგორც ყველა საქმიანობა, საპარიკმახერო საქმეც არ დგას ერთ ადგილზე. საპარიკმახერო ტექნოლოგიების მეშვეობით მუდმივად უმჯობესდება ინსტრუმენტები, რომლითაც მუშაობს პარიკმახერი და ასევე იქმნება ახალიც.

დამწყები პარიკმახერისათვის აუცილებელია მინიმალური ნაკრების ქონა:

სავარცხელი - საჭიროა სამი სახის სავარცხელი, თითოეული მათგანი ასრულებს გარკვეულ ოპერაციას:

სავარცხელი თხელი გრძელი ტარით და საკმაოდ ხშირი კბილანებით (მას უწოდებენ „კუდს“) არის ძირითადი სამუშაო სავარცხელი. მისი საშუალებით იოლია თმის კონის გამოყოფა. არის პლასტმასისა და ლითონის. ორივე საჭიროა. ლითონის სავარცხელი კარგად გამოიყენება თმის ასაჩეჩად, ხოლო ქიმიური დახვევის ან თმის შეღებვის დროს მისი გამოყენება არ შეიძლება, რადგან ლითონი რეაქციაში შევა ქიმიური დახვევის პრეპარატებთან და საღებავებთან. თმის ჭრის დროს ორივე სავარცხელი გამოიყენება.

სავარცხელი ტუშირებისთვის. მისი კბილანები განსხვავდება. ერთ მხარეს

კბილანები ხშირია, მეორე მხარეს - შეთხელებული. სავარცხელი უნდა იყოს დაახლოებით 20 სმ სიგრძის, ჰქონდეს ვიწრო პირი და ვიწრო ქარჩი.

სავარცხელი გრძელი მეჩხერი კბილანებით - გრძელი თმების ან დაზიანებული სტრუქტურის თმების დასავარცხნად. ასევე გამოიყენებენ ქიმიური დახვევის მერე თმების დასავარცხნად.

სავარცხელი-ჯაგრისი

ბრაშინგი ეს არის მრგვალი სავარცხელი-ჯაგრისი. ის გამოიყენება ფენით დავარცხნის დროს ძირებიდან თმების ასაწევად და მათ მოსამრგვალებლად. არსებობს სხვადასხვა დიამეტრის ბრაშინგები.

ჩონჩხისებრი სავარცხელი, ბრტყელი ან ამოღუნული ჯაგრისი განაჭერებით. გამოიყენება ფენით ვარცხნილობის დაყენების დროს. მოსახერხებელია ძირიდან თმის ასაწევად. სავარცხელზე არსებული განაჭერების საშუალებით ცხელი ჰაერი გადის სავარცხლიდან.



სამასაჟო სავარცხელი-ჯაგრისი - ნახევრად მრგვალი ჯაგრისი, რომელიც აფუებს თმებს. უკეთესია ლითონის კბილანებიანი სავარცხელი-ჯაგრისის გამოყენება, რადგან მისი დეზინფიცირება იოლია. რეზინის ფუძე, რაზეც კბილანები ზის, რბილი უნდა იყოს, ხოლო კბილანების ბოლოები გლუვად დამუშავებული.

ინდივიდუალური გამოყენებისთვის კარგია ხის კბილანებიანი ჯაგრისები (კბილანების კარგი დამუშავების შემთხვევაში), ასევე ჯაგრისები ბუნებრივი ჯაგარით.

საპარიკმახერო მაკრატელი

საპარიკმახერო მაკრატლის მოხმარების წესები:

1. მაქსიმალურად შეეცადეთ თავიდან აირიდოთ მაკრატლის დავარდნა ან მასზე მძიმე ნივთის დაცემა. თუ მაკრატელი დაგივარდათ შეწყვიტეთ მისი გამოყენება და აჩვენეთ სპეციალისტს, რომელიც შეაფასებს მის მდგომარეობას და პრობლემის შემთხვევაში გამოასწორებს მას.

2. ყურადღება მიაქციეთ მაკრატლის დამჭერების მოჭერას, მოჭერის სიმძლავრეს, ამაზე არის დამოკიდებული ინსტრუმენტის ვარგისიანობის ვადა და თქვენი კომფორტიც.

3. გამოყენების შემდეგ აუცილებლად გაწმინდეთ, კარგად გაამშრალეთ და დაკეტილ მდგომარეობაში შეინახეთ ქსოვილის საბურველში ან სპეციალურ შალითაში

4. პერიოდულად მოახდინეთ მაკრატლის დამუსავება სპეციალური ზეთოვანი ხსნარით.

5. გალესვა მიანდეთ მხოლოდ პროფესიონალებს, არ სცადოთ თვითნებურად.

6. არ შეეხოთ დამჭერ და სხვა მოწყობილობებს, რადგან 1 მმ-ით სხვაობამაც კი შესაძლოა ცუდ შედეგამდე მიგიყვანოთ.

7. რეგულარულად გალესეთ მაკრატელი, გახსოვდეთ ამაზე არის თქვენი კლიენტის კმაყოფილება დამოკიდებული.

საპარიკმახერო მაკრატლის შეძენისას ყურადღება მიაქციეთ:

1. მოხერხებულობა - მაქსიმალურად შეარჩიეთ თქვენთვის მოსახერხებელი მაკრატელი, დაუშვებელია კუნთების ზედმეტად დაძაბულობა მუშაობის პროცესში. გახსოვდეთ რომ მაკრატლების არაერთი სახეობა არსებობს და სასურველია ინდივიდუალურად აარჩიოთ თქვენზე მორგებული. ცალკე მაკრატლები არსებობს ე.წ. "ცაციებისთვის". მაკრატლები არსებობს სიმეტრიული, შერეული და ნახევრად სიმეტრიული სახელურებით.
2. აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ლითონის ხარისხი და ინსტრუმენტის დაფვარვა. კლასიკური მაკრატლის სიმტკიცის მაჩვენებელია 58-62 HRC როქველის სკალით. ქრომირებული ან ტიტანის დაფვარვა ხელს უწყობს მაკრატლის უფრო ხანგრძლივ გამოყენებას.
3. უნდა დააკვირდეთ მაკრატლის პირების გალესვის დონეს: რაც ნაკლებია გალესვის კუთხე (თვალითაც შეიძლება დანახვა) მით უფრო მჭრელია მაკრატელი. კლასიკური მაკრატლის გალესვა ხდება 40-50 გრადუსიანი კუთხით. სტანდარტული (რეგულარული) მაკრატლის გალესვა 42-45 გრადუსიანი კუთხით. არსებობს ასევე 38 გრადუსიანი გალესვის კუთხე, რომელიც გამოიყენება იმ მაკრატლებისთვის, რომლებითაც სრულდება ე.წ. სრიალა შეჭრა (sliding cut). გალესვის ამ ტიპს "კონვექსი: ეწოდება.
4. სწორად დარეგულირება - მიაქციეთ ყურადღება რომ მაკრატლის დამჭერები თქვენი მოთხოვნის მიხედვით იყოს დარეგულირებული, რბილად იხსნებოდეს და იხურებოდეს.
5. თმის საჭრელი ინსტრუმენტი ს ხარისხზე გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი: ერგონომიკა, ლითონისა და დაფვარვის ხარისხი, დიზაინი და მწარმოებელი ბრენდი.

მაკრატლის ტიპები:

მაკრატლები არსებობს სწორი, ფილირების და ე.წ. დროშისებური

სწორი მაკრატელი - ჩვეულებრივი საპარიკმახერო მაკრატელი დამზადებული უნდა იყოს მაღალხარისხიანი ფოლადისგან და უნდა იყოს კარგად გალესილი. თითების განლაგება მაკრატელში ასეთია: ერთ რგოლში შევყოფთ ცერა თითს, მეორეში - არათითს, ამავე რგოლს შეიძლება ჰქონდეს გამაძლიერებელი ბერკეტი, რომელზეც ცერა თითი იდება.

ფილირების მაკრატელი - თმის დასათხელებელი. ასეთ მაკრატელს პირებზე გააჩნია კბილანები, რომელთა მეშვეობით თმის სიგრძე ბოლოებში განსხვავებული ხდება. ფილირების სიმაღლე დამოკიდებულია დასათხელებელი მაკრატლის კბილანის ზომაზე. უმჯობესია გამოიყენოთ ორმხრივი ფილირების მაკრატელი.

დროშისებური მაკრატლის დანიშნულებაა შეჭრა და ფილირება. ასეთ მაკრატლებში ერთ მხარეს არის სწორი საჭრელი პირი, მეორე მხარეს კი კბილანისებრი. ხშირ შემთხვევაში კბილანები ეცვლება ზომების მიხედვით.

რჩევა: მაკრატლის არჩევისას დარწმუნდით იმაში, რომ მაკრატლის პირები მჭიდროდ ჯდება ერთმანეთში. ამისთვის საჭიროა შევხედოთ სინათლეზე, ღრიჭო არ უნდა ჩანდეს. აამუშავეთ მაკრატელი, ის არც ძალიან თავისუფლად უნდა მოძრაობდეს, არც ძალიან მოჭერილად. მაკრატელი ყოველთვის შეინახეთ შალითაში.

სამაგრები - არსებობს როგორც პლასტმასის, ისე ლითონის, რომლებითაც იმ თმას ამაგრებენ, რომელიც ხელს უშლის შეჭრის დროს.

ფენი - სამუშაოდ უკეთესია პისტოლეტის ფორმის მქონე ფენი, რომელიც გამოიყენება თმის ასაფუებლად. ფენის გამოყენებისას არ არის საჭირო თმის გაშრობა ძალიან ცხელი ჰაერით, რადგან ამ დროს თმის ბოლოები იყოფა.

კულულების დასახვევი ინსტრუმენტები

თმის დასახვევი უთო გლუვი ზედაპირით და გვერდულა სამაგრით. გამოიყენება კულულების დასახვევად და ნებისმიერი სიგრძის თმის ვარხცნილობის გასაკეთებად. თმის უთო სხვადასხვა დიამეტრის არის.

თმის დასახვევი უთო გამოსაწევი პლასტმასის კბილებით. გამოიყენება აფუებული კულულების გასაკეთებლად.

რჩევა: თმის უთოს ხშირი გამოყენება აზიანებს თმებს. დაზიანება რომ შევამციროთ, თმა დახვევის წინ უნდა დაასველოთ თმის ლოსიონით, ქაფით ან მუსით. იგივე საშუალებები გამოიყენება დასაფიქსირებლად. არ შეიძლება უთოს გამოყენება რამდენიმე დღე ქიმიური დახვევის შემდეგ, რადგან თმას ძლიერ აზიანებს.

დამათხელებელი (ფილირების) სამართებელი - ამ ინსტრუმენტით სრულდება ვარცხნილობები, რომლებიც გამოირჩევიან მწყობრი ხაზებით და დასრულებული ფორმებით. დამათხელებელ (ფილირების) მაკრატელთან ერთად, ის ასევე გამოიყენება ფილირებისთვის.

სასხურებელი - გამოიყენება თმის დასასველებლად შეჭრის დროს.

თმის საკრეჭი მანქანა - მანქანას აქვს სხვადასხვა საცმები, რომელთა დახმარებითაც შესაბამისად თმები იჭრება სხვადასხვა სიგრძეზე. არსებობს მანქანები საცმების გარეშეც, მაგრამ მისი მოხმარება ახალბედას გაუჭირდება.

თმის საკრეჭი აპარატი არსებობს ვიბრაციული და როტორული.

ვიბრაციული აპარატის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედებების შესრულებისას 2 სამართებელი ასრულებს უკუქცევით მოძრაობებს და ასე ხდება მათ მუშაობის არეში არსებული თმის შეჭრა. ამ ტიპის აპარატები მართალია შედარებით იაფფასიანია, მაგრამ ამასთანავე აქვთ ერთი ნაკლი - საკმაოდ დაბალ სიმძლავრეზე მუშაობს (8-15ვატი), რაც დაკმაოდ დამღლელია. ეს აპარატები მოუხერხებელია პირების გამოცვლის კუთხითაც, უნდა დაიშალოს და ისე ეცვლება პირები.

როტორული აპარატი მუშაობს სპეციალურ როტორულ ძრავზე 24 დან 40 ვატამდე სიმძლავრის. ეს ყველაზე გავრცელებული ტიპია საკრეჭი აპარატების, რომლებსაც იყენებენ პროფესიონალი დალაქები რადგან მათი სიმძლავრე იძლევა საშუალებას უფრო სწრაფად იმუშაონ. ამ აპარატს კომპკლექტში მოყვება მთელი რიგი მოსახსნელი საცმები, თმის შეჭრის სიგრძისა და ფორმის რეგულირებისათვის.

თმის საკრეჭი აპარატები არსებობს აკუმულატორზე მომუშავე და დენის წყაროზე მომუშავე.

აქვე უნდა გამოვყოთ ტრიმერები - აპარატი, რომელიც განკუთვნილია წვერისა და ულვაშის შესაკრეჭად ან შესასწორებლად და კონტურის შესაქმნელად. ამ აპარატს მოყვება სხვადასხვა სისქის საცმები.

ამ ინსტრუმენტების არჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს სამართებლის მასალას, აუცილებლად უნდა აირჩიოთ სამართებლები უჟანგავი ლითონისგან.

ინსტრუმენტები ვარცხნილობებისთვის:

თმის სარჭები - მეტალის თმის სარჭები, რომლებიც არსებობს სხვადასხვა ზომისა და სისქის.

მეტალის უხილავი სამაგრები - თმის უხილავი სამაგრები, რომლებიც დამზადებულია მეტალისგან და არის სხვადასხვა ზომის.

ბადე - ვარცხნილობის შექმნის დროს თმის დასამაგრებლად



ვარცხნილობის ფორმისა და მოცულობის მისაცემი გორგოლა.

ინსტრუმენტების დამუშავება

ინსტრუმენტები უნდა დამუშავდეს ყოველი შეჭრის შემდეგ. პლასტმასის ინსტრუმენტები მუშავდება ქლორამინი Б-ს ხსნარით (ერთი ჩაის კოვზი ქლორამინი Б ერთ ლიტრ წყალზე). ინსტრუმენტებს ათავსებენ ხსნარში 15-20 წუთის განმავლობაში. სამუშაო მაგიდა მუშავდება იგივე ხსნარით. ლითონის ინსტრუმენტები უმჯობესია დამუშავდეს სპირტით.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. თავისა და თმის დაბანის რა ტიპები არსებობს?
2. ჩამოთვალეთ შამპუნების ტიპები
3. რისი ფორმა გააჩნია თხემის ზონას?
4. აღწერეთ მაკრატლის ხელში დაჭერის წესი?
5. რამდენი ტიპის თმის საკრეჭ აპარატს ვიცნობთ?
6. რა მასალის უნდა იყოს სამართებელი?
7. ჩამოთვალეთ ვარცხნილობის შესაქმნელად დაჭირო ინსტრუმენტები

რჩევა: *ინსტრუმენტების დამუშავების, სალონის ჰიგიენისა და სანიტარული ნორმების შესახებ შეგიძლიათ იხ.* ***საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებაში „ტექნიკური რეგლამენტი – საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ“***

სანიტარია - (ლათ. sanitarius – ჯანმრთელობის ხელშემწყობი) პრაქტიულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია მეცნიერული ჰიგიენის მიერ შემუშავებული ნორმატივებისა და მოთხოვნილებების განსახორციელებლად. სანიტარია ამავდროულად სისუფთავისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობაა.

ჰიგიენა - (ბერძნული სიტყვაა და „ჯანმრთელობის მომტანს“ ნიშნავს) — თანამედროვე გაგებით ჰიგიენა პროფილაქტიკური მედიცინის ნაწილია, რომელიც სწავლობს გარემოპირობების გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ეს არის კომლექსური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის ორგანიზმზე. ჯანმრთელობაზე, შრომისუნარიანობაზე, სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გარემოს ფაქტორების გავლენას.

დეზინფექცია – დაავადების გამომწვევი ბაქტერიების მოცილების პროცესი დაბინძურებული ინსტრუმენტებიდან, ტანსაცმლიდან, ახლომყოფი საგნებიდან – მათზე მადეზინფიცირებელი საშუალებების ფიზიკური ან ქიმიური ზემოქმედებით

დეზინფექციას უნდა დაექვემდებაროს ყველაფერი რასაც არ აქვს შეხება ჭრილობასთან, სისხლთან ან საინექციო პრეპარატებთან.

ის საგნები, რომლებიც გამოიყენება უშუალოდ მანიპულაციების დროს ექვემდებარება სტერილიზაციის წინა დეზინფექციას.

სტერილიზაცია – ყველა სახის მიკროორგანიზმის განადგურების პროცესი, მათ შორის სპორების სითბოს, გამოსხივების, ქიმიური ნივთიერებებით ზემოქმედების ან ფილტრაციით. სტერილიზაციას ექვემდებარება ყველა საგანი რომელსაც შეხება აქვს ჭრილობასთან, სისხლთან ან საინექციო პრეპარატებთან, ასევე ცალკეული სამედიცინო ინსტრუმენტები, რომელთაც შეხება აქვთ ლორწოვან გარსთან და შეუძლიათ გამოიწვიონ მისი დაზიანება. ათასწლეულები სტერილიზაციის მიზნით იხმარებოდა ვერცხლი, საკვების შესანახად, ან ხდებოდა მასში განბანვა, დასნებოვნების თავიდან ასაცილებლად.

დაწესებულებაში, რომელშიც წარმოებს ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურები ადამიანის კანის საფარველზე, ინფექციების პრევენციის ღონისძიებების ეფექტიანად

განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა ღონისძიებათა კომპლექსის გატარება, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

1. ხელების ჰიგიენა
2. ხელთათმანების გამოყენება
3. სამუშაო ადგილის რეგულარული გასუფთავება და სისუფთავის დაცვა.
4. სამუშაო ინსტრუმენტების სტერილიზაცია
5. სამუშაო ადგილის დეზინფექცია
6. ნარჩენების უსაფრთხოდ შეგროვება და გატანა.
7. სამუშაოდ შესაბამისი გარემოს მოწყობა.

ხელების დაბანა ინფექციური დაავადებებისგან თავდაცვის ყველაზე მარტივი და მეტად ეფექტური საშუალებაა.

ხელის დაბანის საზოგადოდ აღიარებული ტექნიკა რამდენიმე ნაბიჯისაგან შედგება. ჯერ უნდა დავისველოთ ხელები და დავიტანოთ საპონი, ისე რომ საპნით დაიფაროს ხელების მთლიანი ზედაპირი ყველა მხრიდან, მათ შორის თითებს შორის სივრცეები და ფრჩხილების ირგვლივ მიდამოები. ასევე კარგი იქნება მკლავის ხილული ნაწილების დაბანაც. ხელები დაახლოებით 20 წამის განმავლობაში უნდა ვისაპნოთ და ავაქაფოთ. ამის შემდეგ უნდა ჩამოვიბანოთ ხელები თბილი გამდინარე წყლით. ხელების გასამშრალებლად უმჯობესია ქაღალდის ერთჯერადი ხელსახოცის გამოყენება, რათა თავიდან ავიცილოთ მიკრობებით თავიდან დაბინძურება.

სტერილური ხელთათმანის ჩაცმამდე სავალდებულოა დაიბანოთ ხელები.

ხელთათმანიც უნდა შეირჩეს ხარისხიანი, ასეთი ტიპის ხელთათმანი დამუშავებულია სილიკონის საცხით, რომ გაადვილდეს მისი მორგება. შენარჩუნებულია კანის სინოტივის ბალანსი,

ნაკლებად ხდება მისი გაღიზიანება და რაც მთავარია, პიროვნება რომელიც იყენებს მათ თავს გრძნობს კომფორტულად და იზრდება მისი შრომისუნარიანობა.

სამუშაო ადგილის რეგულარული დასუფთავება სილამაზის სფეროში მომუშავე პირისთვის ერთ ერთი უმთავრესი მოთხოვნაა. აუცილებელია სამუშაო ადგილი აჭღურვილი იყოს ცივი და ცხელი წყლით.

უნდა მოხდეს სამუშაო გარემოს სველი და მშრალი დასუფთავება წყლითა და სპეციალური საშუალებებით. თავსაბანისა და სავარძლის გაწმენდა ყოველი გამოყენების შემდეგ. უნდა ხდებოდეს სამუშაო ადგილის რეგულარული ვენტილაცია.

სამუშაო ინსტრუმენტები უნდა გასუფთავდეს ყოველი გამოყენების შემდეგ და უნდა მოხდეს მათი სტერილიზება და მშრალ სუფთა გარემოში შენახვა.

ინსტრუმენტების დამუშავება

ინსტრუმენტები უნდა დამუშავდეს ყოველი შეჭრის შემდეგ. პლასტმასის ინსტრუმენტები მუშავდება ქლორამინი Б-ს ხსნარით (ერთი ჩაის კოვზი ქლორამინი Б ერთ ლიტრ წყალზე). ინსტრუმენტებს ათავსებენ ხსნარში 15-20 წუთის განმავლობაში. სამუშაო მაგიდა მუშავდება იგივე ხსნარით. ლითონის ინსტრუმენტები უმჯობესია დამუშავდეს სპირტით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირსახოცებსა და თეთრეულს, ისინი უნდა ინახებოდეს სპეციალურად გამოყოფილ მშრალ და სუფთა ადგილას. არ უნდა მოხდეს ძირს დავარდნილი ინსტრუმენტის გამოყენების გაგრძელება, ან უნდა გასუფთავდეს საგულდაგულოდ, ან უნდა მოხდეს მისი ჩანაცვლება სათადარიგო ინსტრუმენტით.

დაწესებულებაში გამოყენებული ქიმიური საშუალებები უნდა ინახებოდეს განცალკევებით, ორიგინალურ შეფუთვაში, უსაფრთხოების წესების დაცვით.

დალაგებისა და დეზინფექციის დროს პერსონალმა უნდა გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (მაგ.: ხელთათმანები, ნიღაბი).

ინსტრუმენტების სტერილიზაციის ეტაპები

არსებობს სტერილიზაციის სამი სახეობა:

1. **ორთქლის მეთოდი (წყლით გაჯერებული ორთქლი გარკვეული წნევის ქვეშ)**

   მეთოდის განსახორციელებლად გამოიყენება ავტოკლავი.

ტემპერატურა 121-134 გრადუსი

წნევა 1.1.-2.0 ბარელი

დრო 5-20 წუთი

მთლიანი ციკლი 6-30 წუთი

სტერილდება ლითონი, შუშა, ტექსტილი, რეზინი, ლატექსი, პოლივინილქლორიდი

მასტერილიზებელი აგენტი ორთქლი, ტემპერატურა, წნევა.

უპირატესობა

მთლიანი მოკლე ციკლი

შესაძლოა თერმომგრძნობიარე საგნების სტერილიზაცია

სხვადასხვა სახის შეფუთვების გამოყენება

2. სტერილიზაციის აეროვანი მეთოდი (მშრალი ცხელი ჰაერი)

გამოიყენება მშრალი სიცხის კარადა

ტემპერატურა 160-180 გრადუსი

დრო 30 წუთი

მთლიანი ციკლი 75-120 წუთი

სტერილდება ლითონი, შუშა,

მასტერილიზებელი აგენტი ტემპერატურა.

ნაკლი

გრძელი ციკლი

მაღალი ტემპერატურით ინსტრუმენტების დაზიანების ალბათობა

ზემოქმედება მხოლოდ ტემპერატურით

3. ქიმიური მეთოდი (ქიმიური ხსნარები)

გამოიყენება ქიმიური დეზინფექტანტები

ტემპერატურა 18-50 გრადუსი

დრო 240-300 წუთი

სტერილდება ლითონი, შუშა, პილიმერი, რეზინა.

მასტერილიზებელი აგენტი წყალბადის ზეჟანგი, დეზოქსონი, ქიმიური ნივთიერება.

უპირატესობა

არ არის საჭირო სპეციალური მოწყობილობა

აუცილებლად უნდა მოხდეს ინსტრუმენტების კარგად გასუფთავება სტერილიზაციამდე, დაუშვებელია სტერილიზაციის ჩატარება ინსტრუმენტებზე საგულდაგულოდ დამუშავების გარეშე.

სტერილიზაციის დაწყებამდე უნდა მოხდეს ხელების კარგად დაბანა და ხელების ჰიგიენის შემდეგ ხელთათმანების ჩაცმა. ხელები თუ არ იქნება სუფთა, მოხდება გასუფთავებული ინსტრუმენტის ხელახალი დაბინძურება, რაც დაუშვებელია.

გასუფთავებული ინსტრუმენტები უნდა მოთავსდეს შესაბამის სასტერილიზაციო პაკეტში და დაილუქოს. სტერილიზაციის შემდეგ ხელსაწყოები სტერილურობას ინარჩუნებს დალუქული სასტერილიზაციო პაკეტის გახსნამდე. პაკეტის დაზიანების ან დასველების შემთხვევაში სტერილიზაციის უზრუნველყოფა ვერ განხორციელდება. პაკეტის დაზიანების ან დასველების შემთხვევაში უნდა მოხდეს ინსტრუმენტების რესტერილიზაცია ან მათი დაწუნება. საჭიროა ინსტრუმენტების სათანადო შეფუთვის უზრუნველყოფა

ეტაპები	კომენტარები
თითოეული პაკეტისთვის გამოყენებულ უნდა იქნას ტემპერატურის მიმართ მგრძნობიარე ქიმიური ინდიკატორები	ტემპერატურის მიმართ მგრძნობიარე ქიმიური ინდიკატორების გამოყენებით შესაძლებელია პაკეტში მიმდინარე პროცესის დაუყოვნებლივი ვიზუალური დეტექცია. ***შენიშვნა:*** · მხოლოდ ქიმიური ინდიკატორების ფერის შეცვლა არ არის საკმარისი ინსტრუმენტების სტერილობის შესაფასებლად. · სტერილიზაციის წარმატებული ციკლის დადასტურება მხოლოდ სათანადო ბიოლოგიური ინდიკატორების საშუალებით არის შესაძლებელი
სტერილიზატორი შეავსეთ თანაბრად, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი გადატვირთვა, იმოქმედეთ მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით	სტერილიზატორის გადატვირთვამ შესაძლოა ხელი შეუშალოს ეფექტურ სტერილიზაციას. შეფუთვებს შორის უნდა იყოს თავისუფალი სივრცე
დაიწყეთ სტერილიზაციის პროცესი	სტერილიზაციის დრო ტემპერატურა, წნევა და ციკლები შესაძლოა ვარირებდეს იმის მიხედვით, თუ რომელი სტერილიზატორი გამოიყენება. ყველა შემთხვევაში იმოქმედეთ მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით. მშრალი გაცხელების და აუტოკლავით სტერილიზაციისას დროის ათვლა არ იწყება, სანამ სათანადო ტემპერატურა არ მიიღწევა
სტერილიზაციის ციკლის დასრულების შემდეგ ამოიღეთ ინსტრუმენტები	დარწმუნდით, რომ სტერილიზატორის სათავსოდან ამოღებამდე ინსტრუმენტები არის მშრალი. სტერილური ინსტრუმენტები შესაძლოა დაბინძურდეს სველი პაკეტის ხელით აღების შემთხვევაში
სტერილური ინსტრუმენტები შეინახეთ სუფთა, მშრალ, მტვრის, ჭუჭყისა და ნესტისაგან დაცულ ადგილზე. სტერილური ინტრუმენტები უნდა შენახული იქნას იატაკიდან მოშორებით	სტერილური შეფუთვების გამოყენება მათი დაბინძურების რისკს ზრდის. სტერილური ინსტრუმენტები შენახული უნდა იყოს დაბინძურებული ინსტრუმენტებისგან განცალკევებით
გააკეთეთ თითოეული სტრილიზაციის ციკლის აღრიცხვა/ჩანაწერი	განახორციელეთ თითოეული დატვირთვის, ტემპერატურის, ციკლის ხანგრძლივობა დ.ა.შ. მონიტორინგი

ნარჩენების მოცილება ინსტრუმენტებიდან: ძირითადად ხდება წყლით რეცხვით და გახეხვით. ამ პროცესის დროს ხდება მიკროორგანიზმების პირველადი მოცილება მექანიკურად, მაგრამ არ ხდება ზედაპირზე დარჩენილი მიკროორგანიზმების განადგურება/გაუვნებელყოფა; საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებაში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა (შეგროვება, სეპარაცია, შენახვა-დასაწყობება, გატანა-ტრანსპორტირება, აღდგენა და განთავსება) უნდა ხორციელდებოდეს ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად, ნარჩენების სახეობების, მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით ისე, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება.

ნებისმიერი ნარჩენი პროდუქტი უნდა იქნეს გადაგდებული, არ უნდა ჩაბრუნდეს თავდაპირველ კონტეინერებში და არ უნდა იყოს გამოყენებული მეორე მომხმარებელზე.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. **რა არის ჰიგიენა?**
2. **რა არის დეზინფექცია?**
3. **აღწერეთ ხელების ჰიგიენა**
4. **როგორ ხდება ინსტრუმენტების დამუშავება?**
5. **სტერილიზაციის რამდენ სახეობას ვიცნობთ?**
6. **როგორ ხდება გასუფთავებული ინსტრუმენტების შენახვა?**
7. **რა არის სტერილიზაცია?**
8. **ჩამოთვალეთ ორთქლის მეთოდით სტერილიზაციის უპირატესობები.**
9. **როგორ ხდება ნარჩენების მოცილება ინსტრუმენტებიდან?**

ამ თავში შეისწავლით თავისა და მათ გამყოფ არეებს, მათ დანიშნულებასა და მნიშვნელობას ვარცხნილობათა მოდელირებისათვის. თმის შეჭრის სახეებსა და მათი შესრულების ტექნოლოგიას, ასევე მაკრატლისა და სავარცხლის სწორად ჭერისა და გამოყენების წესებს.

თავის არეები



კეფის ზედა არე

კეფის ზედა არეს მართკუთხა ფორმა გააჩნია. ზევით ის შემოსაზღვრულია თარაზული (ჰორიზონტალური) გაყოფით, რომელიც გამოყოფს ფრონტალური თხემის არეს. გვერდებში ის შემოსაზღვრულია საფეთქელ-გვერდითი არეებით, რომელიც გამოყოფილია შვეული (ვერტიკალური) გაყოფით. კეფის ქვედა ნაწილისგან, გამოყოფილია ჰორიზონტალური გაყოფით, რომელიც გადის ყურიდან ყურამდე კეფის შვერილზე.

კეფის ზედა არე ითვლება გარდამტეხ არედ, ანუ გარდამავალ ზონად, თხემსა და კეფის ქვედა ნაწილს შორის. მოდელირებისთვის ამ არეს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის განსაზღვრავს ვარცხნილობის სილუეტს. ვარცხნილობის გაკეთებისას სწორედ აქ ფორმირდება კონები, კუდები, კვანძები, ნიჟარები. კონსტრუქციებში განსაკუთრებით ქალის რთულ ვარცხნილობებში ბევრი მათი ელემენტი განთავსებულია კეფის ზედა ზონაში.

ჰორიზონტალური გაყოფა, რომელიც გამოყოფს კეფის ზედა ნაწილს ფრონტალური თხემის ნაწილისგან, გადის კინკრიხოზე. ამგვარად, კინკრიხო ხვდება ორივე ზონაში. იქიდან იწყება ეგრეთ წოდებული თმის მასის მიმართულება, რომელიც კინკრიხოდან იშლება. საკმაოდ ხშირად სწორედ კეფის ზედა ნაწილში ფორმირდება ქოჩორი. მათი რაოდენობა და ფორმა განსხვავებულია.

ფრონტალური თხემის არე



ფრონტალური თხემის არეს თვლიან ჰორიზონტალურად. მისი წინა საზღვარია შუბლზე თმის ზრდის ხაზი. გვერდებიდან ის შემოსაზღვრულია საფეთქელ-გვერდითა არეებით, ხოლო უკან - კეფის ზედა ნაწილით. ხშირად თხემის მიდამოს უკანა საზღვარი გაჰყავთ იმ ხაზზე, რომელიც კინკრიხოზე გადის. ადამიანების უმრავლესობას სწორედ კინკრიხოდან ეზრდება თმა კეფიდან სახის მიმართულებით. ყველა მეზობელ ზონაში ისინი ჩვეულებრივ მიმართულია კინკრიხოდან ქვევით ან გვერდით, ყურებისკენ.

ფრონტალური თხემის მიდამოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს შუბლზე შეჭრილი თმის ე.წ. "ჩოლკის" არე. ეს ორი არე მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ზოგიერთი სპეციალისტი ასე განმარტავს "ჩოლკას" - ტოლგვერდა სამკუთხედი, რომლის ერთი მხარე შუბლზე თმების ზრდის ხაზის პარალელურია, და ამასთანავე ამ მხარის სიგრძე თვალების გუგებს შორის მანძილის ტოლია. სამკუთხედის წვერო შეიძლება მდებარეობდეს სახიდან ნებისმიერ მანძილზე, ანუ კინკრიხოსთან ახლოს ან მოშორებით. წვერო რაც უფრო ღრმადაა შეჭრილი თმის საფარველში, მით უფრო მეტი თმა შევა "ჩოლკის" სამკუთხედში, და ის უფრო ხშირი იქნება.

ფრონტალური თხემის ზონაში იქმნება შეჭრილი თმის და ვარცხნილობების დიდი უმრავლესობა.





საფეთქელ-გვერდითა არეები

საფეთქელ-გვერდითა არეები ყველაზე პატარა არეებია თავზე. ოპტიმალური ზომა თითოეული საფეთქლის არისთვის განისაზღვრება ასე: საჩვენებელი თითი და შუა თითი უნდა შევაერთოთ, მივიდოთ თავზე ყურთან ახლოს სახის მხრიდან ისე, რომ თითები მიმართული იყოს შვეულად (ვერტიკალურად). თუ ისინი ფარავენ მთელ არეს, მისი ზომა სწორადაა არჩეული.

საფეთქელ-გვერდითა არის წინა საზღვარს წარმოადგენს სახის ახლოს თმის ზრდის ხაზი, ზედა საზღვარს - გვერდითა გაყოფა (пробор), რომელიც გამოყოფს ფრონტალური თხემის არეს. ამ არის უკანა საზღვარი გადის ვერტიკალურ ხაზზე, რომელიც გამოდის ყურის ნიჟარის ზედა ნაწილის დამაგრების ადგილიდან გვერდითა გაყოფამდე. თმა, რომელიც უშუალოდ ყურის ზევით იზრდება, მიეკუთვნება უკვე კეფის არეს.

საფეთქელ-გვერდითა არეს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია ვარცხნილობის კონტურის ფორმირებასას. ვარცხნილობის სირთულის მიუხედავად საფეთქლები აუცილებლად უნდა დამუშავდეს განსაკუთრებული გულმოდგინებით. სწორედ

საფეთქელ-გვერდითა არე განსაზღვრავს შეჭრილი თმის გარეგნულ იერს ანფასში და პროფილში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოკლედ შეჭრილი თმისთვის, რადგან ყველაზე ხშირად ამ დროს საფეთქლები რჩება ღია. არასწორად ან არათანაბრად შეჭრილი საფეთქლის არეები ყოველთვის თვალში საცემია.

საფეთქელ-გვერდითა მიდამოები საკმაოდ ხშირად უქმნის პარიკმახერს უამრავ პრობლემას. თითოეულ ადამიანს თმა საფეთქელზე ეზრდება ძალიან ინდივიდუალურად. მათი ზრდის მიმართულება შეიძლება იყოს ნებისმიერი: სახიდან კეფისკენ, კეფიდან სახისკენ, კინკრიხოდან ღაწვებისკენ, სახიდან ყურის ქვედა კიდისკენ. ამის გარდა სხვადასხვა ადამიანს თმის ზრდის ხაზი სხვადასხვა ადგილას აქვს. ნორმად ითვლება, თუ ის გადის ღაწვის რკალის დონეზე. თუ ზრდის ხაზი გადის ზევით, მას ეძახიან მაღალს ან აწეულს, თუ ქვევით - დაბალს ან დაწეულს. თუ თმის ზრდის ხაზი აწეულია ან დაწეულია, მას კორექტირებას უკეთებენ - ვარცხნილობას ისე ამოდელირებენ, რომ საფეთქელი და ლოყის ნაწილი დაფარული იყოს კულულებით, დალალებით, დახუჭუჭებული თმებით.

ბოლო წლებში ოსტატმა-სტილისტებმა დაიწყეს საფეთქლებზე გაზრდილი თმის მამაკაცურ და ქალურ სახეებად დაყოფა. საპარიკმახერო ხელოვნებაში არსებობს განსაზღვრული სტანდარტები, რომლებიც აკონტროლებენ მხატვრულად გაფორმებული ვარცხნილობების შესრულებას. მასზე დაყრდნობით მიჩნეულია, რომ თმის ზრდის დაბალი ხაზი ქალებში და მაღალი კაცებში ნორმიდან გადახვევაა.

თავის ზონების დახასიათება



კეფის ქვედა ნაწილი ითვლება თავზე თმის ზრდის უკანა (ზურგის) არედ. მის ზედა საზღვარს წარმოადგენს თმის თარაზული (ჰორიზონტალური) გაყოფა ყურიდან ყურამდე კეფის ბორცვების გავლით, რომელიც გამოყოფს მას ზედა

კეფის მიდამოსგან. მიდამოს ქვედა და გვერდითი საზღვრები განისაზღვრება თმის ზრდის ხაზით ყურების მიმაგრების ადგილიდან კისრის შუა ნაწილამდე.

ქვედა კეფის არე საკმაოდ რთული მონაკვეთია ვარცხნილობის მოდელირების გეგმაში. ის ძნელად მისადგომია, მისი შეჭრა ცოტა მოუხერხებელია. ვარცხნილობის პროფილის ფორმირების პროცესში განსაკუთრებულ სირთულეს კეფის ქვედა ნაწილი იწვევს. შეჭრის დროს ხშირად გვიწევს თავის დახრა, ეს კი კანზე ნაოჭებს აჩენს. ბევრ ადამიანს კანქვეშა ქონის ფენა ძალზე განვითარებული აქვს, ამიტომ ნაოჭები დიდია. ისინი ქმნიან თავის უსწორმასწორო რელიეფს, თმის მასის კონტურიც მრუდდება. ეს ყველაფერი ფრიად აძნელებს თმის შეჭრის ან ვარცხნილობის პროფილის შექმნას.

სირთულეს არ წარმოადგენს ვარცხნილობის შექმნა, სადაც თმები თავისუფლად ჩამოშლილია თავისი ბუნებრივი ზრდის მიმართულებით. ხოლო ისეთი ვარცხნილობებისთვის, სადაც თმის ზევითაა აპრეხილი კომპოზიციის ცენტრისკენ ან კინკრიხოსკენ, პროფილის ფორმირება და გვერდითი სილუეტის ხაზი მოითხოვს მეტისმეტად გულმოდგინე და მარჯვე დამუშავებას.

ცალკე ყურადღებას მოითხოვს კეფის ქვედა მიდამოს პატარა მონაკვეთი, რომელიც ერთვის კისერზე თმების ზრდის ხაზს. ეს იმითაა მნიშვნელოვანი, რომ სწორედ ის განსაზღვრავს თმისთვის კონტურის შემოვლების ხაზს, განსაკუთრებით მოკლე თმისას. თმის ზრდის ხაზი ყველა ადამიანს უნიკალური აქვს, როგორც ფორმით, ისე დონით. ის შეიძლება იყო მაღალი ან დაბალი, ხოლო მამაკაცებში პირდაპირ გადადიოდეს ზურგის თმებში. ვარცხნილობების დიდი უმრავლესობისთვის, სადაც კისერი ჩანს, კონტური უნდა იყოს მკაფიო და სწორი. საჭიროა თმების ზრდის საწყისი საზღვრის კორექტირება, კისერზე ღინღლის მოპარსვა, რათა შევქმნათ კონტურის მკაფიო ხაზი.
კისერზე თმის ზრდის ხაზს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ფორმა. ზოგს აქვს გამოწეული ან შეწეული რკალის ფორმა, ზოგს კისრის ცენტრში თმები ერთად უგროვდება. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორიც არ უნდა იყოს ზრდის ზღვარი, ქვედა კეფის ზონაში თმის შეჭრის დროს მისი კონფიგურაცია გასათვალისწინებელია.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. რა სახის გაყოფით ხასიათდება კეფის არე?
2. რატომ აქვს კეფის არეს მოდელირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა?
3. თავის რა ნაწილზე გადის ჰორიზონტალური გაყოფა, რომელიც გამოყოფს კეფის ზედა ნაწილს ფრონტალური თხემის ნაწილისგან?
4. სად გადის ფრონტალური თხემის ზღვარი?
5. თხემის რომელი ნაწილის შემადგენელია „ჩოლკა“?
6. როგორ განმარტავენ „ჩოლკას“ სპეციალისტები?
7. რომელია ყველაზე პატარა არეები თავის ზონაში?
8. როგორ განსაზღვრავენ ოპტიმალურ ზომას საფეთქლის არისთვის ?
9. რა პრობლემები შეიძლება შექმნას საფეთქელ-გვერდითა მიდამოებმა თმის შეჭრისას?
10. საფეთქელ-გვერდითა მიდამოების პრომლემების კორექტირების რა ალტერნატივებია საპარიკმახერო საქმეში ცნობილი?

თავის დაბანა/ დაბანისა და მოვლის საშუალებები

თავის დაბანა არის ძალიან მნიშვნელოვანი ჰიგიენური პროცედურა,

ყველა საპარიკმახერო პროცერურა რაც ტარდება სალონში (გარდა თმის შეღებვისა) ხორციელდება დაბანილ თმაზე და გასუფთავებულ თავის კანზე. ნამიანი თმა გაცილებით ელასტიურია და უფრო მარტივად იღებს სტილისტისთვის საჭირო ფორმას და ტექსტურას. გარდა ამისა თავის დაბანა აუცილებელია თავის ქალის გასუფთავებისათვის, რათა მოხდეს თავის კანზე გამოყოფილი ცხიმის სრულად მოცილება.

თავის კანის რეგულარულად და გულმოდგინედ გასუფთავება და თმის ხშირი დაბანა აუცილებელია სახლის პირობებშიც, რათა არ შეიქმნას სხვადასხვა დაავადებებისათვის და ბაქტერიების გამრავლებისათვის ხელსაყრელი კერა.

თავის დაბანის რამდენიმე მიზანი არსებობს:

- თმიდან ჭუჭყის მოცილება (ჰიგიენა)
- არსებული ვარცხნილობისა და მისთვის გამოყენებული საშუალებების კვალის გაქრობა (დეფორმაცია)
- თმის ღერის გასუფთავება - ნიადაგის მომზადება შემდგომი პროცედურისთვის

თავის დაბანის სამი ტიპი არსებობს:

- ჰიგიენური - ჩვეულებრივი შამპუნის გამოყენებით
- სამკურნალო - სამკურნალო პრეპარატებისა და სპეციალური შამპუნების გამოყენებით
- მშრალი - მშრალი სამოუნების გამოყენებით

ყველაზე ხშირად გამოიყენება თავის დაბანა ჰიგიენური მიზნით. ამ დროს წყალსა და შამპუნს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. წყალის თავისთავად წმენდს და ასუფთავებს თავსა და კანს, ხოლო შამპუნი ასრულებს დამატებით ფუნქციას - ცხიმისგან გასუფთავება, კვება სპეციალური ინგრედიენტებით, ვიტამინების შეყვანა და ფორმის მიცემა (არსებობს თმის დახვევისთვის, გასწორებისა და მოცულობის მიმცემი შამპუნები). მხოლოდ წყლით თავის კანზე არსებულ ცხიმს ვერ ჩამოიბანთ, საჭიროა სპეციალური ელემენტები, რომლებსაც შეიცავს შამპუნი.

საუკეთესო შედეგების მისაღწევად, აუცილებელია შამპუნისა და სხვა დასაბანი პროდუქციის სწორი შერჩევა. პროფესიონალური მიდგომა ყოველთვის საუკეთესო რეზულტატის მომცემია.

შამპუნის არჩევამდე აუცილებელია თმის ტიპის სწორად განსაზღვრა.

შამპუნები დაზიანებული თმისთვის აუცილებლად უნდა შეიცავდეს ნივთიერებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ თმის გაჯანსაღებას და მისთვის უკეთესი იერსახის მიცემას.

ცხიმიანი თმისთვის აუცილებელია გამოვიყენოთ სპეციალური შამპუნი. ძალიან ცხიმიანი თმის ხშირი - ყოველდღიური დაბანაც კარგია.

იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჯანსაღი თმა და მივანიჭოთ მას ბზინვარება, აუცილებელია ძალიან დიდი სიფრთხილე გამოვიჩინოთ შამპუნის არჩევისას. ზედმეტად აქტიური ან არასწორად შერჩეული შამპუნის გამოყენება საკმაოდ დიდი საფრთხის შემცველია.

აუცილებელია დავაკვირდეთ შამპუნში pH -ის შემცველობის დონეს, რომელიც არეგულირებს კოსმეტიკურ საშუალებებში მჟავა-ტუტოვან ბალანსს. pH -ის დონე შეიძლება მერყეობდეს 1-დან 14-მდე. შამპუნი, რომელშიც ეს დონე უდრის 7-ს, ითვლება ნეიტრალურად. რაც ნაკლებია pH -ის დონე მით მეტია შამპუნში მჟავიანობა.

შამპუნების ძირითადი ნაწილი შეესაბამება კანის pH -ის დონეს - 5,5 ან თმის pH -ის დონეს - ასეთი შამპუნები გაცილებით უკეთესია თმის დასაბანად.

შამპუნის ძირითადი მოვალეობა თმისა და თავის გასუფთავებაა, ამ მიზნით შამპუნები შეიცავს თმის დასაბან აქტიურ ნივთიერებებს. თუმცა ამის გარდა შამპუნების შემადგენლობაში შედის თმის მოვლისთვის განკუთვნილი ნივთიერებები: ფუნქციონალური დანამატები, მკვებავი ელემენტები, აქტიური სამკურნალო ინგრედიენტები, სხვადასხვა კონსერვანტები, ქაფის წარმომქმნელი ელემენტები, მოცულობის მიმცემი და დამცავი ნივთიერებები.

<u>**შამპუნების კლასიფიკაცია:**</u>

შამპუნები დანიშნულების მიხედვით იყოფა 4 ტიპად

1. სტანდარტული ან ჩვეულებრივი
2. სპეციალური (მათ შორისაა "ორი ერთში", "სამი ერთში" შამპუნი - ბალზამით და ა.შ)
3. სამკურნალო
4. სპეციალური დანიშნულების
5.

ჩვეულებრივი შამპუნების გამოყენებისას, აუცილებელი ხდება დამატებითი კოსმეტიკური საშუალებების გამოყენებაც: კონდიციონერი, ბალზამი...

სპეციალური შამპუნი - ესაა მარტივი ქმედების საშუალება, რომლითაც შეიძლება დაბანა ყოველღიურად. მათ არ მოაქვთ ზიანი თმისთვის, არ აღიზიანებენ თავის კანს და გააჩნიათ pH -ის ნეიტრალური დონე.

სამკურნალო შამპუნი -ს დანიშნულებაა პრობლემის გადაჭრა. ისინი გამოიყენება განსაკუთრებით მგრძნობიარე ან დაზიანებული თმის შემთხვევაში, შეიცავს სამკურნალო პრეპარატებს დანიშნულებიდან გამომდინარე.

სპეციალური დანიშნულების შამპუნით ვსარგებლობთ პერმანენტული დახვევის ან თმის შეღებვის შემდეგ. ისინი ანეიტრალებენ მუანგავი ნივთიერების გავლენას და რეცხენ მის ნარჩენებს თავისა და თმისგან, აძლიერებენ თმას, იცავენ, თმის ღერის აქერცვლის დონეს ამცირებენ და ა. შ.

<u>მოსამზადებელი სამუშაოები:</u>

ვიდრე თავის დაბანას შეუდგებოდეთ, აუცილებელია რომ ხელოსანმა:

- ✓ მოაწესრიგოს სამუშაო სივრცე, ირგვლივ ყველაფერი იყოს გარეცხილი და გაწმენდილი.
- ✓ აუცილებელია ყოველი დაბანის წინ გაიწმინდოს თავსაბანი ნიჟარა
- ✓ სავარძელი, სადაც სვამთ კლიენტს იყოს მოწესრიგებული, სუფთა და მშრალი
- ✓ გამოკითხოთ კლიენტს ხომ არ აქვს ალერგია რამე ტიპის პრეპარატებზე და გაესაუბრეთ სწორი დაბანის მნიშვნელობაზე.
- ✓ თავდაპირველად თავად უნდა დაიბანოთ ხელები, შეგიძლიათ გამოიყენოთ ხელთათმანები
- ✓ აუცილებელია დეზინფექცია ჩაუტარდეს ინსტრუმენტებს.

- ✓ დაბანამდე უნდა მოხდეს კლიენტისთვის თმის დავარცხნა, ამით გაიგებთ თმის ტიპს და მდგომარეობას.
- ✓ აუცილებელია კლიენტს მოაფაროთ პირსახოცი მხრებზე, ხოლო თმის გაშრობა მოხდეს სხვა მეორე პირსახოცით.
- ✓ გაითვალისწინეთ - თმის დაბანის ოპტიმალური ტემპერატურა არის 37 -40 °C

თავის დაბანისას:

- ✓ თმა კარგად დაასველეთ წყლით, არ დაგრჩეთ მშრალი უბნები ან ფენები.
- ✓ დაბანისთვის საკმარისი შამპუნის რაოდენობა დაისხით ხელის გულზე, იმისათვის რომ მოხდეს მისი სწორად გადანაწილება მთელს თმაზე.
- ✓ შამპუნის განაწილება იწყება ძირებიდან და უნდა მოხდეს თანაბრად თავის ყველა ზონაზე.
- ✓ შამპუნი თმაში შეგვყავს და ვაქაფებთ წრიული მოძრაობებით, ამ დროს თითების ბალიშები მოძრაობენ გარე ზონებიდან თავის ცენტრისკენ.
- ✓ ამ მოძრაობებს ვაგრძელებთ შამპუნის კარგად გადანაწილებამდე და კარგად აქაფებამდე
- ✓ შეგვიძლია ამავდროულად გავაკეთოთ თავის მსუბუქი მასაჟი.
- ✓ ჩამოვბანოთ შამპუნი გულმოდგინედ და კიდევ ერთხელ წავუსვათ შამპუნი.
- ✓ თმისა და თავის კანის ჰიგიენური დაბანა სრულდება შამპუნის 2-ჯერ წასმით.
- ✓ თმის გამშრალება ხდება ძალიან მსუბუქი მოძრაობებით.
- ✓ სველი თმა უნდა დაივარცხნოს ძალიან ფრთხილად, დაწყებული თმის ბოლოებიდან. ნელ ნელა ვინაცვლებთ თმის ძირებისკენ. ამ მოქმედებით თავიდან ვირიდებთ თმის ჯანსაღი ღერების წყვეტას და შესაბამისად ცვენას.
- ✓ მოვაშოროთ პარსახოცები და შევთავაზოთ თმის დამცავი სხვადასხვა პროდუქტი ან პროცედურა.

თმის სტრუქტურის გასაუმჯობესებელი კოსმეტიკური საშუალებები:

თმის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, სახლისა და სალონის პირობებში გამოიყენება შემდეგი კოსმეტიკური საშუალებები: ბალზამი - სავლები, თმის სავლები და კონდიციონერი.

ბალზამი - სავლები არსებობს რამდენიმე სახის: თხევადი, კრემისებური ან საპნისებური. ისინი შეიცავენ ნივთიერებებს, რომლებიც თმაზე მოხვედრისას ახდენენ თმის ბუნებრივი საპოხის კარგვის კომპენსირებას, არბილებენ თმას, ამცირებენ თმის დაელექტროვების ხარისხს და ანიჭებენ ბზინვარებას.

თმის სავლები - ძირითადად გამოიყენება თმაში pH -ის დონის აღდგენისათვის და თმაში დარჩენილი დასაბანი საშუალებების ჩამოსაბანად. ასევე არსებობს შერებილი თმისთვის

სპეციალური სავლებები, რომლებიც ხელს უწყობენ ფერის შენარჩუნებას. სამკურნალო სავლები ამცირებს ქერტლის რაოდენობას თავზე, აუმჯობესებს თმის იერსახეს და აიოლებს თმის დავარცხნის პროცესს.

კონდიციონერი - თხევადი ან კრემისებრი ძირითადად გამოიყენება იმისათვის, რომ გავიმარტივოთ თმის დავარცხნის პროცესი და მივანიჭოთ თმას დამატებითი ბზინვარება. კონდიციონერის ხშირად და დიდი რაოდენობით გამოყენება არ არის რეკომენდებული, რადგან ის ხშირად რჩება თმის ღერზე და ამძიმებს და აცხიმიანებს მას.

ბალზამი - არა მხოლოდ ასტაბილურებს pH -ის დონეს თმაში, არამედ ასევე გლუვს ხდის თმის ღერის ზედაფენას - კუტიკულას. წარმოადგენს ერთგვაროვან თხევად მასას, სასიამოვნო სურნელით, რომელიც გამდიდრებულია ეთერზეთებით, მცენარეული ექსტრაქტებით, ცილებით (ხორბლის პროტეინი, სოიო, რძე), მინერალური კომპონენტებით (მარილები, თიხა). ბალზამის დანიშნულებაა თმის დატენიანება, თმის კვება, თმის და თავის კანის მკურნალობა. ბალზამი არეგულირებს კანის ცხიმის გამოყოფას და ასტიმულირებს თმის ზრდას.

თანამედროვე ბალზამები ეფექტურად გამოიყენება ქერტლის საწინააღმდეგოდ. ბალზამის კომპონენტები შეაღწევს რა თმის ქერცლებს შორის, სიგლუვეს აძლევს თმის ქერცლოვან საფარველს, რის შედეგად თმა ხდება ბზინვარე. ატენიანებს რა თმის სტრუქტურას, ამცირებს მის მტვრევადობას. ის არბილებს თმას და ხდის ელასტიურს. ბალზამი – კონდიციონერი და ბალზამი – სავლები შეიცავს აქტიურ ნივთიერებებს დაბალი კონცენტრაციით.

ბალზამი უნდა ჩამოიბანოს თბილი წყლით და თმა უნდა შეიშროთ თავიდან ბუნებრივად, არ არის სასურველი მაშინვე ფენით ან სხვა ცხელი საშუალებით მოხდეს თმის გაშრობა.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. თავისა და თმის დაბანის რა ტიპები არსებობს?
2. ჩამოთვალეთ შამპუნების ტიპები.
3. რა დანიშნულება აქვს სპეციალურ შამპუნს?
4. რას ეკითხებით კლიენტს თავის დაბანის დროს?
5. როგორ ვიგებთ კლიენტის თმის ტიპს და მდგომარეობას?
6. რა არის თმის დაბანის ოპტიმალური ტემპერატურა?
7. აღწერეთ სველი თმის დავარცხნის პროცესი.
8. რა ფუნქცია აქვს ბალზამს?
9. რა არის თმის კონდიციონერი?
10. როგორ ხდება ბალზამის ჩამობანა?
11. რა არის ბალზამი - სავლები?
12. რამდენი ტიპის არსებობს ბალზამი - სავლები?

თმის შეჭრა

თმის შეჭრის ძირითადი წესები

ვარცხნილობის ფორმის შენარჩუნებისთვის აუცილებელია თმის შეჭრის წესების ცოდნა. შუბლზე შეჭრილი თმის (ე.წ. "ჩოლკის") ან ბოლოების შესასწორებლადაც კი საჭიროა თმის შეჭრის ხერხების ცოდნა.

თითქმის ნებისმიერი ვარცხნილობის მოდელირება საჭიროებს შეჭრას. თმის შეჭრა არის ვარცხნილობის საფუძველი. ანუ, ***შეჭრა ეს არის თმის მოწესრიგებული დამოკლება.*** თუმცა დღეს ისეთი შეჭრებიც არსებობს, როცა თმები ყოველგვარი წესრიგის გარეშეა დამოკლებული. წესრიგი ფარდობითი მცნებაა.

თმის დაყოფა თავის ზონების მიხედვით

სანამ დაიწყებდეთ თმის შეჭრას ან რაიმე ვარცხნილობის გაკეთებას, თმები უნდა დაყოთ ზონებად. თითოეული არის თმის ნაწილი უნდა დაგრიხოთ და დაამაგროთ სამაგრით. ამის შემდეგ იწყება თმის შეჭრა უშუალოდ ზონების მიხედვით. თხემის არე შემოიფარგლება ორი გაყოფით (თმაგამყოფით «пробором»), რომელიც იწყება შუბლთან და მთავრდება ფრონტალური თხემის თმაგამყოფთან. თმის გამყოფებს შორის მანძილი შუბლის სიგანის ტოლი უნდა იყოს. თხემის არეს რუსული П ასოს ფორმა გააჩნია. ქვემოთ სურათებზე წარმოდგენილია თავის არეები.

1. თავის არეები 2. არის საფეთქელ-გვერდითა არე 3.არის ქვედა კეფის არე

	ზედა კეფის არე
	ფრონტალური თხემის თმაგამყოფი («пробор») - არის რკალი ყურიდან ყურამდე კინკრიხოს გავლით. გამოყოფს თხემის მიდამოს ზედა კეფის მიდამოსგან.
	შვეული (ვერტიკალური) თმის გაყოფა - ყოფს ზედა და ქვედა კეფის არეებს ორ ნაწილად.

	თავის არეები: 1. თხემის არე 2. საფეთქელ-გვერდითა არე 3. ზედა კეფის არე 4. ქვედა კეფის არე
	თარაზული (ჰორიზონტალური) თმის გაყოფა - გამოყოფს ზედა კეფის არეს ქვედასგან, გადის ყურიდან ყურამდე კეფის ბორცვების გავლით.ყველა საზღვარი თანატოლი უნდა იყოს.

თმის შეჭრა

თმის შეჭრის ინსტრუმენტია მაკრატელი. პროფესიულად რომ შეჭრა, საჭიროა კარგად ფლობდე ინსტრუმენტს.

პარიკმახერმა მაკრატელი მოხერხებულად უნდა დაიჭიროს. ცერა თითის ბალიში აფიქსირებს მაკრატლის ერთ რგოლს, ხოლო არათითის ბალიში - მეორეს. თავიდან ეს ძალიან მოუხერხებელი ჩანს, მაგრამ თუ სისტემატიურად ჭრით, მალე მიეჩვევით. ხელი ასეთ მდგომარეობაში ნაკლებად იღლება და უფრო მეტ საშუალებას იძლევა შევცვალოთ მაკრატლის დახრის კუთხე.

მაკრატლით და სავარცხლით მუშაობის დროს უფრო მოსახერხებელია, თუ მაკრატელსაც და სავარცხელსაც ერთ ხელში დავიკავებთ. ცერა თითს გამოვიღებთ რგოლიდან, ხოლო არათითს, პირიქით, შევუყრით, ამის დახმარებით მაკრატელი ხელისგულს მიებჯინება. ამავე ხელში დავიჭიროთ ტარიანი სავარცხელი, გამოვყოთ თმის ფენა და მოვათავსოთ ის საჩვენებელ და შუა თითს შორის. განვსაზღვროთ თმის სიგრძე, გადავიტანოთ სავარცხელი მარცხენა ხელში და მივაჭიროთ ცერა თითი.

ახლა შეგვიძლია მარჯვენა ხელის ცერა თითი ისევ შევყოთ მაკრატლის რგოლში და მოვჭრათ თმა. ეს მოქმედება მეორდება შემდეგი თმის კონისთვის.

მოკლედ, ეს არ არის რთული პროცესი, მაგრამ მაინც საჭიროებს გარკვეულ ვარჯიშს. მარცხენა ხელით გამოყოფენ და ჭიმავენ თმის ფენას, ხოლო მარჯვენათი ჭრიან. უმჯობესია ინსტრუმენტები ხელში გეჭიროთ, ანუ არ დადოთ მაგიდაზე.

ქვემოთ განხილულია ის ხერხები, რომელთა დახმარებით სრულდება აბსოლუტურად ყველანაირი თმის შეჭრა. მათი ათვისება ესაა საპარიკმახერო საქმის ანბანი, რომლის გარეშეც ვერ იმუშავებს სპეციალისტი, რომელსაც უნდა ვარცხნილობების გაკეთება ან მათი მოგონება.



გრადუირება

შიგნით მიმართული გრადუირების დროს (მაგ. „კარეს“ ტიპის), მომრგვალებული სილუეტის მისაცემად პირველი ფენა უნდა ავიღოთ ქვედა კეფის მიდამოს განაპირა თმიდან, დავიჭიროთ საჩვენებელი და შუა თითებით, დავჭიმოთ კისრის გასწვრივ და სწორად მოვჭრათ თითების შიდა მხრიდან. მეორე ფენა დავიჭიროთ პირველთან ერთად და მოვჭრათ 5-7 მმ-ით უფრო გრძლად. ამ დროს თმის კონები დაჭიმულია და თითები აწყვია კისერზე. ზემოთ მოთავსებული მომდევნო თმის კონები იჭრება ანალოგიურად. შედეგად მივიღებთ, რომ ზედა (ანუ რომელიც ფარავს) ფენა რამდენიმე სამტიმეტრით გრძელია ყველაზე ქვედა ფენაზე. თმის ბოლოები შიგნით იღუნება. ამ მეთოდით მივიღებთ შეჭრილი თმის მომრგვალებულ სილუეტს.

გარეთ მიმართული გრადუირების დროს (ვარცხნილობა „ცრუ კარე“) თმის პირველი ფენა ზემოთ აღწერილი მეთოდის ანალოგიურად იჭრება. მეორე ფენა, პირველთან ერთად ჩამოივარცხნება. ვიჭერთ საჩვენებელი და შუა თითით, დავჭიმავთ საკუთარი თავისკენ ოდნავ გვერდულად, ისე რომ კისერთან კუთხე შექმნას (მაგალითად, 30-45). ამ კუთხეზე იქნება დამოკიდებული სიგრძეში სხვაობა პირველ და მომდევნო კონებს შორის. ყოველი მომდევნო ფენა იჭრება წინა კონის დონეზე პირვანდელი კუთხის შენარჩუნებით. შედეგად

მივიღებთ იმას, რომ ზედა (რომელიც ფარავს) ფენა ოდნავ მოკლეა ქვედა ფენაზე. თმის ბოლოები მიმართულია გარეთ.



ტუშირება

ტუშირება ეს არის ნარნარად, მწყობრად გადასვლა მოკლე თმიდან გრძელზე, ანუ თმის ძალიან მოკლედ შეჭრა („ნანეტი“ - რუს. на нет). ამის გასაკეთებლად უნდა დავიჭიროთ სავარცხელი მარცხენა ხელში ისე, რომ ცერა თითი იყოს ქარჩზე, ხოლო დანარჩენი - კბილანებზე. შევიტანოთ ის თმის ფენაში, თმის ზრდის კიდურა ხაზიდან (მაგ. ქვედა კეფის ზონაში) და შევჭრათ პირდაპირ სავარცხლიდან, ჭრით მწყობრად ავიდეთ ზედა მიმართულებისკენ. ამ დროს სავარცხლის კბილანები მიმართული უნდა იყოს გარეთ (არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მიმართული თავისკენ). ხარისხიანად რომ შევჭრათ (საფეხურების და ოღრო-ჩოღროების გარეშე), ეს პროცესი რამდენჯერმე უნდა გავიმეოროთ.

ფილირება არის თმის დათხელება. ფილირება კეთდება ორმხრივი და ერთმხრივი ფილირების მაკრატლით, ფილირების სამართებლით, ასევე ჩვეულებრივი მაკრატლით. ფილირება აფუებს თმებს და მატებს მოცულობას. ზოგჯერ მისი წყალობით შესაძლებელია შეჭრის დრო დაშვებული მცირე დეფექტების დამალვა. ფილირება მწყობრად ალაგებს შეჭრილი თმის ხაზებს. განასხვავებენ თმის ძირების და თმის ბოლოების ფილირებას.

ბოლოების ფილირება:

თარაზული (ჰორიზონტალური) ფილირება - ვიღებთ თმის ფენას, ვჭიმავთ თავისუფალი ხელით საჩვენებელ და შუა თითს შორის. შემდეგ ფილირების მაკრატლით, კონის ბოლოების გამოტოვებით, გარდიგარდმო ვჭრით მის ნაწილს (3-5მმ). ასეთი ფილირების დროს აფუებული ხდება თმის ბოლოები.

შვეული (ვერტიკალური) ფილირება - თავისუფალი ხელით თმის ფენას განზე ვწევთ (დაახლოებით 30 მმ), ფილირების მაკრატელი გვიჭირავს შვეულად, პირით ძირს. ნუ შეგეშინდებათ პირების ერთმანეთთან ბოლომდე მიტანის, რადგან მათი კბილანები ცოტა თმას ჭრიან. მაგალითად, ვარცხნილობა „კარეს“ შესრულებისას ვერტიკალური ფილირების საშუალებით შესაძლებელია ბევრად მომრგვალებული სილუეტის მიღება.

მეთოდი **„კბილანები“** («зубчики») სრულდება ჩვეულებრივი მაკრატლით. თმის ფენა იჭიმება და ბოლოები იჭრება კბილანებივით დაახლოებით 0,5 სმ სიმაღლით.

ძირების ფილირება - თითებით დაჭიმული თმის ფენა იჭრება ფილირების მაკრატლით რამდენჯერმე. პირველი განივი ჭრა კეთდება კონის ძირში, მეორე - დაახლებით შუაში, მესამე - თმის ბოლოში. ასეთი მეთოდის გამოყენებისას აფუებულია თმის ძირები.



თმის ჭრა ბოლოვდება კონტურის შემოვლებით და საფეთქლების გაფორმებით.

კონტურის შემოვლება კონტურის შემოვლება, თმის შეჭრის საბოლოო ეტაპია და ვარცხნილობას დასრულებულ სახეს აძლევს. მოკლე ვარცხნილობებში კეთდება „ჩოლკის“ საფეთქლების, ყურების, კისრის კონტურის შემოვლება. ქვედა კეფის ზონაში თმა ხშირად განსხვავებულად იზრდება. ხდება ისე, რომ თმის ღერები ასიმეტრიულად იზრდებიან, ზევით არიან მიმართულნი ან ქოჩორს იკეთებენ.

თმის სწორ ზრდად მიიჩნევა თმის თანაბრი ზრდა კისრის მიმართულებით და მისი განფენა კისრის მთელ ქვედა ზედაპირზე. ვარცხნილობის არჩევისას, რომელიც გამოაჩენს ქვედა კეფის ზონას, საჭიროა თმების ზრდის გათვალისწინება. კონტურის გავლების შესრულების მიმართულება ზეგავლენას ახდენს სამუშაოს საბოლოო შედეგზე. მაგალითად, თუ კანტს ვავლებთ „ჩოლკას“ და თმის კონებს ვჭრით მარჯვნიდან მარცხნივ (ან პირიქით), მაშინ „ჩოლკის“ სწორი ხაზი არ გამოვა; „ჩოლკა“ უნდა შეიჭრას შუბლის შუიდან ერთი მიმართულებით და „ჩოლკის“ ბოლოებიდან შუისკენ. ანალოგიურად ხდება თმის კონებისთვის კონტურის გავლება ქვედა კეფის ზონაში საშუალო და გრძელი თმის შეჭრისას. თმის სიგრძის მიხედვით კონტურის გავლება შეიძლება კუთხურად, ოვალურად ან სწორად.

საფეთქლების გასწორება შეჭრის საბოლოო ეტაპია. საფეთქლები უნდა ჰარმონირებდეს სახის ფორმასთან და თვით ვარცხნილობასთან. ეს ბოლო აქცენტია. დამწყები პარიკმახერისთვის რთულია ერთნაირ სიგრძზე თმის შეჭრა ორივე საფეთქელზე. თავიდან საჭიროა ღია ფერის კონტურის ფანქრით მოვნიშნოთ სასურველი ხაზი. სანამ კარგად არ დახელოვნდებით, შესაძლებელია საფეთქლების ადგილებში თმა არ შევჭრათ მთლიანად და გავაკეთოთ ეს თანდათანობით.

ყოველთვის გახსოვდეთ, რომ გრძელი თმის დამოკლება ბევრად მარტივია, ვიდრე პირიქით. ამას გარდა, იდეალურად მონიშნულმა ხაზმაც კი შეიძლება გიმტყუნოთ, თუ სახე ასიმეტრიულია. სხვათა შორის, კარგად შესრულებული საფეთქლების ხარჯზე ამ ნაკლის

ქალის საფეთქლების ფორმები:	**მამაკაცის საფეთქლის ფორმები:**
- სწორი - ირიბი - მოდელური (შეიძლება ჰქონდეს ფრთისებრი ან წვეტიანი ფეხსაცმლის ფორმა).	- **სწორი** - **ირიბი** - **მოდელური**

ნიველირება იოლად შეიძლება.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. რა არის თმის შეჭრა?
2. როგორ იყოფა თმა ზონებად შეჭრის შემთხვევაში?
3. ჩამოთვალეთ თავის არეები.
4. რა არის თმის გრადუირება?
5. რა არის თმის ტუშირება?
6. რა არის ფილირება?
7. აღწერეთ ვერტიკალური ფილირება
8. როგორ ხდება კონტურის შემოვლება?
9. ჩამოთვალეთ ქალის საფეთქლის ფორმები
10. ჩამოთვალეთ მამაკაცის საფეთქლის ფორმები

მამაკაცისთვის თმის შეჭრა რამდენიმე მეთოდით ხდება:

1. შეჭრა მხოლოდ მაკრატლით
2. შეჭრა მხოლოდ საკრეჭი აპარატით
3. შეჭრა კომბინირებული მეთოდით, მაკრატლისა და საკრეჭი აპარატის გამოყენებით.

მამაკაცის თმის საკრეჭი აპარატი

ეს არის ბატარეებზე ან დენის სადენზე მომუშავე მანქანა, რომელსაც აქვს სხვადასხვა საცმები, რომელთა დახმარებითაც შესაბამისად თმები იჭრება სხვადასხვა სიგრძეზე. არსებობს მანქანები საცმების გარეშეც, მაგრამ მისი მოხმარება ახალბედას გაუჭირდება.

მანქანას აქვს პლასტმასის პირები და რკინის საჭრელები. პლასტმასის პირები არის სხვადასხვა ზომის. რკინის პირებით შესაძლებელია კონტურის გაკეთება ან პარსვა. ეს მანქანა ასრულებს ნულოვან ზონას იგივე კონტურის ზონას.

მუშაობის დაწყებისას რკინის საჭრელები აუცილებლად ნულოვან ზომაზე უნდა იყოს დაყენებული, ამ პირების რეგულირებაც შეიძლება და ამ მოქმედებით ხდება ე. წ. ხაზების წაშლა შეჭრისას.

1. შეჭრა მხოლოდ მაკრატლით

ამ შემთხვევაში ხდება თმის შეჭრა მაკრატლის, სავარცხლისა და თითების მეშვეობით.

ამ მეთოდით თმის შეჭრა სრულდება იმ შემთხვევაში, თუკი თმა კისერთან არ იპარსება, ან არ უახლოვდება ნულოვან ზომას.



2. შეჭრა მხოლოდ საკრეჭი აპარატით

საკრეჭი აპარატით თმის შეჭრის შემთხვევაში, საბოლოო შედეგი უფრო ზუსტი და აკურატული გამოდის. ამ სემტხვევაში გვაქვს ზომების ვარიაციის საშუალება პირებისა და საცმებისგან გამომდინარე.

თუკი ვარცხნილობა სრულდება ნულოვანი ზონით, ან ხდება მამაკაცისთვის თმის გადაპარსვა, ამ შემთხვევაში ჯერ გამოიყენება უფრო დიდი ზომის საწრელი პირი და თანდათან ხდება გადასვლა უფრო პატარა პირებზე, რითაც თმაზე ჩნდება ლამაზი გრადაცია და თმა ძალიან აკურატულად გამოიყურება. ყველაზე პატარა ზომის საჭრელი პირი უკვე თითქმის სრულად იღებს თმას და აკეთებს ვარცხნილობის დაბოლოებას.

ამ მეთოდით იჭრება სხვადასხვა ვარცხნილობები: ზღარბი, ბოქსი და პოლბოქსი.

3. შეჭრა კომბინირებული მეთოდით, მაკრატლისა და საკრეჭი აპარატის გამოყენებით.



კომბინირებული მეთოდი შეიძლება არაერთ ვარცხნილობაში იქნას გამოყენებული, თუმცა ყველაზე გავრცელებულია ე.წ. "ნანეტის" შეჭრისას. ნანეტის რამდენიმე სახეობა არსებობს ზომების მიხედვით და ასევე ხაზიანი და უხაზო ნანეტი.

ამ ვარცხნილობის შეჭრის პროცესში ერთვება მაკრატელიც და თმის საკრეჭი აპარატიც, იმ მიზნით რომ მივიღოთ ნამუშევრის სრულყოფილი სახე კისერთან.

ზონები



ვიდრე თმის შეჭრას დავიწყებდეთ, სასურველია მამაკაცის თავი წარმოსახვით დავყოთ ზონებად.

ისევე, როგორც სურათზეა ნაჩვენები.

შუა გამყოფი ხაზით, თავს ვყოფთ კეფის წინა (ანუ ზედა) და კეფის უკანა (ანუ ქვედა) ნაწილებად.

1 ზონა სურათის მიხედვით არის საკონტროლო ზონა.

2-3 ზონები არის საკონტრლოსტან მიმდებარე ზონები

4-5 არის ყურებტან მდებარე ზონები

6 ზონა არის კეფის უკანა ნაწილისთვის კონტროლის ზონა.

7-8 არის უკანა კონტროლის ზონის მიმდებარე ზონები.

კისრის ქვედა ზონა, მუშავდება მაკრატლითაც და საკრეჭი აპარატითაც, შეჭრის ტიპიდან გამომდიბარე.

შეჭრა

შეჭრის დაწყებამდე სასურველია თმის დაბანა მოხდეს შამპუნით და კარგად დაივარცხნოს. მამაკაცის თმის შეჭრის შემთხვევაში თავის დაბანა ხდება როგორც შეჭრის წინ, ასევე შეჭრის დასრულებისთანავე.

შეჭრა იწყება საკონტროლო ზონიდან 1.



ზომა ყალიბდება კლიენტის სურვილის მიხედვით. შეჭრის დროს თმის ზომას ვაკონტროლებთ თითებით და ვაფიქსირებთ სავარცხლის გამოყენებით. გვირგვინის მიმართულებით თმის სიგრძეს შეუმჩნევლად ვზრდით, რათა თავის ფორმა გამოჩნდეს მომრგვალებული გვირგვინთან. ამის შემდეგ მივიღებთ უკანა ნაწილისთვის საკონტროლო ზომას, რომლის მეშვეობითაც ხდება თმის შეჭრა თავის უკანა ნაწილზე.

1 საკონტროლო ზონის შეჭრის შემდეგ, ვაგრძელებთ 2 და 3 მიმდებარე ზონების დამუშავებას და შემდეგ უკვე ყურებთან არსებული ზონების დამუშავებას.

მარტივი შეჭრა სავარცხლის გამოყენებით

ეს მარტივი ვარცხნილობა, ერთ ერთი ყველაზე გავრცელებული შეჭრის ტიპია მამაკაცებში.

თმა იჭრება როგორც სველ ასევე მშრალ მდგომარეობაში.

მშრალი თმის შეჭრა უფრო მარტივია, თუმცა სასურველია თმა იყოს სველი, რადგან მშრალი თმის შეჭრისას ხდება მაკრატლის დაბლაგვება და სველი თმის დროს უფრო ლამაზი და დახვეწილი გადასვლები კეთდება ზონებს შორის.

თუ მამაკაცის თმა არის ძალიან სქელი, ამ დროს რეკომენდებულია შეჭრა მოხდეს მშრალ ან დანამულ თმაზე, ხოლო შეჭრის დასრულებისას, სასურველია დასველდეს თმა და საბოლოო სახე ასე მიეცეს.

შეჭრის ამ ტიპის დროს, თმის დავარცხნა ხდება ძალიან გულმოდგინეთ, თმის იმ მიმართულებით საითაც იზრდება თმა ბუნებრივად.

შეჭრა იწყება თხემის ზონიდან, მოძრაობებით სახიდან კეფისკენ სავარცხლის დახმარებით, სავარცხელს ვამოძრავებთ თმის ზრდის მიმართულების საპირისპირო მხარეს და ვჭრით თმას პირდაპირ სავარცხლის პირზე.

კეფაზე არსებული თმა იჭრება ქვემოდან ზევით. იმისათვის რომ ამ ადგილას არ წარმოიქმნას ე. წ. კიბეები, თმის ვარცხნას ვახორციელებთ ოდნავი დახრილი კუთხით და ვამოწმებთ რამდენად სწორად და აკურატულად არის შეჭრილი. ყველა ის თმა რაც რჩება სავარცხლის პირზე უნდა მოიჭრას, რათა კეფაზე მივიღოთ დასრულებული და სუფთა ნამუშევარი.

საუკეთესო ვარიანტი აკურატული ნამუსევრის მიღებისათვის არის, კეფის ზონაში შესწორებების შეტანა ოდნავ ირიბი მიმართულებით. უნდა შეიჭრას მხოლოდ ის თმა, რომელიც არის ზედმეტი და რომელიც არღვევს სიმეტრიას.

საფეთქლების ზონაში თმის შეჭრა ხდება ქვევიდან ზევით და შემდეგ წინიდან (სახიდან) უკან.



სავარცხელი აუცილებლად მოძრაობს თმის ზრდის საწინააღმდეგო მიმართულებით. აქაც შესწორება ხდება სავარცხელზე ზემოთ ამოწვერილი თმნის ღერების მოჭრით.

თხემსა და საფეთქლებს შორის არსებულ ზონას ვამოწმებთ ქვემოდან ზემოთ მიმართულებით და შემდეგ სახიდან --> უკან მიმართულებით.



ხდება ე.წ. "აკანტოვკა" ანუ ვარცხნილობაზე არშიის შემოვლება, საფეთქლები სწორია, იჭრება ყველაფერი რაც დარჩა ყურის უკან. კეფაზე დამასრულებელი კონტური არის ძალიან ნაზი, მომრგვალებული კუთხეებით. დამასრულებელი კონტურის ქვემოთ დარჩენილი თმა უნდა აიპარსოს სამართებლით. ამ თმის შეკრეჭა ხდება მაკრატლის წვერებიტაც, თუმცა ამ დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო,რომ არ მოხდეს კლიენტის კანის დაზიანება.

ვარცხნილობის დასრულება სასურველია ფილირების მაკრატელით, რაც დამატებით აკურატულ იერსახეს შესძენს ნამუშევარს.

ეს ვარცხნილობა ხაზს უსვამს მამაკაცის თავის ქალის განსაკუთრებულ ფორმას, სახეს, კარგად ჩანს თმის ფაქტურა.

მამაკაცის თმის შეჭრის ტიპი: "ზღარბი"



შეჭრას ვიწყებთ კეფის არედან და ავდივართ თავის გვირგვინამდე და შემდეგ იჭრება საფათქლის ზონა. კეფაზე თმა უფრო დაბალზე იჭრება ვიდრე არის გვირგვინთან (სხვაობა უნდა იყოს 1 სმ მაინც).

ამ შეჭრის შესრულებისას საფეთლის ზონაში და კეფაზე თმის შესაჭრელად შესაძლებელია გამოიყენოთ მაკრატელი და სავარცხელი ან თმის საკრეჭი აპარატი.

კეფის ზონაში თმას უნდა მიეცეს ოდნავ ოვალური ფორმა, თმა შეჭრის პროცესში უნდა დავტოვოთ სათადარიგო სიგრძეზე, რათა მოვახდინოთ მისი ტუშირება.

იმისათვის რომ შეჭრის ეს შესრულება ნამდვილად დაემსგავსოს ზღარბს, უნდა მოხდეს თმის საბოლოო დამუშავება ფილირების მაკრატლით. ასევე შესაძლებელია თმის ბოლოების დამუშავება "ფოინთინგის* მეთოდით" .

ვარცხნილობის დასრულება ხდება მუსით, მუსის მცირეოდენი რაოდენობა დავიტანოთ ხელებზე, გავინაწილოთ თითებზე და შეჭრილ თმას მივცეთ მიმართულება ძირიდან ზევით. მუსი უზრუნველყოფს ზღარბის ეკლებივით თმის გაჩერებას.

* ფოინთინგი - თმის ბოლოების შეჭრისა და ფილირების მეთოდი, თმა ხდება უფრო მოცულობითი.

მამაკაცის თმის შეჭრის ტიპი: "არეალი"

ამ ტიპის შეჭრის დაწყების წინ, აუცილებელია რომ თმას წაესვას ფიქსატორი, მიეცეს ვერტიკალური მიმართულება და დაყენდეს ფენით, რათა მაქსიმალურად შენარჩუნდეს ეს ფორმა.

თუკი თმის სიგრძე 5 სმ-ზე მეტია, ამ შემთხვევაში ფიქსაციამდე უნდა მოხდეს თმის შეჭრა, რათა დავიყვანოთ 5 სანტიმეტრიან სიგრძეზე. 5 სმ-ზე გრძელი თმის დაფიქსირება ვერტიკალურ მდგომარეობაში საკმაოდ რთული ამოცანაა, ამიტომ ხდება უფრო გრძელი თმის მოჭრა.

შეჭრა იწყება გვერდითი ზონებიდან.



შეჭრის პროცესში თმას თავიდან ვწევთ ისე, რომ თმა იყოს პერპენდიკულარულად წარმოსახვითი "არეალის" მიმართ. მოძრაობები ხდება სახიდან კეფის მიმართულებით.

მუშაობის პროცესში ძალიან აკურატულად და ზუსტად უნდა ვადევნოთ თვალყური მაკრატლისა და სავარცხლის მდგომარეობას. ასე იჭრება კეფის ზედა არე და საფეთქლის ზონები.

ქვედა ზონის თმა შეუფერხებლად და ნაზად გადაგვყავს საკრეჭი აპარატით ან მაკრატლით თხემის ზონისკენ, ისე რომ თმის სიგრზე შეუმჩნევლად იზრდება. აუცილებელია გაკონტროლდეს რომ არ გაჩნდეს ე.წ. კიბეები.

ამის შემდეგ გადავდივართ კლასიკური ვარცხნილობის მთავარი ზონის. ე. წ. "არეალის" ფორმირებაზე: პირველ რიგში ვსაზღვრავთ თმის სიგრძეს სახესთან, თმის დაყოფას ვახორციელებთ ჰორიზონტალური დანაყოფებით.



ანალოგიურად ხდება თავის გვირგვინზე თმის სიგრზის განსაზღვრა. ვერტიკალური დანაყოფებით შევაერთებთ შეჭრილ თმას და ვიღებთ საკონტროლო ზომას. ამის შემდეგ თხემის ზონაში არსებულ თმას ვჭრით ჰორიზონტალური დანაყოფების შექმნით, ისე რომ ორიენტაცია გვაქვს საკონტროლო თმაზე.

მთელი თავის მასშტაბით ხდება შეჭრილ თმაზე ე.წ. არშიის შემოვლება (აკანტოვკა), რომელიც აუცილებელია რომ იყოს გამოკვეთილი.

მამაკაცის თმის შეჭრის ტიპი: კლასიკური

მამაკაცის კლასიკური შეჭრის დაწყების წინ სუფთა, სველი თმა უნდა დაიყოს ზონებად.

ამ ტიპის შეჭრა იწყება მარჯვენა საფეთქლის ზონიდან,

თმის დანაყოფებს გამოვყოფთ დიაგონალური მიმართულებით, თმის ზრდის განაპირა ზოლის პარალელურად. თავდაპირველად ვვარცხნით სახის მიმართულებით და ვჭრით საფეთქლის კუთხეს სახისკენ. შემდეგ ხდება ქვემოთ ჩამოვარცხნა და საფეთქლის ზონაში კონტურის შემოვლება. საფეთქელი უნდა იყოს სწორი.



თმის ჰორიზონტალურრ დანაყოფებს საფეთქქლის მიმდებარე ზონაში, ვწევთ 90° გრადუსიანი კუთხით და ვჭრით სწორი ხაზის პრინციპით. ასე თანმიმდევრულად, ჰორიზონტალური დანაყოფებით იჭრება მთლიანად საფეთქლების ზონის მიმდებარე არეები.

იგივე მოქმედება ხდება თავის მარცხენა ნაწილში.

შემდეგ იჭრება თმა ზედა და ქვედა კეფის ზონაში, თითებზე თმის შეჭრის პრინციპით. ორიენტირად ამ პროცესში აიღება საფეთქლებთან შეჭრილი თმა.





კეფის არე იჭრება მარჯვნიდან მარცხნივ მიმართულებით, ერთი ყურიდან მეორე ყურამდე ისე რომ ყოველი მომდევნო თმის დანაყოფი უნდა იყოს თავის ქალის პერპენდიკულარული და წინა დანაყოფის ზომის.

კეფის ქვედა ნაწილში თმა იჭრება ვერტიკალური დანაყოფებით, თმის აწევით 90° - იანი დახრით, ეს თმა იჭრება ოდნავ ირიბად, დაახლოებით 45° -იანი კუთხით.

ვარცხნილობა სრულდება კონტურის შემოვლებით კეფის ქვედა ნაწილზე და ყურების უკან.

ქალის თმის შეჭრა

შესაჭრელი თმის სიგრძის და შეჭრის ხერხის შესაბამისად თვით თმის ჭრა პირობითად შეიძლება დაიყოს კონტრასტულ, სადაც მკვეთრად იცვლება თმის სიგრძე (შეჭრის ეს სახეობა გამოიყენება სხვადასხვა სახის „კარეს“ და „შაპოჩკების“ დროს) და არაკონტრასტულ შეჭრად, როცა თმები თითქმის ერთი სიგრძისაა მთელ თავზე და მათი სიგრძე განისაზღვრება მაკონტროლებელი კონით (არაკონტრასტულს შეიძლება მივაკუთნოთ ვარცხნილობა „კასკადი“).

არსებობს ოთხი საბაზო ვარცხნილობა, რომლის საფუძველზე ან მათი შეთავსების საფუძველზე კეთდება ცნობილი ვარცხნილობები და იგონებენ ახალს.

ვარცხნილობა „კარე“

ახასიათებს მკაფიოდ შემოხაზული თმების ხაზი. „კარეს“ შეჭრისას გამოიყენება შიგნით მიმართული გრადუირების მეთოდი.



„კარეს“ შეჭრა

ჯერ ივარცხნება თმა მისი ზრდის მიმართულებით სიგრძეზე, მერე ვყოფთ ფრონტალური თხემის ხაზზე, თხემის არის თმა გავყოთ შუაზე შვეულად. თმის კონები დავგრიხოთ და დავამაგროთ სამაგრით (ე.წ. „უტოჩკით“).

1. შეჭრას ვიწყებთ კეფის ქვედა მიდამოდან. აუცილებელია, რომ კლიენტის თავი მაქსიმალურად გადახრილი იყოს. უკიდურეს თმის ფენას მოვაშორებთ კისერს (კონის სისქე დაახლოებით 10 მმ), დავვარცხნით ზრდის მიმართულებით და განვსაზღვრავთ მომავალი ვარცხნილობის სიგრძეს. პირველი კონის სიგრძე არჩეულ სიგრძეზე 20-25 მმ-ით მოკლე უნდა იყოს. ვჭრით სწორად. ეს იქნება მაკონტროლებელი ფენა. გამოვყოფთ მომდევნო ფენას, ჩამოვვარცხნით მაკონტროლებელი კონისკენ, გამოიყენება შიგნით მიმართული გრადუირების მეთოდი. ამ მეთოდით უნდა შეიჭრას სათითაო თმის ფენა ქვედა და ზედა კეფის ზონაში ფრონტალური თხემის თმის გაყოფამდე.

2. ახლა შეიძლება გადავიდეთ თხემის და საფეთქლების ზონაში თმების შეჭრაზე. ამისთვის სწორად ვვარცხნით თმას შვეულიგამყოფის ერთ მხარიდან, ვჭრით სწორად თარაზულად კეფის არის უკვე შეჭრილი თმების დონეზე. იგივეს ვაკეთებთ მეორე მხარესაც.

3. შეჭრილი თმის სიმეტრიულობის შემოწმება: ა) დავდგეთ კლიენტის პირისპირ (სახით მისკენ) და წინ ჩამოვვარცხნოთ ვერტიკალური გაყოფიდან («пробор»), რომელიც თხემის ზონას გამოყოფს, მარჯვნივ და მარცხნივ მდებარე თმა, შევადაროთ მათი სიგრძე (ის ერთნაირი უნდა იყოს); ბ) თმის აქეთ-იქით დავარცხნისას ყურადღება მიაქციეთ, რომ არ შეიმჩნეოდეს თმის სიგრძის მკვეთრი სხვაობა.

4. კლიენტის სურვილისამებრ იჭრება „ჩოლკა“. ამისთვის გამოიყოფა და სახეზე ჩამოივარცხნება დაახლოებით 10 მმ სისქის თმის ფენა. კონის სიგანე უნდა შეესაბამებოდეს შუბლის სიგანეს. მას შემდეგ რაც დაადგენთ კლიენტისგან „ჩოლკის“ სასურველ სიგრძეს, ჭრით მას შუიდან ერთ მხარეს, ხოლო მერე, მეორე მხრიდან შუისკენ. „ჩოლკის“ კონტურის გავლება ხდება სწორად ან ნახევრად გახსნილი ნალის ფორმით. შეიძლება გაკეთდეს გვერდითა კონების მოჩარჩოება, მათი საფეხურებივით შეჭრა. ამისთვის თმის ფენას გამოვწევთ წინ, მაკრატელს ვიკავებთ ვერტიკალურად და მწყობრად ვჭრით. იმისთვის, რომ „ჩოლკა“ და მის გვერდებზე თმა უკეთ გამოიყურებოდეს, ვაკეთებთ ბოლოების ფილირებას.

5. უფრო მრგვალი სილუეტის მისაღებად შეიძლება გაკეთდეს სიგრძის მსუბუქი შვეული ფილირება.

6. ვარცხნილობის დაყენების წინ თმა დაასველეთ მაფიქსირებელი ლოსიონით, ქაფით ან გელით. ფენით გასწორებისას გამოიყენეთ მრგვალი სავარცხელი (ბრაშინგი) და თმის ბოლოები შიდა მხრიდან მომარგვალეთ.

გარეთ მიმართული გრადუირება გამოიყენება ვარცხნილობაში „ცრუ კარე“, რის ხარჯზეც თმის ბოლოები აწეულია ზევით.

ვარცხნილობა „იტალიანკა“

ამ ვარცხნილობას საფუძვლად უდევს თმის თითებზე აღების მეთოდი.

შეჭრა

თმას ზონებად ყოფენ შემდეგნაირად: 1) ფრონტალური თხემის თმა იყოფა (ერთი ყურიდან მეორემდე კინკრიხოს გავლით); 2) გამოიყოფა თხემის არე. თხემის არის გვერდებიდან გამოიყოფა საფეთქლის მიდამოები; 3) კეთდება რუსული П-ს ფორმის თმის გაყოფა, რომელიც გადის ზედა და ქვედა კეფის ზონებზე და სიგანით თხემის მიდამოს ტოლია. П-ს ფორმის თმის გაყოფის ორივე მხრიდან გამოიყოფა გვერდითი ზონები; 4) თითოეული არის თმა იგრიხება და სამაგრით მაგრდება.

1. შეჭრა იწყება თხემის მიდამოდან. ფრონტალური თხემის გაყოფილ თმაზე გამოვყოფთ დაახლოებით 10 მმ-ის მაკონტროლებელ ფენას, ჩამოვვარცხნით თავის პერპენდიკულარულად, დავიჭერთ საჩვენებელ და შუა თითს შორის და ვჭრით თითების გარე მხრიდან. ასე ფენა-კონის მიყოლებით იჭრება მთელი თხემის არე. რაც უფრო ვუახლოვდებით „ჩოლკას“ თმის კონები უფრო გრძელდებიან.

2. შემდეგ იჭრება ზედა და ქვედა კეფის თმა, რომლებიც გამოვყავით რუსული П-ს ფორმის მქონე გამყოფით (пробором). ვიწყებთ ზედა კეფის ზონიდან და თანდათან ქვევით ჩამოვდივართ ქვედა კეფის არის ბოლომდე, ფენა-კონის

მიყოლებით ვქაჩავთ მაკონტროლებელ ფენამდე, რომელიც ზუსტად თავის პერპენდიკილარულია და ვჭრით თითების გარე მხრიდან.

3. საფეთქლის და გვერდითი არეები ზევით აივარცხნება მაკონტროლებელი თმის გასწვრივ და იჭრება მის ზომაზე.

4. შესამოწმებლად ზევით კინკრიხოს მიმართულებით უნდა დაივარცხნოს თმა ფართო სავარცხლით და შეიკრას კუდი. ყველა თმა ერთი სიგრძის უნდა იყოს.

5. თმას ვარცხნიან ზრდის მიმართულებით. „ჩოლკას“ და სახის თმას კონტური ევლება ნახევრად გახსნილი ნალის ფორმით. შეიძლება ბოლოების ფილირების გაკეთება.

6. თმის სიგრძეს კონტური ევლება კუთხურად, ოვალურად ან სწორად.

7. იხვევა ბიგუდებით, თმის უთოთი ან ფენით.

ვარცხნილობა „ქუდი“ („შაპოჩკა“)

ზონებად დაყოფა ხდება შეჭრის პროცესში. ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ ტუშირების მეთოდი.



შეჭრა

1. გამოვყოთ 4-5-სმ სიმაღლის საფეთქელ-გვერდითა არეები. სიგრძივად თითოეული არე იყოფა შუაზე. სულ ბოლო (კიდურა) თმის ფენა ჩამოივარცხნება ყურზე და ფორმდება კლიენტის სურვილისამებრ, ან

ჩვეულებრივად ირიბად, ან კეთდება მოდელური საფეთქელი. ყურს უკან ივლება კონტური. იმის მიხედვით, თუ რა სურს კლიენტს, შეიძლება ყურის მთლიანად გამოჩენა, ან ნახევრად თმებით დაფარვა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში საფეთქლის კონტური მკაფიოდ უნდა ჩანდეს. საფეთქელ-გვერდითა მიდამოს მომდევნო თმის ფენა ჩამოივარცხება უკვე შეჭრილის მიმართ და იჭრება მის მსგავსად. თმა, რომ კარგად დაჯდეს და საფეთქელი ლამაზად გამოიყურებოდეს, შეიძლება შვეულად მსუბუქი ფილირების გაკეთება. ფილირება შეიძლება გაუკეთდეს როგორც ყურს ზემოთ მდებარე თმას (თუ თმა ნახევრად ფარავს ყურს), ისე ყურს უკან მდებარე თმასაც.

2. გამოიყოფა ქვედა კეფის არე (თმის თარაზული გაყოფით ყურიდან ყურიდან კეფის ბურცვების გავლით). ზედა კეფის თმას დაგრეხენ და სამაგრით დაამაგრებენ. თმის შვეული გაყოფით გამოყოფენ სულ ბოლო, განაპირა მარჯვენა ან მარცხენა ფენას, დაიჭერენ საჩვენებელ და შუა თითებს შორის და ჭრიან თითების გარეთა მხრიდან. ეს მაკონტროლებელი ფენაა. ასე, შვეული დაყოფით, ნაწილ-ნაწილ ჭრიან მთელ კეფის ქვედა არეს მაკონტროლებელი კონის მსგავსად.

3. ქვედა კეფის არე, ასევე შეიძლება შეიჭრას ტუშირების მეთოდით.

4. თხემის არე შუაზე იყოფა შვეული გაყოფით (შუბლის შუიდან ფრონტალური თხემის გამყოფამდე). შემდეგ ის და ზედა კეფის მიდამოები სწორად ივარცხნება თმის ზრდის მიმართულებით. ამ მიდამოების თმა წრიულად (წრეზე) იჭრება თანაბრად, სიგრძეს ირჩევენ ან ზედა კიდემდე ან ყურის შუამდე. უკეთესია, ჯერ ერთი მხრიდან შეიჭრას კეფის შუამდე, მერე მეორე მხრიდან.
5. თხემის მიდამოს მარჯვენა და მარცხენა მხარეების გასასწორებლად გვერდითა თმა წინ (სახეზე) უნდა დაივარცხნოს და შესწორდეს.

6. შეჭრილი თმის ხაზები რომ სწორად ჩანდეს, საჭიროა თხემის და კეფის ზედა ზონაში თმის ბოლოებისთვის შვეული ფილირების გაკეთება, ასევე ქვედა კეფის, უკვე შეჭრილი თმისთვისაც.

7. იჭრება „ჩოლკა“ და თხელდება.

8. კეფის ქვედა არეს კონტური თანაბრად ან „კბილანებიანი“ მეთოდის გამოყენებით უნდა გაევლოს, გაფორმდეს დაუდევარი - არათანაბარი კონები.



ვარცხნილობა „ბობ-კარე“

მის შესაჭრელად გამოიყენება გრადუირების და ტუშირების მეთოდი.

დამწყები პარიკმახერისთვის ვარცხნილობა „ბობ-კარე“ ყველაზე რთულია შესასრულებლად.

თმის საფარი იყოფა ზონებად:

1. შვეული გაყოფით თხემის არე იყოფა შუაზე;
2. ხდება ფრონტალური თხემის თმის გაყოფა;
3. ქვედა კეფის არე გამოიყოფა ყურიდან ყურამდე კეფის ბორცვების გავლით.
4. ყოველი მიდამოს კონები იგრიხება და სამაგრით მაგრდება.

შეჭრა

1. კეფის ქვედა მიდამოს თმა იჭრება ტუშირების მეთოდით. თუ კლიენტი მოითხოვს, კეთდება კისერზე დაწვენილი „დაფლეთილი“ თმის კონები.

2. შემდეგ იჭრება კეფის ზედა არე, შიგნით გრადუირების მეთოდით. გამოიყოფა თმის ფენა (ის იქნება მაკონტროლებელი), დაედება მოკლედ შეჭრილ კეფის ქვედა არეს, განისაზღვრება სიგრძე და იჭრება. ვარცხნილობა „ბობ-კარე“ შეიძლება შეიჭრას ასეც: კეფაზე თმა მოკლეა, ხოლო რაც უფრო უახლოვდება სახეს - თანდათან გრძელდება. თუ ამგვარად შეჭრილ თმებს უკან გადავიყრით, კარეს ხაზი რკალს გაიკეთებს. მაკონტროლებელი თმის ფენა იჭრება ამ რკალის გათვალისწინებით. მომდევნო ფენა ჩამოივარცხნება მაკონტროლებელზე და იჭრება 3-5 მმ-ით უფრო გრძლად. ამგვარად იჭრება მთელი კეფის ზედა არე. „ბობ-კარე“ შეიძლება თანაბრად და სწორადაც შეიჭრას (კუთხის გარეშე). ამ შემთხვევაში ოსტატის ამოცანა იოლდება.

3. საფეთქლის ზონაში გრძელდება კარეს ხაზი. მაგრამ არ გამოიყენება გრადუირება, იჭრება ერთიანად.

4. ვარცხნილობა შემოწმება ისევე ხდება, როგორც „კარე“.

5. კლიენტის სურვილის შემთხვევაში იჭრება „ჩოლკა“.

6. თმამ რომ მიიღოს უფრო მომრგვალებული სილუეტი, შეიძლება შვეული ფილირების გაკეთება.

7. დავარცხნა ხდება ფენის და ბრაშინგის დახმარებით.

ამ ვარცხნილობების საფუძველზე იჭრება სხვა დანარჩენები. ვარცხნილობების ნაწილში მოცემულია მითითებები მათი შესრულების შესახებ.



კითხვები თვითშეფასებისთვის

1. ახსენით კონტრასტული და არაკონტრასტული თმის შეჭრის ხერხები?
2. რას უწოდებენ თმის მაკონტროლებელ ფენას?
3. ჩამოთვალეთ ძირითადი ოთხი საბაზო ვარცხნილობა.
4. შეჭრის რომელ მეთოდს იყენებენ „კარეს“ ვარცხნილობის შესრულებისას?
5. თავის რომელი მიდამოდან იწყებენ კარეს შეჭრას?
6. ჩამოთვალეთ „კარეს“ შეჭრისას თავის ზონების დამუშვების (შეჭრის) თანმიმდევრობა.
7. აღწერეთ შეჭრის სიმეტრიულობის შემოწმების მეთოდი.
8. რა ფორმის შიძლება გაევლოს „ჩოლკის“ კონტური?
9. შეჭრის რომელი მეთოდი უდევს საფუძვლად ვარცხნილობას „იტალიანკა“?
10. როგორ და რომელ ზონებად იყოფა ვარცხნილობა „იტალიანკის“ დროს თავის არეები?
11. როგორ საზღვრავენ მაკონტრილებელ ფენას ვარცხნილობა „იტალიანკის“ დროს?
12. რა მიმართულებით ვარცხნიან თმას ვარცხნილობისას „იტალიანკა“?
13. „იტალიანკის“ დროს რა ფორმით ევლება ვარცხნილობას კონტური?
14. შეჭრის რომელი მეთოდი გამოიყენება ე.წ. „შაპოჩკას“ შესრულებისას?
15. როგორ და რა ზონებად იყოფა ვარცხნილობა „შაპოჩკას“ დროს თავის არეები?
16. აღწერეთ „ბობ-კარეს“ შესრულების მეთოდი. დამწყები სტილისტისათვის რატომ ითვლება რთულ შესასრულებლად ბობ-კარე?

ვარცხნილობის შერჩევა სახის ფორმის მიხედვით

ამ თავში თქვენ გაეცნობით ვარცხნილობის ძირითად ფორმებს, რომელთა გამოყენებით თქვენ შესძლებთ ნებისმიერი ვარცხნილობის შექმნას, უბრალო "კარედან" კრეატივამდე.

ვარცხნილობის ძირითადი ფორმები -

არსებობს ქალის თმის შეჭრის (ვარცხნილობის) ოთხი ძირითადი ფორმა:

1. **მყარი ფორმა**

   მაგალითად: კლასიკური კარე, სწორი ან დაგრძელებული სახისკენ ან სახიდან. ქმნის ერთი სიგრძის თმის ეფექტს. თმის ტექსტურა არ არის აქტიური, იმიტომ, რომ გრძელი თმა ფარავს უფრო მოკლეს. დიზაინის ხაზი არის ჰორიზონტალური და დიაგონალური. თმის შეჭრა მიმდინარეობს მათი ბუნებრივი მიმართულებით (კუთხე 0^0). შეჭრა იწყება კეფის მიდამოდან 1 სმ, ავდივართ ზევით, მერე საფეთქლის ზინისკენ. ამ დროს ყურადღება უნდა მიაქცეს, რომ თმის ყველა ფენა ერთი სიგრძის იყოს. არსებობს "კარე" დაგრძელებით სახისკენ და სახიდან.

2. **გრადუირებული ფორმა**

   მიმდინარეობს თმის მომატება გარე არედან შიდა არისკენ. არსებობს მცირე, საშუალო და ძლიერი გრადუირება. სტრუქტურა აქტიურია. შეჭრა იწყება კეფის მიდამოდან (მაგალითად, ჩვეულებრივი ქალური მოკლე ვარცხნილობა). თითებით ვიღებთ თმის ფენას შვეულად დახრილად («под углом»).

3. **პროგრესული ფორმა**

   შესაძლებლობას იძლევა შევინარჩუნოთ სიგრძე და შევქმნათ მოცულობა, მოძრაობა. სტრუქტურა - თმების მომატება შიდა არის უფრო მოკლედან გარე არის უფრი გრძელისკენ. თმის სიგრძე აქტიურია.

4. **ერთგვაროვანი ფორმა**

თმის სიგრძე ერთნაირია, აქტიურია. პროექცია 90 გრადუსი თავიდან.



თმების დაყოფა ზონებად

თმის შეჭრის წინ საჭიროა თავის დაყოფა ზონებად. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყველაზე ხშირად, საკმარისია თავის დაყოფა ხუთ ძირითად არედ - ზედა და ქვედა კეფის, თხემის და ორი საფეთქლის.

თმა, რომ დავყოთ ზონებად, საჭიროა მათი გაყოფა. გაყოფა შეიძლება იყოს ***შვეული, თარაზული და რადიალური*** (ანუ ერთი წერტილიდან გამომავალი). ზოგჯერ მოხერხებული შეჭრისთვის აკეთებენ გაყოფას, რომელიც თმის ზრდის კიდური ხაზის პარალელურია მთელი თავის გარშემოწერილობაზე. ასეთი გაყოფა ჰორიზონტალურად კეთდება.

საგიტალური გაყოფა - ეს არის თმის გაყოფა ყურიდან ყურამდე თვის უმაღლესი წერტილის გავლით. ყოფს თავს ფრონტალური თხემის და კეფის ნაწილებად. უმაღლესი წერტილი მდებარეობს თხემის ზონაში, ცენტრალურ-ვერტიკალური გაყოფის ნაწილში, იქ, სადაც თავზე მიდებული სავარცხელი იღებს ჰორიზონტალურ მდგომარეობას.

თარაზული (ჰორიზონტალური) გაყოფა გადის ყურიდან ყურამდე კეფის ბორცვების გავლით. კეფის ბორცვები რომ მოვნახოთ, სავარცხელი ბრტყელი მხრიდან უნდა მივადოთ თავს კეფის ქვევით: ისინი იქაა, სადაც სავარცხელი თავს სცილდება. ეს გაყოფა კეფის არეს ყოფს ზედა და ქვედა ნაწილებად.

შვეული (ვერტიკალური) გაყოფა გადის შუბლის შუა ნაწილიდან კეფის შუა ნაწილის გავლით. გვერდითი გაყოფები გამოყოფენ თხემის არეს საფეთქელ-გვერდითა

არეებიდან. ისინი გადიან დაახლოებით შუბლის ფოსოების წვეროებიდან, საგიტალურ გაყოფამდე.

სახის ფორმის განსაზღვრა

დასაწყისისთვის გაითავისეთ, რომ არ არსებობს კარგი ან ცუდი სახის ფორმა. ყოველი ფორმა ეს არის ბუნებისგან ბოძებული ინდივიდუალური გარეგნობის საფუძველი. ამავდროულად საჭიროა ვიცოდეთ ადამიანების ზოგადი კლასიფიკაცია რასის მიხედვით.

ადამიანები დედამიწაზე რასების მიხედვით იყოფიან 5 საკმაოდ განსხვავებულ რასად

1. ევროპეიდული (ძირითადი რასა)
2. ნეგროიდული (ძირითადი რასა)
3. მონღოლოიდური (ძირითადი რასა)
4. ავსტრალოიდური (წარმოებული რასა)
5. ამერიკანოიდული (წარმოებული რასა)

ძირითადი განსხვავებები:

რასა - ეს არის გარკვეულ ტერიტორიაზე ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი, რომელსაც აქვს საერთო წარმომავლობა, მსგავსი გარეგნული ნიშნები (კანის, თმის, თვალების ფერი; ცხვირის, სახისა და თავის ქალის ფორმა; სიმაღლე; ასევე სისხლის ჯგუფი და სხვა).

ევროპეიდული რასა – კაცობრიობის ერთ – ერთი ძირითადი დიდი რასა. დამახასიათებელია ღია ფერის კანი, რბილი და ტალღისებრი თმა, თმების საშუალო და ძლიერი ზრდა სახესა და ტანზე (მამაკაცებში), ვიწრო და მკვეთრად გამოწეული ცხვირი, თხელი ტუჩები. გავრცელების არე – ევროპა, ჩრდილი

აფრიკა, წინა აზია; ჩრდილო ინდოეთი კოლონიზაციის შედეგად გავრცელდა ამერიკაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში.

ნეგროიდული რასა - ძირითადად დაკომპლექტებულია აფრიკისა და მიმდებარე ტერიტორიების ძირძველი მოსახლეობისგან. ამ რასისთვის დამახასიათებელია მუქი კანი, ხვეული ხშირი თმა.

მონღოლოიდურ რასას - მიეკუთვნება აზიის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მოსახლეობა. თანამედროვე კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი რასა. ახასიათებს კანის მუქი, ხშირად მოყვითალო ფერი, სწორი, უხეში თმა, სუსტად განვითარებული წვერ-ულვაში, სუსტად გამოხატული, დაბალუნაგირიანი ცხვირი, ბრტყელი სახე.

ავსტრალოიდური რასა – (ავსტრალიური რასა) შედის დიდ ეკვატორულ (ნეგრო – ავსტრალოიდურ) რასაში. დამახასიათებელია მუქი ფერის კანი, პროგნათიზმი, ტალღისებრი თმა, ჭარბთმიანობა სახესა და სხეულზე. გავრცელებულია ავსტრალიაში, აზიის სამხრეთსა და ოკეანიაში. მრავალი ანთროპოლოგი ავსტრალოიდურ რასას გამოყოფს დამოუკიდებელ, დიდ რასად.

ამერიკანოიდული რასა წარმოქმნილია მონგოლოიდურისგან, თუმცა ზოგიერთი მეცნიერი მას ცალკე რასად მიიჩნევს. დამახასიათებელია სწორი თმა, მკვეთრად გამოხატული ნაკვთები. მუქი კანი და სწორი ან მკაცრი ტიპის ცხვირი.

სახისა და თავის ფორმის ცოდნა გვაძლევს დამატებით საშუალებას, სწორად მოვეპყრათ კლიენტს, სწორად შევარჩიოთ ვარცხნილობა, სწორად შევჭრათ და მოვახდინოთ თავისა და სახის კონტურების გამოსახვა.

<u>**ზუსტად განვსაზღვრავთ სახის ფორმას, თუ ავიღებთ ზომებს:**</u>

- გავზომავთ ნიკაპის კიდიდან 1 სმ დონეზე მის სიგანეს (ნიკაპის სიგანე - ნს);
- გავზომავთ ღაწვებს შორის დაშორებას ყველაზე ფართო ადგილას (ღაწვების სიგანე - ღს);
- გავზომავთ შუბლის შუაში მარჯვენა და მარცხენა საფეთქლების თმის ზრდის კიდურ ხაზებს შორის დაშორებას (შუბლის სიგანე - შს);
- გავზომავთ სახის სიმაღლეს სახის შუაში ნიკაპიდან შუბლზე თმის ზრდის კიდურა ხაზამდე (სახის სიმაღლე - სს).

სახის ფორმები და პარამეტრები:

სახის ფორმა	პარამეტრები	დახასიათება
ოვალური სახე	ნს - დაახლოებით 5,2 სმ ღს - დაახლოებით 13 სმ შს - დაახლოებით 12,6 სმ სს - დაახლოებით 18,5სმ	ითვლება სახის კლასიკურ ფორმად და ხასიათდება ნიკაპის, ღაწვების, საფეთქლების შუბლის ხაზების ოვალური მწყობრი გადასვლით.
სამკუთხედი ანუ გულის ფორმის სახე	ნს - დაახლოებით 3,5სმ ღს - დაახლოებით 13სმ შს - დაახლოებით 12,5სმ	ვიზუალურად ფართოა შუბლის, ღაწვების ზონაში და ვიწროვდება ნიკაპთან; ითვლება, რომ სახის ამ ფორმასყოველთვის დიდად აფასებდნენ მოქანდაკეები და მხატვრები
რომბისებური სახე	ნს - დაახლოებით 4,4სმ ღს - დაახლოებით 14სმ შს - დაახლოებით 11,2სმ;	წარმოადგენს სამკუთხედის ფორმის ნაირსახეობას; ვიზუალურად ღაწვები შუბლზე ფართოა და სიგანე ვიწროვდება ქვევითკენ);
მრგვალი სახე	სს სიგანეზე დიდია არანაკლებ 3სმ-სა	სახის ეს ფორმა ჩვეულებრივ იწვევს გარშემომყოფთა ქვეცნობიერ სიმპათიას);
მოგრძო სახე	სს ოდნავ დიდია სიგანეზე	
ოთხკუთხედი სახე		წარმოადგენს სამკუთხედის ფორმის ნაირსახეობას; ვიზუალურად ღაწვები შუბლზე ფართოა და სიგანე ვიწროვდება ქვევითკენ.
მართკუთხა სახე		აერთიანებს მრგვალი დამოგრძო სახეების მახასიათებლებს;
მსხლის ფორმის სახე		მრგვალი სახის სახეობა, სიმაღლეში ოდნავ გაწელილი და შევიწროებული სიგანის შუბლით.
ბრილიანტის ფორმის სახე		სიმაღლეში გაწელილი სამკუთხედის ფორმა.

სახის ფორმის მიხედვით ვარჩევთ ვარცხნილობას, თმის შეჭრის სტილს. შეჭრისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები სახის ფორმის შესაბამისად:

- ***ოვალური სახე*** - უხდება სხვადასხვა სიგრძის ვარხცნილობების უმრავლესობა (სიმეტრიული და ასიმეტრიული); ვარცხნილობა შეიძლება იყოს როგორც "ჩოლკით", ისე "უჩოლკოდ"; უხდება ასევე როგორც დაბალი, ისე მაღალი

ვარცხნილობაც; დასაშვებია ნებისმიერი სახის თმის გაყოფა და მისი არარსებობაც; ღია ან დაფარული ყურები; ნაკლებად რეკომენდებულია გრძელი გაშლილი თმა;

- ***სამკუთხედი ანუ გულის ფორმის სახე*** - რეკომენდებულია ნიკაპის ოდნავ ქვევით სიგრძის თმა (შეიძლება "კარეც"); "ჩოლკა" წარბებამდე, გრძელი, ირიბი; ვარცხნილობამ უნდა შექმნას მომრგვალებული ფორმა, იყოს მსუბუქად აჩეჩილი, მეტი თმა ლოყების ზევით, ხშირი "ჩოლკით" და სახისკენ დახვეული ბოლოებით; არ არის რეკომენდებული სწორად დავარცხნილი გვერდითი თმა და მოკლე "ჩოლკა";

- ***რომბისებური სახე*** - თმები უნდა დაივარცხნოს ლოყებზე, აუცილებელია "ჩოლკა"; არ უხდება შუაზე გაყოფილი ან უკან გადავარცხნილი თმა;

- ***მრგვალი სახე*** - მთავარია სახეს მივცეთ სიგრძე; "ჩოლკა" შეიძლება იყოს სწორი ან ირიბი, თმა - სწორი, სიგრძით ქვედა ყბის კუთხეებამდე; მნიშვნელოვანია ვარცხნილობის სიფაფუკე: შეიძლება აიჩეჩოს თხემის ზონაში; არაა რეკომენდებული "ჩოლკის" არქონა, უკან გადავარცხნილი სწორი თმა, დაბალი ვარცხნილობა დაფარული ყურებით;

- ***მოგრძო სახე*** - რეკომენდებულია "ბობი", რათა გავაფართოვოთ და შევარბილოთ სახე; არაა რეკომენდებული სწორი გრძელი თმა;

- ***ოთხკუთხედი სახე*** - იდეალურად უხდება "გრადუირებული კარე" სიგრძით ოდნავ ნიკაპს ქვევით, რომელიც ფარავს ქვედა ყბის ფართო კუთხეებს; მოუხდება სახის ოდნავ მოჩარჩოებული ვარცხნილობა (ან სახეზე ოდნავ შემოხვეული), რომელიც დაფარავს ღაწვებს აწეულ თხემის არესთან ერთად; არაა რეკომენდებული მოკლე ვარცხნილობები;

- ***მართკუთხა სახე*** - უხდება "ჩოლკა", რომელიც შუბლს ფარავს; ვარცხნილობას უნდა მივცეთ სიფაფუკე ღაწვების დონეზე, მოვამრგვალოთ ფორმა; არ არის რეკომენდებული ძალიან მოკლე ვარცხნილობა და გრძელი სწორი თმა;

- ***მსხლის ფორმის სახე*** - უხდება ვარცხნილობა, რომელიც ლოყებს ფარავს და ყურადღებას გადაიტანს თხემის არეზე; არაა რეკომენდებული ვარცხნილობები შუაზე გაყოფილი თმით, თხემის ზონაში სწორი გადატკეცილი თმით, ღია ყურებით, ყურებზე ან კეფაზე კულულებით;

- ***ბრილიანტის ფორმის სახე*** - ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია შუბლის გაფართოება, ღაწვების შერბილება, მოცულობის გაზრდა შუბლზე და ნიკაპთან; უხდება ასიმეტრიული ვარცხნილობა მოცულობითი ტალღოვანი თმებით; კეფის უკანა ნაწილში შეიძლება ბლომად თმის დატოვება; შესაძლებელია მოკლე ვარცხნილობები.
-



შერჩევის დამატებითი ასპექტები

სახის საერთო ფორმის გარდა მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს სხვა ინდივიდუალურ თავისებურებებს:

- *დაბალი შუბლი* - უხდება აფუებული "ჩოლკა" წარბს ქვევით
- *მაღალი შუბლი* - რეკომენდებულია მოკლე "ჩოლკა"
- *გრძელი ცხვირი* - დაბალი აფუებული "ჩოლკა", მოცულობა კინკრიხოზე და კეფაზე; არ არის რეკომენდებული სწორი, გადატკეცილი, შეკონილი თმები და "ჩოლკის" არქონა

- *დიდი ცხვირი* - აფუებული "ჩოლკა"
- *პატარა ცხვირი* -არ არის საჭირო "ჩოლკა"
- *ბრტყელი კეფა* - მოუხდება მოკლედ შეჭრილი, დახვეული, აფუებული ან კინკრიხოზე აჩეჩილი ვარცხნილობები, ასევე ვარცხნილობები გრძელი თმებით, რომლებიც კეფაზე შეჭრილია, როგორც "გრადუირებული კარე", "კასკადი"
- *ოდნავ მოღრეცილი ნიკაპი - უხდება* სახის დამაგრძელებელი ვარცხნილობები
- *წინ წამოწეული ნიკაპი* - ვარცხნილობები დაფარული ყურებით
- *მაღალი კისერი* - სწორი ან დადაბლებულად კანტშემოვლებული დახვეული გრძელი თმები
- *დაბალი კისერი* - სწორი ან აწეულად კანტშემოვლებული დახვეული თმები
- *ფართო კისერი* - უხდება კონტურის შემოვლება "გამოშვერილად" ან "კუთხისებურად" .
- *დიდი ყურები* - რეკომენდებულია ვარცხნილობები გრძელი თმებით
- *მაღალი ადამიანი* - მოცულობითი ვარცხნილობები, მაგრამ არა ძალიან გრძელი

- *დაბალი ადამიანი* - არაა რეკომენდებული ძალიან მოცულობითი ვარცხნილობები.

ვარცხნილობები განსაზღვრავენ ასევე ადამიანის ტიპსა და ხაზს უსვამს მის ამა თუ იმ ნაკვთის გამომხატველობას. მაგ.:

- ვარცხნილობები გრძელი თმებით მოითხოვს კარგ მოვლას, ხოლო მის პატრონს ახასიათებს, როგორც კლასიკური სტილის მატარებელს;
- მოკლე ვარცხნილობები იოლია მოსავლელად (ზამთრის პერიოდის ჩათვლით), ასაკის მიუხედავად წარმოაჩენს პიროვნების დინამიურობას;
- ირიბი და წარბებზე ჩამოყრილი "ჩოლკა" ხაზს უსმევს გამოხედვას;
- მხრებამდე გრძელი თმა ქალის ნატურას ძალზე ხშირად რომანტიკულ ელფერს აძლევს, განსაკუთრებით რბილ ტალღებთან ერთად;
- არისტოკრატულ სახის ნაკვთებს ხაზს უსმევს ულტრა მოკლე თმა;
- ელეგანტურობა მიიღწევა ვარცხნილობით იდეალური ქუდით;
- მოკლე "დაფლეთილი" ვარცხნილობები მკაფიოდ გამოხატავენ გოგონების პრაქტიკულობას, რომლებთაც არ სურთ დროის დაკარგვა ხანგრძლივ ვარცხნილობებზე;
- ექსტრავაგანტულ იერს იძლევა ვარცხნილობა გრძელი კულულების და აწეული "ქუდის" კომბინაციით ან ასიმეტრიულად შეჭრილი თმით;
- მოცულობითი საფეხურებრივი ვარცხნილობები ხაზს უსმევენ თქვენს სექსუალურობას.

სწორად შერჩეული ვარცხნილობა ხაზს უსვმევს პიროვნილ ღირსებებს და ქმნის უნაკლო იერსახეს.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. რას ეწოდება თმის რადიალური დაყოფა?
2. ჩამოთვალეთ და აღწერეთ ვარცხნილობის ძირითად ფორმები?
3. რა და რა მიმართულების შეიძლება იყოს თმის ზონებად დაყოფა?
4. აღწერეთ საგიტალური გაყოფა ?
5. რა სტილის ვარცხნილობებია რეკომენდებული სახის ოვალური ფორმისთვის?
6. მოგრძო ფორმისთვის?
7. სამკუთხედის ფორმისთვის?
8. რომბისებური ფორმისთვის?
9. ოთხკუთხედი ფორმისთვის?
10. ბრილიანტის ფორმისთვის?
11. მსხლისებური ფორმისთვის
12. ? მართკუთხედი ფორმისთვის?
13. დაასაბუთეთ, რატომ არის რეკომენდებული შერჩეული ვარცხნილობები ამ ფორმის სახისთვის?

მოცემული პარამეტრებისა და აღწერის მიხედვით განსაზღვრეთ საკუთარი სახის ფორმა

ზუსტი განმარტების მიცემა ამ ვარცხნილობისთვის რთულია. ის ყველას განსხვავებულად წარმოუდგენია. მაგრამ ასეა თუ ისე, კრეატიული ვარცხნილობა, ეს ეფექტური ვარცხნილობაა, რომელიც იქმნება ყველაზე პროგრესული, უახლესი, ზოგჯერ კი ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენებით. ასეთი ვარცხნილობა გვაოცებს უჩვეულო ორიგინალური ფორმით, ხაზების უჩვეულო პლასტიკით, რომელიც საუკეთესოდ გადმოსცემს პიროვნების ინდივიდუალობას. ძალიან ხშირად დამატებითი ეფექტის მისაცემად კრეატიულ ვარცხნილობას კრეატიულ შეღებვასაც უმატებენ.

კრეატიული ვარცხნილობების ვარიანტები უმარავია, ყველაფერი დამოკიდებულია ოსტატის ფანტაზიაზე. რაც უფრო მაღალია პარიკმახერის პროფესიონალიზმი, მით მეტია შანსი გახდე ექსკლუზიური, გასაოცარი ვარცხნილობის მფლობელი. შემთხვევით არ უწოდებენ ასეთ ვარცხნილობებს კრეატიულს. ეს ტერმინი მოდის ინგლისური სიტყვიდან creative - "შემოქმედებითი". რა თქმა უნდა, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ფანტაზიის აღმაფრენა განმტკიცებულია პროფესიული ბაზით, ცოდნით, სხვადასხვა მეთოდიკებით. მათ შორის არის "პოინტინგი" (ფილირება სწორი მაკრატლით მშრალ თმებზე), "პოინტკატი" ("წერტილოვანი შეჭრა"), რომელიც გამოიყენება გრძელი თმების - მხრებამდე და უფრო გრძელის მოდელირებისას, და ასევე "დისქონექთედ ქონექშენ", რომელიც თმებს აძლევს გასაოცარ მოცულობას. კრეატიულ ვარცხნილობაზე მუშაობისას, ოსტატს შეუძლია გამოიყენოს მრავალფენიანი შეჭრის ტექნიკა, მოულოდნელი ფერების შეხამება და საპარიკმახერო ხელოვნების სხვა ხერხები.

კრეატიული ვარცხნილობები პირობითად კლასიფიცირდება ნოსიბელურ და საპოდიუმო ვარცხნილობებად. სანამ აირჩევთ საპოდიუმო ვარიანტს, ეცადეთ განსაზღვროთ, რამდენი ხანი უნდა ატაროთ ეს ვარცხნილობა და მზად ხართ თუ არა გადალახოთ სიძნელეები, რომელიც შეგხვდებათ.

კრეატიულ ვარცხნილობას შეიძლება ჰქონდეს მრავალნაირი ფორმა, მოცულობა. ისინი ხშირად შეითავსებენ სხვადასხვა სიგრძის და შეფერილობის კულულებს. გრძელ თმასთან ერთად თავზე შეიძლება იყოს მოპარსული ზონები. საფეხურებრივი, დაწყვეტილი "ჩოლკები", უცნაური ნაწნავები, ზოგჯერ თმისგან შექმნილი ნახატები - ეს არის კრეატიული ვარცხნილობების არასრული ჩამონათვალი.

მაგრამ ყველაზე მკაფიო, კრეატიული ვარცხნილობა, შეღებილი თუ შეუღებავი, არ უნდა იყურებოდეს "განყენებულად, თავისთვის" როგორც ეს ხშირად გამოსდით, როცა ის შესრულებულია კლიენტის იერსახის და ცხოვრების წესის შეუსაბამოდ. კრეატიული ვარცხნილობა - ეს პირველ ყოვლისა არის ინდივიდუალობის ხაზგასმის საშუალება. ამიტომ ოსტატმა, რომელიც მას ქმნის, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს კლიენტის თმის ტიპი და გარეგნობის ყველა ნიუანსი: სახის ფორმა, ჩაცმის სტილი, ხასიათიც კი. თუ ყველა მომენტი გათვალისწინებული იქნება, შედეგად მივიღებთ განუმეორებელ ფორმას და ხორცშესხმულ კრეატიულ მიდგომას იმიჯის შესაცვლელად.

კლასიკურისგან განსხვავებით კრეატიულ ვარცხნილობას ვერავის ვერ ურჩევ. ვარცხნილობა ყველამ თავად უნდა შეარჩიოს, სურვილისგან გამომდინარე ან ზოგიერთ ზოგად ტენდენციებზე დაყრდნობით, რომლებიც საერთოდ არსებობენ კრეატიულ ვარცხნილობებში. თმის სიგრძის და ვარცხნილობის ფორმის მიუხედავად, სტილური ვარცხნილობა არ უნდა იყოს ზედმეტად გასწორებული. კრეატიული ვარცხნილობა ეს არ არის უწესრიგობა, ეს არის ბუნებრიობა - თმები ბუნებრივად უნდა იჯდეს და რა თქმა უნდა, ჯანმრთელი, მოვლილი და ბზვინვარე.

„დაუდევარი" ვარცხნილობები

„დაუდევარი" ვარცხნილობები ბოლო დროს გახდა ძალიან პოპულარული. ჯერ ერთი, ის იყურება თანამედროვედ, მეორე, ის უჩვეულოა, არატრადიციული, ამიტომ მათ ირჩევენ ძირითადად ყმაწვილქალები და მოზარდები. „დაუდევარი" ეფექტის მისაღებად ასეთი ვარცხნილობების დროს გამოიყენება სამართებელი, რომლითაც თმა კიდეებში იჭრება

სპეციალური ხერხით, რომ კულული ჩანდეს „ჩაჭრილი“. დაუდევარი ვარცხნილობები ძალიან უხდებათ შავგვრემანებს.

განვიხილოთ „დაუდევარი“ ვარცხნილობების ზოგიერთი ვარიანტი მოკლე და გრძელ თმისთვის.

დაუდევარი ვარცხნილობები

მოკლე „დაუდევარი“ ვარცხნილობები

მოკლე „დაკუწულ“ ვარცხნილობებში ჩანს ხაზების სიზუსტისამდი და მათი მკაფიო გეომეტრიისადმი მისწრაფება. მსგავსი ვარცხნილობების წყალობით შესაძლებელია თხელი და რბილი თმისთვის ვიზუალურად მეტი მოცულობის მიცემა, ხოლო მათ, ვისაც ბუნებრივად ხეშეში თმა აქვს, შეიძლება ვამჯობინოთ „დაუდევარი“ ვარცხნილობების უფრო მკვეთრი ფორმები.

„დაუდევარი“ ვარცხნილობები თხელი და ღია ფერის თმებისთვის

განსაკუთრებით აქტუალურად გამოიყურება მელირება მოკლე თმაზე მრავალფენიანი ვარცხნილობის დროს „დაუდევარი“ ბოლოებით. რაც უფრო მოკლედაა შეჭრილი თმა, მით უფრო კონტრასტულად გამოიყურებიან მელირებული ადგილები. ასეთ ვარცხნილობაში თმის ბოლოები უნდა შეიღებოს ყველაზე ღია ფერად.

გრძელი „დაუდევარი“ ვარცხნილობები

გრძელ თმაზე „დაუდევარი“ ვარცხნილობის კარგი ვარიანტია - სწორი გრძელი თმა შეჭრილი საფეხურებად, დაწყვეტილი ბოლოებითა და გვერდზე გადავარცხნილი. ასეთ ვარცხნილობებში განსაკუთრებული აქცენტირებისთვის თმის ბოლოებზე გამოიყენება კონტრასტული კოლორირების ტექნიკა. მაგალითად, ღია ვერცხლისფრად შეღებილი ბოლოები შავ თმაზე ძალზე კრეატიულია.

„დაუდევარი“ ვარცხნილობები ხასხასა სპილენძისფერ თმებზე.

სხვა ვარიანტი საფეხურებად შეჭრილი ვარცხნილობის ”დაწყვეტილი” ბოლოებით, მაგრამ უფრო ტრადიციული, არ იქნება ცუდი გრძელი თმისთვის. ოღონდ ამჯერად თმის ფერი იქნება უფრო რბილი და ბუნებრივი. ვარცხნილობის კიდეები „დაუდევარი“ ვარცხნილობის წყალობით ხდება თხელი და მახვილი.

„დაუდევარი“ ვარცხნილობები მოკლე წაბლისფერი თმისთვის

გინდ მოკლე, გინდ გრძელ თმაზე უნდა, სპეციალისტმა იცოდეს „დაუდევარი“ ვარცხნილობის დაყენება. თუ თმა ფაფუკია, ის უნდა გასწორდეს უთოთი, უთოსთან აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ თმის გასასწორებელი კოსმეტიკური საშუალებები.

ვარცხნილობა „გარსონი“

ძალიან პოპულარულია მოკლე, ვარცხნილობაში სილაღის შემტანი, მსუბუქი და ოდნავ მოკეკლუცო ვარცხნილობები. მაგალითად, ვარცხნილობა „გარსონი“, რომელიც მოიგონა ჟაკ დესანჟერმა და რომელმაც თავის დროზე გააოგნა დინჯი და დარბაისელი საზოგადოება. ასეთი ვარცხნილობა ხომ თანამედროვე ქალებს ანც ბიჭებს ამსგავსებს! ვარცხნილობის სახელწოდება მოდის ფრანგული ენიდან და ითრგმნება როგორც „ბიჭი“.

ფოტოზე ვარცხნილობა „გარსონის“ ვარიანტები.

ლეგენდის მიხედვით ვარცხნილობის სახელწოდება „ბიჭურად“ დაიბადა ვიქტორ მარგერიტის მოთხრობის „La Garcone” მერე, რომელიც გამოვიდა საფრანგეთში 1922 წელს.

ასეთი ქალს (სპორტული სტილი) არ სჭირდებოდა რომანტიკული კულულები, ის იყო აქტიური, სიცოცხლით სავსე და ცოტა ... უდარდელი.

საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ვარცხნილობა „გარსონი“ შემოვიდა მის ევროპაში გამოჩენასთან თითქმის ერთდროულად. მოდის მიმდევარმა ქალბატონებმა მაშინვე იგრძნეს მისი სიკეთე. გაჩნდა „გარსონის“ სხვადასხვა ვარიაციები. მაგალითად, ზოგჯერ ეს ვარცხნილობა ხდებოდა უფრო ქალური, თმებს იყენებდნენ ტალღებად და კულულებად.

ვარცხნილობა „გარსონი“ გამოირჩევა ვარცხნილობა „ბობისგან“ იმით, რომ „ჩოლკა“, საფეთქლები და კეფა მუშავდება დასათხელებელი (ფილირების) მაკრატლით ისე, რომ თმა „თითქოს არ არის“, მჭიდროდ ეკვრის თავის კონტურს. მთავარია, ოსტატმა ეცადოს, მიაღწიოს „გარსონის“ ვარცხნილობის მაქსიმალურად აკურატულ კონტურებს. სწორედ ამაშია მისი შესრულების მთავარი სირთულე.

„გარსონი“ ძალიან უხდება თხელი ფიგურის და ვიწრო სახის მქონე ქალებს, და ასევე სპორტული სტილის ქალებს.

ვარცხნილობა „პაჟი“ (ვარცხნილობა „სესუნი“)

ვარცხნილობა „პაჟი“ (მისი ვარიანტია ვარცხნილობა „სესუნი“) არის კლასიკა, რომელიც დღემდე ბევრისთვის საყვარელ ვარცხნილობად რჩება. ამ ვარცხნილობისთვის დამახასიათებელია სწორი თმა და „ჩოლკა“. ვარცხნილობის სიგრძე მერყეობს ყურების შუა ნაწილიდან მხრებამდე. ვარცხნილობას სხვადასხვა ვარიაციები აქვს (რომლებზეც ქვევით ვისაუბრებთ), რის გამოც ის ყოველთვის ახალია და არაჩვეულებრივი. ვარცხნილობა „პაჟი“ იდეალური ვარიანტია ქალებისთვის, რომელთაც სურთ წარმოაჩინონ თავიანთი ნიკაპის და კისრის ლამაზი ხაზები. „პაჟი“ასევე ფარავს ზედმეტად გამოშვერილ ყურებს ან მათ არასწორ ფორმას.

კლასიკური ვარცხნილობა „პაჟი“ მთელი ცხოვრების მანძილზე დარჩა საყვარელ ვარცხნილობად ფრანგი მომღერლისთვის მირეი მატიესთვის. მთელი მსოფლიოს პარიკმახერები დღემდე კამათობენ, ვარცხნილობა „პაჟი“ ერჩია მომღერალს თუ მისი ვარიანტი - ვარცხნილობა „სესუნი“. თუ ყურადღებით დავაკვირდებით მომღერლის სხვადასხვა დროს გადაღებულ ბევრ ფოტოს, შევამჩნევთ, რომ ზოგიერთ მათგანზე მისი თმა სწორი და გლუვია, „ჩოლკა“ თანაბრად შეჭრილი, ხოლო ზოგიერთ ფოტოზე „ჩოლკა“ შეჭრილია ნახევარრკალად და თმაც უკან ფაფუკი და უფრი გრძელია, ვიდრე გვერდებში. ე. ი. ლოგიკური იქნება ვივარაუდოთ, რომ ფრანგი ესტრადის ვარსკვლავი დრო და დრო ცვლიდა თავის ესოდენ მოწონებულ ვარცხნილობა „პაჟს“ მის ვარიანტზე „სესუნზე“, რომელიც ბევრად არ განხვავდება მისგან.

ჩვენს ქვეყანაში მოდაში ვარცხნილობა „პაჟი“ შემოვიდა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, ხოლო ბოლო ათწლეულში მის მიმართ ინტერესი გაორმაგდა. დღეს „პაჟს“ და „სესუნს“ სტილისტები გვაწვდიან უფრო კრეატიულად. თამამად იღებება თმის ცალკეული ნაწილები, დაშვებულია ”დაწყვეტილი” კონტურის შემოვლება, ირიბი ”ჩოლკები”. უნდა აღინიშნოს, რომ ვარცხნილობა ”პაჟი” ან ”სესუნი” დღესდღეობით არ არის ყველაზე სასურველი და მოთხოვნადი ვარცხნილობა. მას მიმართავენ ისინი, ვინც მიეჩვია თავის კლასიკურ იერსახეს და ვერ წარმოუდგენიათ საკუთარი გარეგნობა ამ ვარცხნილობის გარეშე.

ვარცხნილობა „სესუნი“.

ამის მიუხედავად ვარცხნილობა „პაჟი“ არ მოითხოვს დიდ ძალისხმევას.

როგორ დავვარცხნოთ თმა ვარცხნილობა „პაჟი“-ის დროს? - მათზე უნდა დავიტანოთ მცირე რაოდენობის თმის მოსავლელი საშუალება, გელი, კრემი, მუსი, მერე კი ფენის და ჯაგრისის დახმარებით მივცეთ თმას საჭირო მიმართულება.

ვარცხნილობა ”პაჟი” კარგად განახლდება და კრეატიული გახდება, თუ თმას კოლორირებას გავუკეთებთ. მაგალითად, კარგად გამოიყურება კონტრასტული ფერები - ცივი და თბილი, რომლებიც ერთმანეთს შეენაცვლებიან. ოღონდ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ არჩეული ფერი ჰარმონიულად უნდა იქნეს შერწყმული კლიენტის თვალებისა და კანის ფერთან.

თბილი, ღია ფერები სახეს ანიჭებენ ქალურობასა და სირბილეს, ხოლო ცივი და მუქი ფერები - თავშეკავებულ ელეგანტურობასა და სიმკაცრეს.

ვარცხნილობა „პაჟი“ ყველაზე ხშირად ივარცხნება ბოლოებით შიდა მხარეს, მაგრამ მრავალფეროვნებისთვის შეიძლება სცადოთ საპირისპირო ვარიანტიც. ამ ვარცხნილობისთვის დამახასიათებელია სწორი ”ჩოლკა”, მაგრამ როგორც ვარიანტი შეიძლება ირიბი ”ჩოლკაც”.

ვარცხნილობა ”პაჟის” სადღესასწაულო სახეობები შეიძლება გაკეთდეს შემდეგნაირად:

- ✓ კინკრიხოზე კულულები მილისებურად იხვევა თმის უთოთი ან რკინის თმის სახვევით, ასევე იხვევა შვეული კულულები მათ შორის.
- ✓ მთელი თმა გადაივარცხნება უკან, უთოვდება გელით ან სხვა მაფიქსირებელი საშუალებებით. გვერდებში კულულები სპირალურად იხვევა.
- ✓ თმა იყოფა, ხოლო ”ჩოლკა” გვერდებზე მაგრდება, თმა ამ დროს იდეალურად სწორდება.

ვარცხნილობა ”პაჟი” უნდა შესწორდეს სამ კვირაში ერთხელ, ვარცხნილობის კონტურებს მუდმივად უნდა ჰქონდეს მკაფიო ხაზი. იგივე მოეთხოვნაა ”ჩოლკისთვისაც”.

ვარცხნილობა "კარე"

ვარცხნილობა "კარე" ყოველთვის იქნება ყველაზე მოთხოვნადი ქალბატონებს შორის. ის, როგორც მოკლე ვარცხნილობა "ბობი", უნივერსალურია. ვარცხნილობა "კარე" ნიშნავს, რომ თმა ამ ვარცხნილობაში იჭრება სწორხაზოვნად. ეს ხერხი ვიზუალურად "ამძიმებს" თმას, რისი წყალობითაც ყველაზე თხელი თმებიც შეიძლება გამოჩნდეს სქლად და ჯანმრთელად, ვიდრე არის სინამდვილეში. იხილეთ, ფოტოზე როგორ გამოიყურება ვარცხნილობა "კარე" განსხვავებული ვარიანტებით და განსხვავებულ თმაზე:

ვარცხნილობა "კარე" "ჩოლკით" სწორ ფაფუკ მუქი ფერის თმაზე.

თუ ვარცხნილობა "ბობი" შეიძლება შესრულდეს სხვადასხვა ტექსტურის თმაზე, ხვეულზეც და ტალღისებურზეც, "კარე" იჭრება მხოლოდ სწორ თმაზე და მნიშვნელობა არ აქვს ხშირია თმა თუ თხელი.

ვარცხნილობა "კარე" დაგრძელებული წინა კონებით.

ვარცხნილობა "კარეს" დროს დაშვებულია თმის სიგრძის და ვარცხნილობის კონტურების შეცვლა, ამიტომ ის პრაქტიკულად უხდება ნებისმიერი ტიპის სახეს. "კარეს" გააჩნია უამრავი ვარიანტი!

ფოტოზე მოკლე "კარე" სქელი თმისთვის, ცენტრში - "კარე" "ჩოლკის" გარეშე მელირებით.

ეს ვარცხნილობა შეიძლება იყოს მოცულობითი და გლუვი, განსხვავებული სახეობის "ჩოლკებით", სქელი და სწორით დაწყებული, გრძელი და ირიბით დამთავრებული. შეიძლება "კარეს" გაკეთება "ჩოლკის" გარეშე, სადაც თმა შუბლიდან უკან ივარცხნება. ასეთი "კარე" ვიზუალურად აგრძელებს სახეს.

მოკლე "კარე" სქელი სწორი "ჩოლკით" შავგვრემანებზე.

”კარეს” სხვა ვარიანტი ძალიან მოკლეა ამ სახის ვარცხნილობისთვის - თმის სიგრძე იჭრება კისრის შუამდე. ასეთი ”კარე” საუკეთესოდ შეითავსებს სილამაზეს და ქალურობას, ძალიან მოსახერხებელი და პრაქტიკულია.

”კარე” ”ჩოლკით” ვერცხლისფერ ქერებზე.

კლასიკური ”კარე” დიდი პოპულარობით სარგებლობს ქალებში და გოგონებში მთელი მსოფლიოს მაშტაბით. ეს არის ძალიან მოხერხებული და სადა ვარცხნილობა, რომელიც სხვადასხვანაირად დავარცხნის შესაძლებლობას იძლევა.

ვარცხნილობა ”კარე” შეიძლება იყოს ”ჩოლკით” ან ”უჩოლკოდ”, სხვადასხვა სიგრძის, როგორც ძალიან მოკლე, ისე გრძელი.

ვარცხნილობა ”კარე” შეიძლება განსხვავებულად გამოიყურებოდეს. ის შეიძლება იყოს რომანტიკული კულულებით, სწორი თმებით, ან უკან გადავარცხნილი. ”კარეს” ტარება შეიძლება როგორც შუაზე, ისე გვერდზე გაყოფილი თმით, ერთ ან ორივე ყურზე გადაიწული, ან სულაც საერთოდ წინ ჩამოყრილი თმით.

ვარცხნილობა "კარე".

ახლა ავხსნათ, როგორ უნდა შეიჭრას "კარე".

"კარე" იჭრება ვიწრო პირიანი მჭრელი საპარიკმახერო მაკრატლით. სველი, კარგად დაბანილი თმა გადაივარცხნება უკან და იყოფა ორ ზონად. თითოეული მათგანი მაგრდება საპარიკმახერო სამაგრით. თავისუფალი რჩება მხოლოდ კეფის თმა, რომელიც უნდა შეიჭრას აუცილებელ სიგრძეზე. თმის ფენას ვიჭერთ შუა და საჩვენებელი თითებით და ვასწორებთ სავარცხლით. თითოეული ფენა, რომელიც იჭრება, სისქით არ უნდა აღემატებოდეს 3-4 თმის ღერს, ხოლო სიგანით - არაუმეტეს ოსტატის თითების სიგრძისა. კონტურის გავლების შემდეგ სამაგრებისგან თანდათან თავისუფლდება თხელი კონები როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, კონები გამოიყოფა სავარცხლის წვეტიანი პირით, იჭრება და უსწორდება უკვე შეჭრილ თმას. როცა მთელი კეფა უკვე შეიჭრება, უნდა გავათავისუფლოთ საფეთქლის ნაწილის თმა და შევჭრათ იგივე ტექნოლოგიით. მთავარი ამ ვარცხნილობაში არის თმის სიგრძის სიმეტრიის დაცვა ორივე მხრიდან, რომელიც მიიღწევა თმის გათანაბრებით ნიკაპის ქვევით ორიენტაციით შუა სახისკენ. თუ თმა

გრძელია, თავის ზედა ნაწილში, თმის კონები გამყოფის გასწვრივ აიწევა თავის პერპენდიკულარულად და თანაბრდება.

მას შემდეგ, რაც ყველა ფენა ერთმანეთზე გასწორდება საფეთქლის და კეფის არეებში, შეიძლება გადავიდეთ "ჩოლკის" გაფორმებაზე. მას სწორად ჭრიან მაკრატლით, ამასთან გახსოვდეთ, რომ გაშრობის დროს ის ოდნავ მოკლდება.

თუ "კარე" გამოვიდა საკმაოდ მოკლე, ხოლო კლიენტის თმა ხშირია, ვარცხნილობას შეიძლება მივცეთ მოცულობა. ამისთვის თმა, კეფიდან დაწყებული, უნდა თითებით ავიღოთ მათი ზრდის მიმართულებით და გავასწოროთ თავის მთელ გარშემოწერილობაზე „ჩოლკის" გარდა. ეს დაასრულებს ვარცხნილობის გაფორმებას და მას მისცემს დამატებით სიფაფუკეს.

მოცულობის მისაცემად თმის ზოგიერთი ნაწილი შეიძლება შეიჭრას დამათხელებელი მაკრატლით, ან თმის კონებზე ირიბად გავატაროთ მჭრელი მაკრატელი ნახევრად გახსნილი პირით, რაც ფილირების მსგავს შედეგს მოგვცემს.

ვარცხნილობა „კარე" შეიძლება იყოს სხვადასხვა სიგრძის. ვარცხნილობის ყველაზე მოკლე ვარიანტიდან ე.წ. „კარე ფეხებზე" (თმას მოცულობა ეძლევა კეფის ნაწილში) გრძელ კარემდე, სადაც თმის ბოლოები პრაქტიკულად მხრებზე ეფინება.

„კარეს" დავარცხნა ადვილია. ჯერ უნდა დაასველოთ თმა მაფიქსირებელი ლოსიონით, ქაფით ან გელით და მერე იწყებთ ფენით გაშრობას ბრაშინგის მეთოდით (მრგვალი სავარცხელი-ჯაგრისის მეშვეობით), თან ისე, რომ თმის ბოლოები შიდა მხრიდან მოარგვალოთ.



მოკლე „კარე ფეხებზე“

ვარცხნილობა „კარე ფეხებზე“ გამოიყურება ძალზე ელეგანტურად და მოხდენილად. ის გათვლილია ნებისმიერი ტიპის თმისთვის. მთავარია, კისრის ხაზები, რომელზეც ძირითადი ყურადღებაა გადატანილი ვარცხნილობის დროს, იყოს სწორი, ხოლო კისერი - საკმაოდ მაღალი. ეს ვარცხნილობა განსაკუთრებით მომხიბვლელად გამოიყურება, მუქი ელფერის მქონე თმაზე.

ვარცხნილობა „კარე ფეხებზე“ სრულდება უშუალოდ სუფთა და ნამიან თმაზე. ვარცხნილობის დაწყების წინ საგულდაგულოდ დავარცხნეთ თმები მათი ბუნებრივი ზრდის მიმართულებით. ახლა გაყავით თმები ოთხ ძირითად არედ, დაამაგრეთ ისინი საპარიკმახერო სამაგრებით. კეფის ნაწილიდან სამაგრი მოხსენით, ხოლო თმები გაყავითორ ნაწილად ისე, რომ გაჩნდეს თარაზული გაყოფა ყურის ხაზის გასწვრივ.

შემდეგ დავარცხნეთ თმა და გაყავით ის ორ ნაწილად, ამასთან დააფიქსირეთ თმების მოდიდო ზედა ნაწილი და შეჭერით შვერილად («мысиком») კეფაზე. ახლა კიდევ გაათავისუფლეთ თმა კეფაზე და ზუსტად იგივენაირად დაამაგრეთ მათი მოდიდო ნაწილი და შეჭერით თმა. ორიენტირება აიღეთ წინა შეჭრილზე, მაგრამ გააკეთეთ ის ოდნავ მოკლე. გააგრძელეთ შეჭრა ამგვარად, სანამ არ მიხვალთ ყურის ხაზამდე.

ვარცხნილობა ”კარე ფეხებზე“

კეფაზე თმა დაათხელეთ ფილირების მაკრატლით ან სამართებლით, გაათავისუფლეთ თმა კეფაზე და გააფორმეთ ვარცხნილობა „კარეს“ საბაზო ხაზი. გააგრძელეთ თმის ჭრა იმავე სქემით, როგორც ჩვეულებრივი „კარეს“ დროს, და გადადით საფეთქლის მიდამოების გაფორმებაზე. შემდეგ გადადით „ჩოლკის“ შეჭრაზე. „ჩოლკა“ შეიძლება გააკეთოთ სამკუთხა ფორმის. ვარცხნილობაში „კარე ფეხებზე“ „ჩოლკა“ შეიძლება იყოს გრძელი, მოკლე, სწორი, ირიბი, შეწეული ან გამოწეული - ნებისმიერი გემოვნების და სურვილის შესაბამისად. შეჭერით „ჩოლკა“ ირიბი ხაზით, რომელიც მწყობრად, ნარნარად და შეუმჩნევლად უნდა გადადიოდეს გვერდითა მხარეების თმაში. სასურველია ასევე „ჩოლკის“ დათხელება. ბოლო ეტაპზე შეამოწმეთ, რამდენად სწორად შეჭერით, და შეასწორეთ, თუ საჭიროა, გამოშვერილი თმა.

ასიმეტრიული ვარცხნილობები

ასიმეტრიული ვარცხნილობები გამოირჩევა განსაკუთრებული ექსტრავაგანტობით. ის ყოველთვის მოდის პიკზეა და თანამედროვედ გამოიყურება. ასიმეტრიული ვარცხნილობების შეხამება შეიძლება თმის გლაზურირებასთან, ასეთ შემთხვევაში ვარცხნილობა უბრალოდ მომაჯადოვებელი გახდება. ამასთან, ასეთი ვარცხნილობების დავარცხნა სულ არ არის ძნელი.

თმის სიგრძე და ასიმეტრიული ვარცხნილობა

თუ თმა საშუალო სიგრძისაა, მაშინ სახეს ასიმეტრიული ვარცხნილობა შესანიშნავად მოუხდება, სახის ტიპისა და საერთო სტილის მიუხედავად. შეიძლება გაკეთდეს ულტრა მოკლე ასიმეტრიული ვარცხნილობა, როდესაც თმა გაიკრიჭება კეფაზე, რაც ძალიან სექსუალურია, თუმცა ეს ვარიანტი არ მოუხდება ყველა ქალს.

ახალგაზრდული ასიმეტრიული ვარცხნილობები ავანგარდულ სტილში.

სხვადასხვა სიგრძის თმაზე ასიმეტრიული ვარცხნილობა ეფექტურად და ძალიან ქალურად გამოიყურება. შეიძლება მისი გალამაზებაც ზოგიერთი კულულის გამოყოფით, მაგალითად, სხვადასხვა სიგრძის თმის საშუალებით ან ცალკეული კონებისთვის განსხვავებული ელფერის მიცემით რაც უნდა ჯდებოდეს საერთო ფერთა გამაში.

მოკლე ასიმეტრიული ვარცხნილობა.

თმის ფერი და ასიმეტრიული ვარცხნილობა

ასიმეტრიული ვარცხნილობის დროს თმა შეიძლება შეიღებოს ნებისმიერ ფერად. ასეთი ვარცხნილობა ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა, რომელსაც უხდება ნებისმიერი, ყველაზე მკვეთრი, მყვირალა ფერიც ან კოლორირება.

მოკლე ასიმეტრიული ვარცხნილობა ქერა თმისთვის.

ასიმეტრიული ვარცხნილობა ფაფუკი თმისთვის.

ვარცხნილობა "ქუდი" («шапочка»)

ვარცხნილობა "ქუდი" იმ ვარცხნილობების ერთ-ერთი ვარიანტია, რასაც ეწოდება "ერთ სიგრძეზე". "ქუდი" ძალიან მარტივია შესასრულებლად და ამიტომაც პოპულარულია. ვარცხნილობა "ქუდი" ყოველთვის ლამაზად და ფაქიზად გამოიყურება, არ საჭიროებს დიდ მოვლას.

ვარცხნილობა "ქუდი" იდეალურად უხდება სქელ თმასაც და თხელსაც, სწორსაც და ბუნებრივად ხვეულსაც, ან თმას ქიმიური დახვევის შემდეგ. ანუ ვარცხნილობა "ქუდი" კარგად გამოიყურება ნებისმიერი სახეობის თმაზე, გარდა ძალიან ხშირი თმისა, ამიტომ, ამ ტიპის თმისთვის ეს ვარცხნილობა რეკომენდებული არ არის.

ვარცხნილობა "ქუდი"

როგორ იჭრება ეს ვარცხნილობა? - გამოიყოფა 4-5 სმ სიმაღლის საფეთქელ-გვერდითა არეები. სიგრძივად თითოეული არე იყოფა შუაზე. სულ განაპირა თმის ფენა ჩამოივარცხნება ყურზე და და ფორმდება კლიენტის სურვილისამებრ ან ჩვეულებრივად ირიბად ან კეთდება მოდელური საფეთქელი. ყურს უკან ივლება კონტური მწყობრი ვერტიკალური ჭრით. იმის მიხედვით, თუ რა სურს კლიენტს, შეიძლება ყურის მთლიანად გამოჩენა, ან ნახევრად თმით დაფარვა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში საფეთქლის კონტური მკაფიოდ უნდა ჩანდეს. საფეთქელ-გვერდითა მიდამოს მომდევნო თმის ფენა ჩამოივარცხება უკვე შეჭრილის მიმართ და იჭრება მის მსგავსად. თმა, რომ კარგად დაჯდეს და საფეთქელი ლამაზად გამოიყურებოდეს, შეიძლება შვეულად მსუბუქი ფილირების გაკეთება. კარგი იქნება, ფილირება გაუკეთდეს როგორც ყურს ზემოთ, ისე ყურს უკან მდებარე თმას.

შემდეგ გამოცალკავდება ქვედა კეფის არე თმის თარაზული გაყოფით ყურიდან ყურამდე კეფის ბორცვების გავლით. ზედა კეფის თმას დაგრეხენ და სამაგრით დაამაგრებენ. თმის შვეული გაყოფით გამოყოფენ სულ განაპირა მარჯვენა ან მარცხენა ფენას, დაიჭერენ საჩვენებელ და შუა თითებს შორის და ჭრიან თითების გარეთა მხრიდან. ეს იქნება მაკონტროლებელი ფენა. ასე, შვეული დაყოფით ნაწილ-ნაწილ ჭრიან მთელ ქვედა კეფის არეს, მაკონტროლებელი კონის მსგავსად.

შემდეგ თხემის არე შუაზე იყოფა შვეული გაყოფით - შუბლის შუიდან ფრონტალური თხემის გამყოფამდე. ის და ზედა კეფის მიდამოები სწორად ივარცხნება თმის ზრდის მიმართულებით. ამ მიდამოების თმა იჭრება თანაბრად (წრიულად), თან სიგრძეს ირჩევენ ზედა კიდემდე ან ყურის შუა ნაწილამდე. თხემის არის მარჯვენა და მარცხენა მხარეების გასასწორებლად გვერდითა თმა ივარცხნება სახეზე და ისე სწორდება.

ვარცხნილობის ბოლო შტრიხები - იმისთვის, რომ ვარცხნილობის ხაზები იყოს მწყობრი და ნარნარი, საჭიროა თხემის და ზედა კეფის არეებში თმის ბოლოები შვეულად დავათხელოთ, ასევე ფილირების მაკრატლით შემოვუაროთ უკვე შეჭრილ ქვედა კეფის მიდამოს.

ბოლოს შეჭერით "ჩოლკა" და ისიც დაათხელეთ. ქვედა კეფის არეს კონტური გაავლეთ სწორად ან "კბილანებიანი" მეთოდით, გააფორმეთ კისერზე "დაუდეევარი" კონები და ვარცხნილობა "ქუდი" მზადაა!

ვარცხნილობა "ბობი"

ვარცხნილობა "ბობი" იმის მიუხედავად, რომ ჩანს თანამედროვედ, იმდენად დიდი ხნის წინაა გამოგონილი, რომ მისი ვარიანტების ნახვა ძველ ეგვიპტურ ფრესკებზეც კი არის შესაძლებელი. ზოგი ამტკიცებს, რომ "ბობი" პირველად რაღაც ასი წლის წინ გაჩნდა. ასეა თუ ისე, ვარცხნილობა "ბობი" დღესაც ძალიან პოპულარულია, რადგან მრავალი თანამედროვე ქალი უპირატესობას სწორედ "ბობს" და მის ვარიაციებს ანიჭებს.

რატომ არის "ბობი" თანამედროვე ქალების საყვარელი ვარცხნილობა დღესაც?

ვარცხნილობა "ბობი" უნივერსალურია, ის კარგად იყურება სწორ თმაზეც და ხვეულ თმებზეც, უხდება განსხვავებული ხასიათის ქალებს: რომანტიკულ, საქმიან, მაღალი წრის ქალებს.

ვარცხნილობა "ბობის" უნივერსალურობა იმაშიცაა, რომ გააჩნია უამრავი ვარიანტი, რომლებიც შეიძლება საერთოდ არ ჰგავდეს ერთმანეთს.

ვარცხნილობა "ბობი" პრაქტიკულია, რადგან სხვა ვარცხნილობებისგან განსხვავებით, არ საჭიროებს თმის დავარცხნის და მოვლის ზედმეტ ძალისხმევას, დიდხანს ინარჩუნებს თავის ფორმას.

ვარცხნილობა "ბობი" ბუნებრივია, და ეს მნიშვნელოვანია. რადგან, იერსახის რაც უფრო ნაკლები დეტალი გააღიზიანებს თანამოსაუბრეს, მით უფრო ეფექტური და წარმატებული იქნება საქმიანი შეხვედრები და საუბრები. ვარცხნილობა "ბობის" ბუნებრივი ხაზები გარშემომყოფთა მიერ მისი მფლობელის ზუსტად ასეთ სასურველ აღქმას უზრუნველყოფენ, ამიტომაც არჩევენ მას, თანამედროვე საქმიანი ქალები.

ვარცხნილობა "ბობი" ღია შუბლით.

როგორც უკვე ვთქვით, "ბობი შესანიშნავად ივარცხნება. ამასთან, ერთი და იგივე ვარცხნილობა შეიძლება სხვადასხვანაირად დაივარცხნოს. განვიხილოთ ვარცხნილობა "ბობის" დაცარცხნისა და ვარირების ზოგიერთი ხერხი.

- შეიძლება მომხიბვლელი რომანტიკული კულულების გაკეთება ვარცხნილობის ზევით.
- შეიძლება მთელი თმა უკან გადაიწიოს (შეიკონოს).
- "ჩოლკის" დაყენებისას დაბალი შუბლი უმჯობესია საერთოდ არ დავმალოთ, ხოლო თმები გადავვარცხნოთ უკან. მაღალი შუბლისთვის "ჩოლკა " საჭიროა, ის სახეს დამატებით გამომსახველობას მიანიჭებს. შეიძლება "ჩოლკის" საკმაოდ მოკლედ შეჭრა, ძლივს რომ ჩანდეს, ან დავაყენოთ კინკრიხოდან შეჭრილი ფაფუკი "ჩოლკა".
- შეიძლება გავაკეთოთ დაგრძელებული "ბობი", როცა თმები შეჭრილია იდეალურად თანაბრად. ასეთი "ბობის" ტარება შეიძლება როგორც შუაზე, ისე გვერდზე გაყოფილი თმით. ამ შემთხვევაში დავარცხნის დროს უნდა გამოვიყენოთ ქაფი, რომელსაც სავარცხლით თმებში შევაზელთ, ხოლო მერე ვაშრობთ ფენით კარკასული საცმის გამოყენებით. შუბლის მიდამოში თმებს ვაშრობთ უკან და ზევით დახვევით. ბოლოს მთელ ვარცხნილობას ვაფიქსირებთ ლაქით.
- ვარცხნილობა "ბობის" სხვა ვარიანტი - თმას ვჭრით სწორად, თანაბრად, ხოლო საფეთქლების ზონაში ვაკეთებთ ფილირებას. შედეგად ვიღებთ თმის "სხვადასხვა მხარეს გაშლის" ეფექტს.
- რაღაც განსაკუთრებულის სურვილის შემთხვევაში დაამუშავეთ თმები გოფრე-თმის სახვევით. ასეთ შემთხვევაში, ვარცხნილობა ორიგინალური გამოვა.
- როგორც დავარცხნის ვარიანტი, თმა კიბისებურად, დაკბილულად გაყავით, რაც ძალიან განაახლებს ტრადიციულ "ბობს", რადგან ვარცხნილობაში გაჩნდება სხვადასხვა სიგრძის თმა. ხოლო თითოეულ თმის ფენას შეიძლება დამატებით ტონირება გაუკეთოთ ელფერის მიმცემი ლაქით.
- პირველად, როცა ვარცხნილობა "ბობს" აირჩევთ, უპირატესობა მიანიჭეთ საშუალო სიგრძის "ბობს" კრეატიული ასიმეტრიის გარეშე. ასეთი "ბობის" დასავარცხნად გამოიყენეთ მუსი, თმა გააშრეთ ფენით ძირებიდან თმის ბოლოების მიმართულებით და დაახვიეთ შიდა მხარეს.

- ვარცხნილობა ”ბობს” კრეატიულობას და სიხასხასეს მიანიჭებს ორ ან რამდენიმე ფერად შეღებვა, რაც ვარცხნილობას უფრო ეფექტურს და მეტყველს გახდის.

ვარცხნილობა ”ბობი” ”ჩოლკით”.

უნდა აღინიშნოს, რომ მრგვალი სახის შემთხვევაში სიფრთხილით აარჩიეთ ”ბობის” ვარიანტი, რადგან არასწორად შერჩეულმა მისმა ვარიანტმა, შეიძლება ვიზუალურად გააფართოოს სახე. ვიწრო სახის შემთხვევაში კი, იმაზე უნდა იზრუნოთ, რომ თმას მოცულობა მიეცეს, ანუ გაკეთდეს ”ბობი” რბილი ხაზებით. მძიმე ტიპის სახისთვის (მაგალითად, ”ოთხკუთხედისთვის”) გამოდგება ”ბობის” დაგრძელებული ვარიანტი.

ვარცხნილობა ”კასკადი”

ვარცხნილობა ”კასკადი” სათავეს იღებს გასული საუკუნის 1970-80-იანი წლებიდან. სპეციალიტები ამტკიცებენ, რომ ის იმდროინდელი პანკების თავზეხელაღებული ვარცხნილობების კარგი ვარიანტია, მაგრამ გადაქცეული თავისი წლების საფირმო ვარცხნილობად. 90-იან წლებში “კასკადი“ მიივიწყეს, მაგრამ 2000-იანების დასაწყისში ის კვლავ დაბრუნდა გაკეთილშობილებული სახით და დღესდღეობით სარგებლობს არანაკლები პოპულარობით, ვიდრე კლასიკური „ბობი“ და „კარე“.

ვარცხნილობა „კასკადი“ გრძელ თმებზე.

როგორც პარიკმახერები თვლიან, „კასკადი“ ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ ვარცხნილობა. „კასკადი“ შესანიშნავად იყურება როგორც სქელ თმაზე, რომელსაც ბევრად მორჩილს ხდის, ისე ნაკლებად სქელ თმაზე, რომელსაც საჭირო მოცულობას აძლევს, და აგრეთვე გრძელ კულულებზეც. „კასკადი“ კარგია „ჩოლკითაც“ და „უჩოლკოდაც“. ასეთი ვარცხნილობა საოცრად ქალური და სექსუალურია.

ვარცხნილობა „კასკადი“ წაბლისფერ თმაზე.

ვარცხნილობა „კასკადი“ არის კინკრიხოზე შედარებით მოკლე თმების მწყობრი გადასვლა უფრო გრძელ თმაზე, რომელიც ნამდვილ „კასკადს“ ემსგავსება. „კასკადის“ თმის ინტენსიობა შეიცავს ბევრ ვარიანტს - მთელ სიგრძეზე „დაუდევარი“

ვარცხნილობიდან გრძელ რბილ კულულებამდე, რომლებიც ქმნიან კასკადურ „გადასვლებს“ მხოლოდ თმის უკიდურეს ბოლოებზე.

„კასკადი“ იმითაა კარგი, რომ მისი საშუალებით შეიძლება სახის ფორმის კორექტირება: კვადრატული ნიკაპის გასწორება, მრგვალი სახის უფრო ოვალურად ჩვენება და ა.შ.

ვარცხნილობა „კასკადი“ წინა და უკნა ხედით.

რატომაა დღეს პოპულარული ვარცხნილობა „კასკადი“? კასკადური შეჭრის გაზრდილი პოპულარობის მიზეზი ალბათ უნდა ვეძებოთ მის ფორმაში, არამკვეთრ სწორ ხაზებში, ქალურობაში და გარეგნულ სინაზეში. ამ ვარცხნილობის პოპულარობის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზია მისი უნივერსალურობა. ის, რომ შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი ფორმის სახეზე და ნებისმიერი სახეობის თმაზე, რაც ფრიად ღირებული თვისებაა!

ვარცხნილობა „კასკადს“ გააჩნია რამდენიმე ნაირსახეობა. „კასკადი“ შეიძლება ძალიან ჰგავდს „კარეს“. ამ ორ ვარცხნილობას შორის განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ თმის შეჭრის ზონაში, სადაც „კარეს“ დროს გადის ჭრის მკაფიო ხაზი, „კასკადში“ თმა იჭრება კიბისებურად, ზიგზაგურად, რაც შეჭრის ხაზს ხდის უფრო ბუნებრივს, ხოლო ვარცხნილობის კონტური ხდება გლუვი და მომრგვალებული „გამოვარდნილი“ კულულების გარეშე.

ვარცხნილობა „კასკადი“სწორ თმებზე.

“კასკადის“ მეორე ვარიანტზე „ზიგზაგი“ იწყება თავის სულ ზევიდან, ანუ ცალკეული კონების ბოლოები თავს არ იყრის საერთო ჭრის ზონაში, ის განაწილებულია, განფენილია მთელს ვარცხნილობაზე. რისი წყალობითაც ვარცხნილობა იღებს რომანტიკულ ელფვერს, განსაკუთრებით თუ კონების ბოლოები ოდნავ აპრეხილია ზევით.

ვარცხნილობა „კასკადი“ მოკლე და გრძელი თმებისთვის.

ეს არის „კასკადის“ ვარიანტი საპირისპირო მიმართულებით დახვეული თმის ბოლოებით (ბოლოები ისხვევა შიგნით), რომელიც ვარცხნილობას აძლევს დასრულებულ სახეს და მმატებს ელეგანტურობას.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. **რას ეწოდება კრეატიული ვარცხნილობა?**
2. **რომელ ჯგუფებად კლასიფიცირდება კრეტიული ვარცხნილობები?**
3. **ისაუბრეთ კარეს კრეატიული ვარცხნილობის ვარიაციებზე?**
4. **სად და როგორ წარმოიშვა ვარცხნილობა „გარსონი“?**
5. **რა განსხვავებაა ვარცხნილობებს „პაჟსა“ და „სესუნს“ შორის?**
6. **აღწერეთ კარეს შეჭრის ტექნოლოგია.**
7. **რით განსხვავდება „კლასიკური“ და „ფეხებზე“კარე ერთმანეთისგან?**
8. **რომელი ტიპის თმისთვის არ არის რეკომენდებული ვარცხნილობა „ქუდი“?**
9. **აღწერეთ ვარცხნილობა „ბობის“ უპირატესობები.**
10. **რაში მდგომარეობს ვარცხნილობა „კასკადის“ განსხვავება სხვა დანარჩენი ვარცხნილობებისგან?**
11. **რა განაპირობებს ვარცხნილობა „კასკადის“ პოპულარობას?**
12. **რა განსხვავება ვარცხნილობების „კასკადისა და „კარეს “ შეჭრის ტექნოლოგებში?**

ვარცხნილობები მოკლე თმებისთვის

მოკლე თმისათვის დღეს არანაკლები არჩევანია ვარცხნილობებისა. ამ თავში თქვენ გაეცნობით მოდურ ვარცხნილობებს მოკლე თმისთვის, ასევე მათი შეჭრისა და ვარცხნის ტექნოლოგიებს.

ვარცხნილობა „ტალღა შუბლზე“



ვის მოუხდება ასეთი ვარცხნილობა? - სპორტული გარეგნობის ქალებს, რომლებთაც უყვართ სპორტული სტილით ჩაცმა. ეს ვარცხნილობა განსაკუთრებით უხდება ღია ფერის თმის მქონე ქალს, მათაც კი, რომელთაც ღია ვერცხლისფერი, ღია ნაცრისფერი ელფერი დაჰკრავთ.

როგორ თმას მოუხდება ეს ვარცხნილობა? - აქ პასუხი ერთმნიშვნელოვანია. რაც უფრო ხეხეში და ძლიერია თმა, მით უკეთესია. თუ თმა ბუნებრივად ტალღოვანია, ის მხოლოდ გააძლიერებს ეფექტს, „ტალღა“ უფრო მდგრადი იქნება.

რა არის მნიშვნელოვანი ასეთ ვარცხნილობაში? - რომ თმა გამყოფიდან ყურის შუა ნაწილს სწვდებოდეს, ხოლო კეფაზე - ნიკაპის დონეს (იხ. ზ. ფოტო). ამ ადგილას ის იჭრება ზიგზაგივით (კიბისებურად), რაც თავის ფორმას განსაკუთრებულ მომხიბვლელობას მატებს.

როგორ უნდა დავვარცხნოთ ვარცხნილობა? - თმაზე მსუბუქად წაუსვათ ლაქი, გავაშროთ ფენზე წამოცმული მსხვილი წრიული სავარცხელ-ჯაგრისით. შემდეგ კეფაზე თმა უნდა

ავაფუოთ, შუბლის ზემოთ თმა ძირებიდან ავწიოთ, ხოლო "ჩოლკის" ე.წ. "ტალღა" ჩამოვყაროთ სახეზე და შუბლზე.

მოკლე ვარცხნილობა "ჯაგრისი"

ვინ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ ვარცხნილობას? - თავისუფალმა სპორტული სტილის ქალებმა, რომლებთაც არ სურთ ბევრი დრო დაუთმონ თმის დავარცხნას.

რა სახის თმა მოუხდება ასეთ ვარცხნილობას? - ვარცხნილობა იმითაა კარგი, რომ მოუხდება ნებისმიერი სახის თმას. ერთადერთი, ყურადღება მიაქციეთ კეფის ფორმას, რამდენად სწორია და ლამაზი, რადგან ეს ვარცხნილობა მჭიდროდ ეკვრის თავს. ასევე ვარცხნილობის პატრონს არ უნდა ჰქონდეს ძალიან მრგვალი სახე და უნდა ჰქონდეს ლამაზი ფორმის ყურები.

როგორ იჭრება თმა ასეთი ვარცხნილობის დროს? - კიბისებურად, ***ეფილირების*** გარეშე, როცა მაკრატელი ჭრის კუთხურად თმისკენ, ცვლის მის დახრილობას, რაც ძალიან აწვრილებს თმის ბოლოებს. თავზე კეფის არის თმა და "ჩოლკა" "პოინტირდება" (თმის შეჭრის ტექნიკას, როცა მაკრატელი უკავიათ შვეულად). შეჭრის ასეთი მეთოდის უპირატესობა იმაშია, რომ შემდგომში შესაძლებელია ვარცხნილობის ძალიან ზუსტად მოდელირება.

როგორ უნდა დავვარცხნოთ ასეთი ვარცხნილობა? - ჯერ ხელისგულზე წავისვათ ცოტა მუსი და ხელებით ავჩეჩოთ "ჩოლკა". ამის მერე კიდევ ერთხელ გადავუსვათ ხელისგულები თმაზე, "ზრდის საწინააღმდეგოდ", თითქოს ვჩეჩავთ.



ვარცხნილობა "სოკო"მოკლე თმისთვის

ვის უხდება ასეთი ვარცხნილობა? - ნებისმიერი ასაკის სპორტული სტილის ქალებს.

როგორი თმა უხდება ასეთ ვარცხნილობას? - შეიძლება შეიჭრას როგორც სქელი, ისე თხელი თმა. ძალიან თხელი და მეჩხერი თმაც კი, საკმაოდ მოცულობითად გამოიყურება ასეთი ვარცხნილობის დროს. მეტი მოცულობის მისაცემად შეიძლება თმის ზოგიერთი კულულის გაღიავება.

რა არის მნიშვნელოვანი ამ შეჭრაში? - "ჩოლკა" ჩამოყრილია შუბლზე თვით კინკრიხოდან. ეს ხერხი მთელ ვარცხნილობას ვიზუალურად უფრო ფაფუკს ხდის. გვერდები კიბისებურად იჭრება ყურის ზედა კიდისკენ, საფეთქლები ოდნავ ეფილირდება, რაც მათ მოცულობას აძლევს. ზევით თმის სიგრძე უნდა იყოს დაახლოებით 7 სანტიმეტრი. კეფის ნაწილი იჭრება მოკლედ და კიბისებურად.

როგორ უნდა დავიყენოთ ასეთი ვარცხნილობა? - ზედა თმა უნდა გავაშროთ ფენზე წამოცმული მსხვილი წრიული ჯაგრისით, თან აჩეჩოთ. თუ თმა თხელია, მოცულობის მისაცემად საჭიროა მათი წინასწარ ქაფით ან მუსით დასველება. თმის ბოლოებზე წაუსვით გელი ან ცვილი და გაშალეთ.

"კიბისებური ბობი"



ვის მოუხდება ეს ვარცხნილობა? - სპორტულ ქალებს, რომელთაც უყვართ ბუნებრივობა და თმის მარტივად დაყენება.

როგორი თმა იქნება იდეალური ასეთი ვარცხნილობისთვის? - თხელი და ძლიერი თმა, ღრმა მოცულობითი კეფის ნაწილით. "კიბისებური ბობი" კარგად ფარავს შუბლზე ქოჩორს და "ანეიტრალებს" ძალიან გამოშვერილ ყურებს.

რა არის მნიშვნელოვანი ამ ვარცხნილობაში? - თმა თხემის ზონაში იჭრება მკაფიო კიდით. გვერდებში ოდნავ მოკლედ. ამისთვის თმას კონებით გადაქაჩავენ თავიდან. ამ ტექნიკით შეჭრილი თმა უფრო ფაფუკი ჩანს. კეფის ნაწილი იჭრება ნიკაპის დონეზე და ვიწრო ზოლზე კისრის ზევით მკვეთრად გადადის "ნანეტზე".

როგორ ჯობია ასეთი ვარცხნილობის დაყენება? - ჯერ დანამეთ თმა მუსი ფიქსატორით, მერე გააშრეთ ფენით წრიულ ჯაგრისზე. სანამ თმა ფენით შრება, ისინი ძირებიდან უნდა აიჩეჩოს ზრდის საპირისპიროდ. ბოლოს ვარცხნილობა ლაქით გავამაგროთ.



მოკლე ვარცხნილობა "თოჯინა"

ვის მოუხდება ასეთი ვარცხნილობა? - ახალგაზრდა, მოდის მიმდევარ ქალბატონებს, რომელთაც ხანდახან უნდათ მიიღონ გარეგნობა "რეტროს სტილში". ვარცხნილობის

ასიმეტრიული ფორმა მოუხდება მათ, ვისაც სურს ფართო ლოყების და ყვრიმალების ან სახის კანზე ნაკლის დაფარვა.

როგორია თმაა იდეალური ასეთი ვარცხნილობისთვის? - ხშირი, ოდნავ ხვეული თმები, უმჯობესია მბრწყინავი მუქი თმები. რაც უფრო მეტად ბრწყინავს თმა, მით უკეთესია. რა არის მნიშვნელოვანი "თოჯინის" შეჭრის დროს? ღრმა გვერდული გაყოფიდან თმა მოკლე მხარეს უნდა სწვდებოდეს ყურის ბიბილოს, ხოლო ამ ასიმეტრიული ვარცხნილობის გრძელ მხარეს ისინი ფაფუკად უნდა ეშვებოდნენ ნიკაპამდე. ბოლოებზე თმას ჭრიან მსუბუქი ზიგზაგით. "ჩოლკა" იქნება ირიბი, ხოლო საფეთქელი იჭრება საკმაოდ მკვეთრად.

როგორ უნდა დავვარცხნოთ ასეთი ვარცხნილობა? "ჩონჩხისებური" ჩვეულებრივი სავარცხლით და ფენით გაშრობის დროს თმა უნდა გადავვარცხნოთ უკნიდან წინ და პირიქით, რაც მას მეტ სიფაფუკეს მიანიჭებს. შემდეგ საჭიროა ვარცხნილობას მიეცეს კლიენტისთვის სასურველი ფორმა და დაფიქსირდეს ლაქით.

"პიორიშკები" («Перышки»)

ვის მოუხდება ასეთი ვარცხნილობა? - მოხდენილ ახალგაზრდა ქალებს, რომელთაც აქვთ ლამაზი ფორმის თავი, პატარა ყურები და გრძელი კეფა. ეს ვარცხნილობა მოუხდება ნაზ ქალებს.

როგორ თმას მოუხდება ასეთი ვარცხნილობა? - თხელ და ოდნავ ხვეულ თმას. თუ თმა ბუნებრივად არ იხვევა, მაშინ შეიძლება შუბლის ზევით მსუბუქი ქიმიური დახვევის გაკეთება.

რა არის მნიშვნელოვანი ასეთი შეჭრის დროს? - თმა იჭრება თანაბრად, მაგრამ ძალიან მოკლედ, მხოლოდ შუბლის ზევით ტოვებენ 4 სმ-ით უფრო გრძელს, ვიდრე სხვა

ადგილებში. კეფაზე თმას დამატებით ეფილირებას უკეთებენ ისე, რომ ისინი დაიყვანონ „ნანეტზე“, რათა გლუვად ეკვროდეს კეფას და ამავე დროს გამოიყურებოდეს „ბუმბულისებრ“.

როგორ უნდა დავარცხნოთ ვარცხნილობა? - თავიდან მოცულობის მოსამატებლად თმა უნდა დაინამოს ქაფით ან მუსით, მერე თითებით ვარცხნილობას მივცეთ საჭირო ფორმა. „ჩოლკა“ უნდა დაივარცხნოს „ დგომით“, ფენის და ჯაგრისის საშუალებით.

ვარცხნილობა „გარსონი“

ვის მოუხდება ეს ვარცხნილობა? - თავისუფალ, ბუნებრივ ქალებს. ასეთი ვარცხნილობის დროს თმა დგას თავისუფლად და დასავარცხნადაც იოლია.

რომელი თმაა იდეალური ვარცხნილობა “გარსონისთვის“? - ასეთ ვარცხნილობას უხდება სქელი ძლიერი თმა, რომლიც შეიძლება სწორიც იყოს და ოდნავ ხვეულიც. ნაცრისფერი ან ღია წაბლისფერი თმის შემთხვევაში, ასეთი ვარცხნილობისას მას მომხიბვლელობას შემატებს ღია ოქროსფერი ან სპილენძისფერი თმის ფენები.

რა არის მთავარი შეჭრის დროს? - თმა ივარცხნება გვერდითი კინკრიხოს ქოჩორიდან, ოსტატის მიერ იჭრება თავის გარშემო ყურების ზედა კიდის დონეზე. კეფის ნაწილი იჭრება კიბისებურად ოდნავ მომრგვალებული ფორმით. უკან ვიღებთ ცოტა თმას, სიმრგვალე რომ შენარჩუნდეს. გვერდითი ნაწილები და შუბლს ზევით თმა ოდნავ ზიგზაგისებურად ნარნარად გადადიან ერთმანეთში.

როგორ უნდა დავიყენოთ ასეთი ვარცხნილობა? - ჯერ დანამეთ თმა ქაფის ფიქსატორით. მერე, ფენით გაშრობის დროს თითებით „დავარცხნეთ“ ის ყველა მხარეს. ბოლოს, გელის საშუალებით წინ აჩეჩეთ თმის გვერდითა მხარეები. „ჩოლკა“ ფენით გააშრეთ ქვევიდან ზევით.

ვარცხნილობა „სველი კულულები“

ვის მოუხდება ასეთი ვარცხნილობა? - რომანტიკული ხასიათის ქალებს, რომელთაც უყვართ პრაქტიკულობა. ვარცხნილობა უხდება პატარა ქალურ თავებს (ვარცხნილობას უხდება ნატურალური მაკიაჟი და ხასხასა წითელი ტუჩები). ვარცხნილობა ცხიმიანი თმებისთვისაც ხელსაყრელია, რადგან მათი ზედმეტი ცხიმიანობა თვალში საცემი აღარაა „სველი ეფექტის“ ფონზე.

როგორი თმა მოუხდება ასეთ ვარცხნილობას? - კარგია, თუ თმა ბუნებრივად ხვეულია, ან ქიმიურადაა დახვეული. თმა უნდა იყოს თხელი მაგრამ არა მეჩხერი. მსგავსი ვარცხნილობა ძალიან ეფექტურად გამოჩნდება მუქ თმაზე და ხშირ წარბებზე.

რა არის მთავარი ასეთი შეჭრის დროს? - თმა ბლაგვად იჭრება მთელ თავზე არაუმცირეს 4 სმ სიგრძისა. გვერდებს და „ჩოლკას“ ჭრიან ცოტა გრძლად და ოდნავ „ფოჩებით“, ასე „კულულები“ უფრო ახლოს მიეკვრება სახის და თავის კონტურებს.

როგორ უნდა დავვარცხნოთ ასეთი ვარცხნილობა? დაბანის შემდეგ თმა გავამშრალოთ პირსახოცით, მერე დავიტანოთ ქაფიანი ფიქსატორი და მსუბუქად ავჩეჩოთ. შრება ჰაერზე. „სველი კულულების“ ეფექტის მისაცემად შევაზილოთ თმაში კრემი.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. რა არის მნიშვნელოვანი ვარცხნილობაში „ტალღა შუბლზე“?
2. რას უნდა მიექცეს ყურადღება მოკლე ვარცხნილობა ”ჯაგრისის” (”Щетка”) შემჭრისას?
3. რას ნიშნავს ეფილირება?
4. ტექნიკის რა თავისებურება და უპირატესობა ახასიათებს მეთოდს „პოინტირება“?
5. რა განსაკუთრებული მახასიათებლებით გამოირჩევა ვარცხნილობა ”სოკო”?
6. შეჭრის რა მნიშვნელოვანი მახასიათებლები აქვს ვარცხნილობას ”კიბისებური, ზიგზაგისებური ბობი”?
7. რა არის მნიშვნელოვანი ”თოჯინის” შეჭრის დროს?
8. რა არის მნიშვნელოვანი ”პიორიშკები” შეჭრის დროს?
9. რა არის მთავარი ვარცხნილობა „გარსონის“ შეჭრის დროს?
10. როგორი თმა უხდება ვარცხნილობას „სველი კულულები“?

საშუალო სიგრძის თმების ვარცხნილობები

ამ თავში თქვენ გაეცნობით სტილური ვარცხნილობების კოლექციას საშუალო სიგრძის თმებისთვის, ასევე მათი შეჭრისა და ვარცხნის ტექნოლოგიებს.

ვარცხნილობა „კარე“ საშუალო თმებისთვის



ვის უხდება ვარცხნილობა „კარე“? - უხდება ახალგაზრდა ელეგანტურ ქალებს. იმისთვის, რომ ვარცხნილობა კარგად იჯდეს, საჭიროა კეფაზე თმა რაც შეიძლება მეტი იყოს, და ასევე ქალებს არ უნდა ჰქონდეთ ძალიან მაღალი შუბლი.

როგორი თმაა იდეალური ვარცხნილობა „კარესთვის“ საშუალო თმებზე? - თხელიც და ნორმალურიც, მაგრამ თმა, შეძლებისდაგვარად უნდა იყოს სწორი, არა ხვეული. ის უხდება ქერათმიანებსაც და მუქთმიანებსაც.

როგორ იჭრება ასეთი ვარცხნილობა? - კინკრიხოდან კეფაზე ჩამოშვებული თმა უფრო მოკლეა და ოსტატი მას ჭრის კიბისებურად. რის საფუძველზეც თმა იღებს მომრგვალებურ ფორმას. გვერდებში - ერთნაირი სიგრძის თმაა. კეფის ქვედა მხარე, იჭრება მოკლედ და ციცაბოდ. ასეთი ვარცხნილობის დროს მნიშვნელოვანია, მუდმივად ფორმის დაცვა და დროულად პარიკმახერთან მისვლა.

როგორ დავიყენოთ ასეთი ვარცხნილობა? დავიტანოთ ქაფის ფიქსატორი და გავიშროთ თმა ფენის დიდ წრიულ ჯაგრისზე. მერე თმაზე დავისხათ ლაქი. სულ ბოლოს ვარცხნილობას ჯაგრისით უნდა მივცეთ საბოლოო სახე.

ვარცხნილობა საშუალო თმებისთვის

„ტალღოვანი ქუდი“

ვის უხდება ასეთი ვარცხნილობა? ვარცხნილობა „ტალღოვანი ქუდი“ უნიკალურია: ის უხდება ნებისმიერი ასაკი ქალბატონს და მისაღებია თანამედროვე მოდის ყველა მიმართულების დროს.

როგორი თმაა იდეალური ასეთი ვარცხნილობისთვის? - „ტალღოვანი ქუდი“ უხდება თხელ და ხვეულ თმას, სქელსა და ძლიერ თმას, შეიძლება ასევე, მსუბუქი ქიმიური დახვევაც.

როგორ შევჭრათ ასეთი ვარცხნილობა? რა არის მნიშვნელოვანი მისი არჩევის დროს? სწორ მდგომარეობაში თმა იჭრება ერთნაირ სიგრძეზე მთელ თავზე, შემდეგ თავისუფლად იშლება გვერდითი გაყოფიდან ორივე მხარეს. გრძელ მხარეს თმა ზიგზაგისებურად იჭრება ტალღებად, ანუ შუბლზე უნდა იყრებოდეს თავისუფლად. ასეთი ვარცხნილობისას ძალიან მნიშვნელოვანია მისი რეგულარულად შესწორება, რომ თმამ ფორმა არ დააკარგოს.

როგორ უნდა დავვარცხნოთ ეს ვარცხნილობა? - ქაფის ფიქსატორი დავიტანოთ ჯერ კიდევ ნამიან და პირსახოცით ოდნავ გამშრალ თმაზე. შემდეგ ოდნავ მოვსრისოთ თმა და გავაშროთ დიფუზორით. დიფუზორი არის ფენი სპეციალური საცმით, რომელიც ანაწილებს ჰაერის ნაკადს და არ არღვევს ვარცხნილობის ფორმას.

ვარცხნილობა „ნიკაპამდე“

ვის უხდება ასეთი ვარცხნილობა? - ნიკაპამდე ვარცხნილობა უხდება ქალებს, რომლებიც ამჯობინებენ ”ყველა დროის” შესაფერის ვარცხნილობას, კლასიკურ ჟანრს, რომელიც

მოდის გარეშე არსებობს, ამიტომ ეს ვარცხნილობა, ყოველთვის არის თანამედროვე და მოდური.

როგორი თმა უხდება ასეთ ვარცხნილობას? შეიძლება თხელი თმა, შეიძლება ასევე ხშირიც. ეს ვარცხნილობა უხდებათ ქერათმიან ქალბატონებს, თუმცა, ასევე ეფექტურად იყურება ის მუქ თმებზეც გაღიავებული კონებით. ვარცხნილობა უხდებათ მათ, ვისაც პატარა ცხვირი და მუქი წარბები აქვთ.

როგორ შევჭრათ ასეთი ვარცხნილობა? - თმა იყოფა გვერდზე, იჭრება ნიკაპის დონეზე მცირე ზომის კონებად. თან ამ დროს პარიკმახერი ოდნავ ქაჩავს თმის კონებს გვერდზე. შეჭრის ასეთი მეთოდის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ზედა თმა ოდნავ მოკლეა ქვედაზე, რაც ვიზუალურად ვარცხნილობას მოცულობას მატებს. შეიძლება "საბავშვო ჩოლკის" გაკეთება, შუბლის ზევით გამოიყოფა ერთი სანტიმეტრის სიგანის თმის ზოლი და იჭრება "ფოჩისებურად"(«бахрамой»).

როგორ უნდა დავვარცხნოთ ასეთი ვარცხნილობა? თმას ვაშრობთ ფენის პატარა წრიულ ჯაგრისზე და ვახვევთ გარე მხარეს, მერე ვაფუებთ სავარცხლით. ქვედა მიმართულებიდან ვასხამთ ცოტა ლაქს. შუბლზე "ჩოლკა" სწორად უნდა ჩამოივარცხნოს და დავტოვოთ ჰაერზე გასაშრობად.



ვარცხნილობა "შიდა ტალღა" («Внутренний вал»)

ვის უხდება ეს ვარცხნილობა? - უხდება ყმაწვილური ტიპის სახეს. თუ სახე მინიატურულია, მაშინ ის დაიკარგება ამ ვარცხნილობის თმის "ფუმფულა ტალღებში". ეს ვარცხნილობა უხდება მაღალი შუბლის და დაბალი კისრის მქონე ქალებს.

როგორი თმა უხდება ასეთ ვარცხნილობას? - უხდება ნებისმიერი ტიპის, მუქი, ჯანმრთელი თმა. ამ ვარცხნილობისთვის მისაღებია წაბლისფერი, კაკლისფერი ან ოქროსფერი ელფერისმქონე თმები.

როგორ იჭრება ასეთი თმა? - თმა მსხვილი კონებით ბლაგვად იჭრება ნიკაპის დონეზე, ამასთან, ზედა თმა იჭრება ქვედაზე ოდნავ მოკლედ. ამ ხერხით მიღებული "ტალღა" უკეთ დადგება. შუბლზე "ჩოლკა" რომ გავაკეთოთ, უნდა გამოვყოთ ერთი, ერთნახევარი სანტიმეტრის სიგრძის თმის ზოლი და შევჭრით "ფოჩისებურად" («бахрамой») წარბების დონეზე.

როგორ უნდა დავვარცხნოთ ასეთი ვარცხნილობა? - თმა უნდა გავაშროთ ფენის დიდ წრიულ ჯაგრისზე და ვახვიოთ კონები შიდა მხარეს. გაშრობის დასასრულს ენერგიულად დავვარცხნოთ თმა "ზრდის საპირისპიროდ", „გადავყაროთ" უკან და შევარხიოთ, ასე ის იოლად დალაგდეი საჭირო მიმართულებით.



ვარცხნილობა "პაჟი" საშუალო სიგრძის თმაზე

ვის უხდება ეს ვარცხნილობა? - "პაჟი" უხდება როგორც ტანად, ისე მინიატურულ ქალებს, როგორც ყმაწვილქალებს, ისე ასაკოვნებს. "პაჟი" უხდება სპორტული სტილის ქალებსაც და კლასიკის მოყვარულებსაც. ვარცხნილობას უხდება ნებისმიერი ფერის თმა.

როგორი თმა უხდება ამ ვარცხნილობას? - "პაჟი" შეიძლება გაკეთდეს როგორც თხელ, ისე ძლიერ თმაზე, მაგრამ უმჯობესია სწორი თმები, რადგან ტალღოვანი თმა რთული დასაყენებელი იქნება ამ ვარცხნილობაზე.

როგორ იჭრება ეს ვარცხნილობა? - ნებისმიერი სიგრძის შემთხვევაში თმები ბლაგვად იჭრება კონებით. "პაუის" დროს კეფაზე თმები იჭრება ყოველთვის ოდნავ მოკლედ, რადგან ეს ძალზე მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ თავის სწორად დაჭერისას თმა თანაბარი სიგრძისა ჩანდეს. "ჩოლკა" იჭრება თარაზულად სწორად წარბებამდე, საფეთქლიდან საფეთქლამდე.

როგორ უნდა დავვარცხნოთ ასეთი ვარცხნილობა? - თმა უნდა დავნამოთ ქაფით და გავაშროთ ფენით ისე, რომ "ჩონჩხისებური" სავარცხლით სხვადასხვა მხარეს „გადავყაროთ" თმა.



რკალისებური ვარცხნილობა

ვის უხდება ასეთი ვარცხნილობა? - უხდება მრგვალსახიან გოგონებს, ძლიერი კისრით და არც ისე ლამაზი ყურებით. ის ასევე უხდება მოუსვენარი ხასიათის ქერათმიანებს.

როგორი თმა იქნება იდეალური ასეთი ვარცხნილობისთვის? - თხელი და მეჩხერი თმა, ოღონდ კარგი იქნება თუ გავაღიავებთ შიგადაშიგ, რომ უფრო მოცულობითი გამოჩნდეს. კარგად გამოჩნდება ოქროსფერი მინი-კულულები ბოლოებში ჩალისფერში გარდამავალი.

როგორ იჭრება ასეთი ვარცხნილობა? - თმა იყოფა საკმაოდ ზევიდან, იჭრება რკალისებურად და ოდნავ მომრგვალებულად, უკან თმა იჭრება ნიკაპის დონეზე, წინ - ცხვირის წვერის დონეზე.

როგორ უნდა დავვარცხნოთ ასეთი ვარცხნილობა? თმაში უნდა შევაზილოთ ქაფის ფიქსატორი და გავაშროთ ფენით, თან უნდა წინ ვვარცხნოთ თმა საშუალო სისქის

წრიული ჯაგრისით. ამის შემდეგ დავაფიქსიროთ ვარცხნილობა ქვევიდან და ოდნავ ზედა მიმართულებით ლაქით.



ვარცხნილობა "ფოჩები" («Бахрома»)

ვის უხდება ასეთი ვარცხნილობა? - სპორტული სტილის ქალებს და ყმაწვილქალებს. ის კარგად და იოლად ივატცხნება, ამიტომ მოსახერხებელია იმათთვის, ვისაც ძალიან ცოტა დრო აქვს თავის მოსავლელად.

როგორი თმაა იდეალური ასეთი ვარცხნილობისთვის? - ნორმალური სისქის და ძლიერი თმა, ვარცხნილობა უფრო მუქთმიან ქალებს უხდებათ, ვიდრე ქერათმიანებს.

როგორ იჭრება ასეთი ვარცხნილობა? - კეფის და გვერდითი ნაწილები იჭრება ერთ სიგრძეზე, მაგრამ გვერდითი კონტურები, ისევე როგორც მოკლე "ჩოლკა", იჭრება "ფოჩისებურად". იმისთვის, რომ ბოლოები არ იყოს თანაბარი, ოსტატი ვარცხნილობას კიდევ ერთხელ უკეთებს "პოინტირებას", ამ დროს მაკრატელი მიდებულია თმის ბოლოებზე შვეულად, რაც ვარცხნილობის შესანიშნავი ფორმის მიღწევის შესაძლებობას იძლევა.

როგორ დავვარცხოთ ასეთი ვარცხნილობა? - ნამიან თმაზე შევაზელთ ქაფის ფიქსატორს, მერე ვაშრობთ ფენით ისე, რომ "ჩონჩხისებური" სავარცხლით თმებს ფენა-ფენა ვქაჩავთ სახის მიმართულებით. თუ ცოტა დრო გაქვთ, თმას იშრობთ ფენით და უბრალოდ იჩეჩავთ თითებით.



ვარცხნილობა „კიბისებური ტალღები“

ვის უხდება ეს ვარცხნილობა? -უხდება ვიწრო პროპორციული სახის მქონე ქალებს.

როგორი თმაა იდეალური ასეთი ვარცხნილობისთვის? - ძლიერ ხვეული თმა, შეიძლება იყოს ქიმიურად დახვეულიც. ვარცხნილობა უფრო უხდება მუქთმიან ქალებს, ვიდრე ქერათმიანებს.

რა არის მთავარი მისი შეჭრის დროს? - იმისთვის, რომ თმა კეფაზე იყოს ფაფუკი, ოსტატი მათ ჭრის საყელოს დონეზე ოდნავ კიბისებურად. გვერდებში საფეთქლების დონეზე თმები იჭრება ცერად.

როგორ უნდა დავვარცხნოთ ასეთი ვარცხნილობა? - ნამიან თმაში შევაზილოთ ქაფის ფიქსატორი და გადავვარცხნოთ უკან თმა მეჩხერკბილანებიანი სავარცხლით. შემდეგ გავაშროთ ჰაერზე, მერე თმის ცვილი ან "მასტიკა" ხელისგულებით წავუსვათ ვარცხნილობის კონტურებზე.

კლასიკური "კარე" ("ბობი")

ვის უხდება ვარცხნილობა "კარე"? - ყველა ახალგაზრდა ქალს, რომელსაც უყვარს კლასიკური სტილი, მაგრამ ამავე დროს სურს გამოიყურებოდეს თანამედროვედ. ეს ვარცხნილობა უხდება დაბალი შუბლის, ბრტყელი სახის და პუტკუნა ლოყების მქონე ქალებს.

როგორი თმაა იდეალური ”კარესთვის”? - ამ ვარცხნილობას უხდება როგორც თხელი, ისე ნორმალური ტიპის თმა.

როგორ იჭრება ასეთი ვარცხნილობა? - თმის ბოლოები ბლაგვად იჭრება წრეზე. ვარცხნილობის ბოლოები რომ მერე არ ”დაიგრიხოს”, უნდა შეიჭრას ყოველთვე.

როგორ დავვარცხნოთ ”კარე”? - დავასველოთ თმა ქაფით და დავვარცხნოთ ფენის დიდი წრიული ჯაგრისით, თმა დავქაჩოთ თავიდან და მივცეთ მოცულობა.

ვარცხნილობა ”ხვეული კარე”

ვის უხდება ასეთი ვარცხნილობა? - ყველა ახალგაზრდა ელეგანტურ ქალს, ვისაც ვიწრო სახე და მაღალი შუბლი აქვს.

როგორი თმა იქნება ვარცხნილობისთვის იდეალური? ეს ვარცხნილობა უხდება მსუბუქი ქიმიით დახვეულ ძლიერ ან ბუნებრივად ხვეულ თმას.

როგორ იჭრება ასეთი ვარცხნილობა? - მთელი თმა ივარცხნება უკნიდან წინ და თანაბრად იჭრება სახის წინ, გვერდებში - ნიკაპის დონეზე, ხოლო შუაში ისე, რომ თმა იყოს ცხვირის წვერის დონეზე. კეფის ნაწილს ბოლოს ასწორებს ოსტატი.

როგორ უნდა დავვარცხნოთ „ხვეული კარე“? - მთელ თმაზე უნდა წავუსვათ ქაფის ფიქსატორი და გავაშროთ დიფუზორით, რომელიც აშრობს თმა თბილი ჰაერით, მაგრამ არ ფანტავს. თუ თმის ბოლოები გარეთ აიპრიხება, მათი დახვევა შეიძლება თმის უთოთი საჭირო მიმართულებით.

ვარცხნილობა „კასკადი“ გრძელ თმებზე

თუ მოკლე ვარცხნილობისას („კიბისებურად“ ან „ზიგზაგისებურად“) თმა იწყება ნიკაპიდან ოდნავ ზევით, გრძელ თმაზე ვარცხნილობა „კასკადის“ დროს, ის იწყება შედარებით ქვევიდან - კისრის შუა ხაზიდან.

ვარცხნილობა „კასკადი“ გრძელ თმებზე, ვარცხნილობებს შორის ერთერთი ყველაზე ლამაზი და ამასთან ქალური ვარიანტი არის.

ბევრმა ქალმა იცის, რომ, თუ გრძელი აქვს და ხშირ შემთხვევაში თხელი, ან პირიქით, ზედმეტად ხეხეში თმა და ყოველთვის არ გამოსდით მისი ლამაზად დაყენება, მაშინ ვარცხნილობა „კასკადით“ გრძელ თმაზე ეს პრობლემა იოლად გადაიჭრება, რადგან ასეთი ვარცხნილობა ძალიან მოსახერხებელია, ადვილი დასავარცხნია, ამასთან გამოიყურება ძალზე ბუნებრივად.

ვარცხნილობა „კასკადი“ გრძელ თმაზე ერთნაირად კარგად ჩანს როგორც ღია, ისე მუქი ფერის თმაზე. თხელ თმას „კასკადი“ მოცულობას აძლევს, მით უმეტეს თუ დამატებით გაკეთდება ცალკეული კონების მელირებას ან ტონირებას.

ხშირ და ხეშეშ თმას სწორად დავარცხნის შემთხვევაში „კასკადი“ მატებს ბუნებრივობას და ჰარმონიულობას. ვარცხნილობა „კასკადი“ გრძელ თმაზე შეიძლება გაკეთდეს „ჩოლკით და „ჩოლკის“ გარეშე.“ჩოლკის“ ფორმა შეიძლება იყოს ნებისმიერი. თუ მოგრძო სახეა, უმჯობესია შეირჩეს სქელი გრძელი „ჩოლკა“ თვალებამდე. ის ვიზუალურად დაამოკლებს სახეს. თუ მრგვალი სახეა, მაშინ უფრო ირიბი „ჩოლკაა“ შესაფერისი.

ვარცხნილობა „კასკადი“ გრძელ თმაზე ფანტაზიის მეტ შესაძლებლობას იძლევა დავარცხნის დროს. შეგიძლიათ თმა რკინის თმის სახვევით დაახვიოთ რბილ შვეულ კულულებად და სპრეით დაამუშაოთ ბრწყინვალების მისაცემად. შეგიძლიათ შეაზილოთ თმაში ცოტა მუსი, დაახვიოთ ბიგუდებით, გააშროთ, ხოლო ბიგუდების მოხსნის შემდეგ კოხტად ხელით გაშალოთ მიღებული დალალები და დააფიქსიროთ ლაქით.

ვარცხნილობა „კიბეები“

ვარცხნილობა „კიბეები“ ერთერთი ყველაზე პოპულარული ქალური ვარცხნილობაა, რომელიც გათვალისწინებულია გრძელი თმისთვის. ის საკმაოდ რთული შესასრულებელია, რადგან ამ ვარცხნილობაში თმები კიბისებურად ისე უნდა შეიჭრას, რომ სიგრძეში მომიჯნავე კონები ერთმანეთში ნარნარად გადადიოდეს. და თან კინკრიხოზე თმები სხვა დანარჩენებზე უფრო მოკლეა, ხოლო თითოეული ქვედა ფენა წინაზე გრძელია. ვარცხნილობა „კიბე“ ყოველ მოდურ სეზონზე არ თმობს პოზიციებს და აქტუალური რჩება წლიდან წლამდე.

ვარცხნილობა „კიბეები“.

ვარცხნილობა „კიბეები“ კარგად გამოიყურება სქელ, ხეხეშ და ჯიუტ თმებზე, მაგრამ ის ხვეულ, ხუჭუჭ თმასაც უხდება. ამ ვარცხნილობას სპეციალისტები ურჩევენ თხელი, არახშირი თმების პატრონებსაც, რადგან ის ვიზუალურად ვარცხნილობას დიდ მოცულობას ანიჭებს. ერთადერთი პრომლემა თხელ თმაზე ისაა, ვარცხნილობა ყოველდღიურ მოვლას სჭიროებს. თუმცა თხელ თმას ყოველდღიური საგულდაგულო მოვლა და დაყენება ნებისმიერი ვარცხნილობის დროს სჭირდება.

კიბისებურად შეჭრილი თხელი თმა უნდა გავაშროთ ფენით. გაშრობისას ვიყენებთ ფენის სპეციალური საცმებს, რომლებიც ვარცხნილობას მოცულობას მისცემენ. კოსმეტიკური საშუალებებიდან თხელი თმების დაყენებისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ მუსს. კიბისებურად შეჭრილი თხელი თმის დასავარცხნად მცირე რაოდენობის მუსი უნდა დავიტანოთ ნამიან თმაზე და თანაბრად გავანაწილოთ მთელ სიგრძეზე, ხოლო მერე გავაშროთ ფენით.

ვარცხნილობა „კიბეები“ სქელი „ჩოლკით“.

ვარცხნილობა „კიბეები“ გვთავაზობს მრავალფეროვანი „ჩოლკების“ ფართო არჩევანს. მაგალითად, გრძელი ხშირი „ჩოლკა“. ასეთი „ჩოლკის“ გაკეთება შეიძლება, როცა კიბისებურად ვიჭრით თმას. „ჩოლკები“ შეიძლება იყოს ასიმეტრიული, „დაუდევარი“, ირიბი, დამოკლებული, შეიძლება საერთოდ არ იყოს. ვარცხნილობა „კიბე“ უნივერსალურია და ამიტომ არ მოითხოვს მკაცრ წესებს „ჩოლკის“ ფორმის არჩევისას. მაგრამ გასთვალისწინებელია სახის ფორმა და ფიგურის პროპორციები, რადგან ვარცხნილობა უნდა ჰარმონირებდეს პატრონის გარეგნობასთან და სტილთან.

ვარცხნილობა „კიბეები“ გრძელ თმაზე.

ვარცხნილობა „კიბეები“ თვალყურის დევნას საჭიროებს თმების ბოლოების მდგომარეობაზე. შუაზე გაყოფილი ბოლოები ყოვლად დაუშვებელია ამ ვარცხნილობისთვის, რადგან ისინი ქმნიან მთლიანად ვარცხნილობის დაუდევრობის და მოუწესრიგებლობის შთაბეჭდილებას. თუ ასეთი პრობლემაა, ანუ თმის ბოლოები

გეყოფილია, მაშინ კიბისებურად შეჭრის დროს გამოიყენეთ ცხელი მაკრატელი, რადგან ის თითქოს „აწებებს“ თმის ბოლოებს. ეს პროცედურა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხსნის გაყოფილი ბოლოების პრობლემას.

ვარცხნილობა „კიბეები“ მოკლე თმაზე.

ვარცხნილობა „კიბეები“ დაყენების მრავალ ვარიანტს გვთავაზობს. მაგალითად, ვარცხნილობის საოფისე ვარიანტი - მოაქუჩეთ თმები და შეკარით ზევით ან ქვევით „კუდივით“, ჩამოყარეთ რამდენიმე სიმეტრიული კულული სახეზე. ძალიან მარტივი ვარიანტი - დაბანილ და გამშრალ თმებზე გაკეთეთ ლამაზი ელეგანტური „აბადოკი“, რომელიც ამ სეზონზე მოდაშია ან თმაზე ერთი მხრიდან დაიმაგრეთ ლამაზი სარჭი.

ვარცხნილობა „კიბეების“ კიდევ ერთ ვარიანტი, თუმცა საკმაოდ შრომატევადი - თმის გასწორება უთოს დახმარებით. თმას ჩამოვყრით ქვევით და თანდათან ვასწორებთ ფენა-ფენა, ფენა-ფენა. ბოლოს თმაზე მთელ სიგრძეზე ვუსმევთ სპეციალურ საშუალებას სპრეის სახით, რომელიც მას ჯანმრთელ, ცოცხალ ბზვინვარებას აძლევს. კიბისებურად შეჭრილი კოხტა კულულები და დალალები არანაკლებ ეფექტურად გამოიყურებიან, ვიდრე უბრალოდ სწორი თმები. მოქნილი კულულების გასაკეთებლად გამოიყენეთ „ბიგუდები“, თმის უთო, დასახვევი რკინის თმის სახვევით. კულულები შემდგომში ფიქსირდება სხვადასხვა საშუალებებით, ხოლო მთელი ვარცხნილობა შეგიძლით გაამაგროთ ლაქით.

ვარცხნილობა „კიბეები“ „ჩოლკით“ ქერა თმაზე.

აღსანიშნავია, რომ ვარცხნილობა „კიბეები“ პოპულარულია არა მარტო ჩვეულებრივ ქალებს შორის, არამედ კინოს და ესტრადის ვარსკვლავებს შორის. სხვადასხვა დროს ვარცხნილობა „კიბეებს“ ატარებდნენ ჰოლივუდის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიცაა ჯენიფერ ენისტონი, რიზ უიზერსპუნი, პენელოპა კრუზი, პამელა ანდერსონი, ანჯელინა ჯოლი და მრავალი სხვა.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. არის მნიშვნელოვანი ვარცხნილობა „ტალღოვანი ქუდის“ არჩევის დროს?
2. რა არის დიფუზორი?
3. როგორ იჭრება ”საბავშვო ჩოლკა”?
4. რა უპირატესობები აქვს ვარცხნილობას ნიკაპამდე?
5. როგორი ტიპისა და ფერის თმისთვისაა მისაღები ვარცხნილობა ”შიდა ტალღა” ?
6. რა ტექნიკით იჭრება ე.წ. ტალღა ვარცხნილობა ”შიდა ტალღის” დროს?
7. როგორ იჭრება თმა „რკალისებური“ ვარცხნილობისას?
8. იმისათვის რომ ვარცხნილობას „კიბისებური ტალღები“ სიფაფუკე შესძინონ, შეჭრის რა ტექნოლოგიას იყენებენ?

თმის დახვევა

დახვეული თმა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მარტივი საშუალებაა, ლამაზად და განსხვავებულად გამოიყურებოდეს ადამიანი. დღესდღეისობით თმის დახვევა კიდევ უფრო პოპულარული ხდება, არა მხოლოდ ერთჯერადი მიზნებისთვის (წვეულება და სხვა) არამნედ ყოველდღიური მოხმარებისთვისაც.

თმის დახვევის რამდენიმე ხერხი არსებობს, მარტივიდან რთულ სალონურ პროცედურებამდე, რომლებსაც განვიხილავთ ამ თავში.

დავიწყოთ ყველაზე ტრადიციული და მარტივი ხერხებით - **ბიგუდები.**

ბიგუდები - თმის დახვევის ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტი. ისინი გამოიყენება როგორც სალონური ასევე სახლის გამოყენებისთვის. მათი გამოყენებით ხდება თმის დახვევა, ვარცხნილობისათვის სპეციალური ხვეულების მომზადება და სახლის პირობებში ბუნებრივი ხვეულების შექმნა.

ბიგუდები არსებობს რამდენიმე ტიპის:

ბიგუდი - ბუმერანგი



ეს ბიგუდები კეთდება სქელი, დრეკადი პარალონისგან და არის სხვადასხვა დიამეტრის.

ამ ტიპის ბიგუდებს სისქეც სხვადასხვა აქვთ და იმის მიხედვით თუ რა სისქის ხვეულები გსურთ ხდება მათი არჩევა. წვრილი ბიგუდი - ბუმერანგი წვრილ ხვეულას იძლევა, მსხვილი - მსხვილს.

ის საკმაოდ მოსახერხებელია იმ შემთხვევაში თუკი ღამე იხვევთ, ძილის დროსაც იტოვებენ.

ამ ტიპის ბიგუდების დასახვევად ხდება შემდეგი მოქმედებები. სუფთა, ნამიანი თმა უნდა დაყოთ ფენებად და დაახვიოთ ბიგუდ-ბუმერანგებზე. ამ დროს სასურველია მუსის გამოყენებაც. თმის თხემამდე დახვევისას დაგრიხეთ ბუმერანგი კვანძივით და დააცადეთ თმას გაშრეს. ხანდახან იყენებენ ფენსაც.



ბიგუდი - ზღარბი

ამ ტიპის ბიგუდებს ეს სახელწოდება დაერქვა გამომდინარე იქედან, რომ ისინი გარედან დაფარულია მცირე ზომის ბუსუსოვანი ეკლებით, ამ ბუსუსებიდან გამომდინარე ზედაპირი ხდება თითქოს წებოვანივით და მოკლე და საშუალო სიგრძის თმას იჭერს რეზინების, მეტალის და ყველა სხვა დამჭერის გარეშე. რაც შეეხება გრძელ თმას, ამ შემთხვევაში მაინც დაგჭირდებათ რამე ტიპის სამაგრი ამ ბიგუდების დასამაგრებლად.

ზღარბი ბიგუდების გამოყენებისას, თმა უფრო მალე და მარტივად შრება, მათი დიამეტრი შედარებით დიდია და თმა იწევა ძირებიდან, რაც ქმნის არაჩვეულებრივ მოცულობას.

ზღარბი ბიგუდების გამოყენების წინ, უნდა მოხდეს თმის გულდასმით დავარცხნა და სწორად დახვევა ინსტრუმენტზე, რათა თავიდან ავიცილოთ თმის აბურდვა და უარეს შემთხვევაში მოსაჭრელ კონდიციამდე მისვლა.

ხავერდოვანი ბიგუდი

ამ ტიპის ბიგუდებს ყველაზე ხშირად შეხვდებით სალონებში, მათი ზედაპირი ხავერდოვანია, ყველაზე მეტად ზოგავს თმას დაწიწკვნისა და აბურდვისაგან და ყველაზე მეტად გამოიყენება პროფესიონალების მიერ.

სახლის გამოყენებისთვის შედარებით ნაკლებად გამოიყენება, ძილი ამ ტიპის ბიგუდებით შეუძლებელია, ერთი რომ თავად ბიგუდი არ არის რბილი და მეორე სპეციალური სამაგრი ჯოხის გამო, რითაც მაგრდება თმა ბიგუდზე.

ხავერდოვანი ბიგუდები სხვადასხვა ზომისა და დიამეტრის არსებობს, რაც საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ნებისმიერი ზომის ხვეულა, ნებისმიერი სიგრძის თმისათვის.

არ აზიანებს თმას და იღებთ საოცარ შედეგს, მაგრამ გაითვალისწინეთ რომ ამ საშუალოდ 40 - 50 წუთი სჭირდება სასურველი შედეგის მიღწევას.

პარალონის ბიგუდი

პარალონის ბიგუდები ძალიან მარტივია სახლში გამოსაყენებლად, ადვილად მაგრდება თმაზე და არის ძალიან რბილი. მათში ძილიც შეიძლება. მაგრამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ სირბილის გამო ძილის დროს ეს ბიგუდები განიცდიან დეფორმაციას და შესაძლოა არასასურველ შედეგამდე მიგიყვანოთ.

დასახვევი კოჭა პერმანენტული დახვევისთვის

დასახვევი კოჭა (ცნობილი როგორც ე.წ. "კოკლუშკები") ძირითადად ქიმიური დახვევის დროს გამოიყენება. ამ ტიპის ბიგუდისგან შედარებით წვრილი და ხშირი გვეულები გამოდის. მიუხედავად გამეფებული აზრისა, რომ დასახვევი კოჭები პერმანენტული

დახვევის ინსტრუმენტია - მათი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაშიც დიდი წარმატებით შეიძლება. მათი მცირე დიამეტრის გამო ხვეულა გამოდის საკმაოდ წვრილი.

ძლიერი ფიქსაციის გელების გამოყენებით, თქვენ შეგიძლიათ პერმანენტული დახვევის გარეშე მიიღოთ იგივე ეფექტი.

Magic Leverage - ე.წ. ჯადოსნური ბიგუდი

ეს არის ყველაზე თანამედროვე ტიპის ბიგუდი, რაც არი ისე დიდი ხანია არსებობს ბაზარზე, მათი მეშვეობით ხდება ე.წ. ჯადოსნური ხვეულების შექმნა.

ჯადოსნური ბიგუდი ორმაგი სპირალური სახვევია, რომელისაც არ აქვს დამატებითი სამაგრები, სპეციალური ჯოხის დახმარებით ხდება თმის დამაგრება ამ ბიგუდებზე. თმას არ აზიანებს და დიდი დროც არ სჭირდება სასურველი ხვეულების მიღებას.

პლასტმასის თერმობიგუდი

პლასტმასის თერმობიგუდების ნაკრები, იდეალური საშუალებაა მათთვის, ვისაც ყოველთვის ეჩქარება და მცირე დრო რჩება თავისა და თმის წესრიგში მოსაყვანად - საშუალო სიგრძის თმაზე, ამ ტიპის ბიგუდებით თმის დახვევას სჭირდება 10-დან მაქსიმუმ 20 წუთამდე. ისინი მარტივია გამოსაყენებლად, აქვს ისეთი ფორმა რაც ყველა ქალბატონისთვის ცნობადია და ერთხელ მაინც ჰქონიათ შეხება ცხოვრებაში.

თერმობიგუდები გამოირჩევა სიმარტივით და გამოყენებული დროის სიმცირით. მათ მოყვებათ სპეციალური სადგამი, სადაც ხდება მათი გათბობა - გაცხელება წყლის მეშვეობით.

თერმობიგუდები არ აზიანებს და არ აშრობს თმას და მათ მიერ მიღებული შედეგი საკმაოდ დიდხანს სძლებს.

მეტალის ბიგუდი

მეტალის ბიგუდები ჯოხითა და რეზინით ერთ ერთი ყველაზე ტრადიციული და ისტორიული ინსტრუმენტია. მათი გამოყენება მრავალი ათეული წლის წინ დაიწყეს და დღემდე არის ზოგიერთ ოჯახში შემორჩენილი. თმას არ აზიანებს, მაგრამ რეზინისგან ხშირ შემთხვევაში

ხდებოდა ნაკეცების დატოვება თმის ხვეულაზე, რაც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ არააკურატულად გამოიყურებოდა.

ქიმიური დახვევა

ამ თავში გაეცნობით ქიმიური დახვევის სახეებს, დახვევისთვის მოსამზადებელ სამუშაოებსა და მისი შესრულების პროცესს. ასევე გაეცნობით ფიქსაჟის მოსამზადებლად პროპორციებს სხვადასხვა ტიპის თმისათვის.

ქიმიური დახვევა თმას აფუებს, ხდის მათ ფაფუკს, აძლევს მოცულობას, ზოგავს დროს. ქიმიური დახვევა არის ვარცხნილობის საფუძველი. არსებობს ქიმიური დახვევის რამდენიმე სახეობა. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს.

დასახვევი ჩხირების დიამეტრის შესაბამისად სრულდება **წვრილი, ნორმალური** ან **მსხვილი ქიმიური დახვევა.** მათი შესრულების წესები ქვევით იქნება აღწერილი. მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ თხელი თმა უმჯობესია წვრილად დავიხვიოთ. ხოლო საშუალო სისქის და ხშირი თმა -- ნორმალურად ან მსხვილად.

ქიმიური დახვევის სახეები

ძირისეული (ანუ თმის ძირებიდან) ქიმიური დახვევა. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა უნდათ თმას მოცულობა ძირებიდან მისცენ ან დაიხვიონ ადრე უკვე დანახვევი წამოზრდილი თმა. ძირისეული ქიმიური დახვევის დროს სპეციალურ **თმის დასახვევ კოჭაზე** ახვევენ კულულს მხოლოდ ძირიდან. ანუ ახვევენ არა მთლიან კულულს, არამედ მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრს ძირიდან. ქიმიური ხსნარით ასველებენ მარტო დასახვევ კოჭაზე დახვეულ თმას. შემდეგ კეთდება ყველაფერი ჩვეულებრივი წესით.

ქიმიური დახვევა ორ დასახვევ კოჭაზე. ასეთი სახის ქიმიური დახვევის შესრულების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ფენა ნახევრამდე იხვევა ერთ დასახვევ კოჭაზე, ხოლო მერე ახვევენ მეორეზეც. შედეგად ვიღებთ სხვადასხვა სისქის კულულს: ბოლოში წვრილს, ხოლო ძირებში მსხვილს. შესრულების ტექნოლოგია იგივეა.

სპირალური ქიმიური დახვევა (გრძელდასახვევ კოჭაზე). სრულდება გრძელ თმაზე (მხრებამდე და ქვევით). გამოაცალკავებენ თმის კულულს და ახვევენ სპირალურად ჩვეულებრივი წესით (ზონების მიხედვით).

მოდელური ქიმიური დახვევა ნაწნავზე ან „ლახტზე“ („на жгут»). სრულდება ჩვეულებრივი დასახვევი კოჭების დახმარებით. ვიღებთ თმის ფენას, ვწნავთ და გადავახვევთ ლახტით. მერე ვახვევთ ნაწნავს ან ლახტს დასახვევ კოჭაზე სპირალურად ძირებიდან ბოლოებიკენ. თმის სიგრძე უნდა იყოს მხრებამდე და უფრო ქვევით.

ქიმიური დახვევა „სარჭზე“ («на шпильку»). თმების სიგრძე უნდა იყოს მხრებამდე. სრულდება სველ თმაზე. კულული იხვევა სარჭზე, რომელიც არაა დამზადებული ლითონის მასალისგან. სარჭის ნაღუნი მდებარეობს ძირებთან, ფენა იხვევა სარჭის გარშემო ძირიდან ბოლოებისკენ. თმის ბოლოებს ამაგრებენ ჩვეულებრივი რეზინით. ასეთი ხერხით გაკეთებული ხვეულას ფორმა ჰგავს „გველს“. შესრულების ტექნოლოგია ჩვეულებრივია.

ქიმიური დახვევა შვეულად განლაგებულ დასახვევ კოჭაზე. თმის მაქსიმალური სიგრძეა მხრებამდე. კონები დავახვიოთ დასახვევ კოჭაზე და დავალაგოთ შვეულად. ამისთვის საჭიროა, თავის თმიანი საფარველი გავყოთ შვეული გაყოფით შუბლის შუა ნაწილიდან კისრის შუაგულამდე, გავყოთ ქვედა კეფის არე გაყოფით („пробором») ყურიდან ყურამდე. და ასევე ჩავატაროთ ფრონტალური თხემის გაყოფა. დახვევას ვიწყებთ ქვედა კეფის არიდან. ამ არის შუაგულიდან, შუბლის შუიდან კისრის შუამდე გაყოფის პარალელურად, გამოვყოფთ შვეულ კულულს და ვახვევთ დასახვევ კოჭაზე შვეულად. ასე ვმოძრაობთ გამყოფი ხაზიდან ჯერ ერთ მხარეს და შვეულად (ვერტიკალურად) ვახვეთ ყველა კულულს. მერე იგივეს ვაკეთებთ გამყოფის მეორე მხარეს. დაწყებული ცენტრალური გაყოფიდან იგივე წესით ვახვევთ დანარჩენ არეებს. ქიმიური დახვევის შესრულების წესი იგივეა.

თმის სტრუქტურის „მოტეხვა“ , ეს არის ცოტა ხნით ორ დასახვევ კოჭაზე დახვევა. გამოიყენება იმისთვის, რომ სქელი ხეშეში თმები გახდეს უფრო დამყოლი.

მოსამზადებელი სამუშაოები

ქიმიური დახვევა ყოველთვის სრულდება სუფთა თმაზე. დაწყების წინ ჰკითხეთ კლიენტს, როგორ გრძნობს თავს, რადგან ქიმიური დახვევა შეიძლება არ გამოვიდეს შემდეგი ფაქტორების არსებობისას: ავადმყოფობა, სტრესი, ორსულობა, ძუძუთი კვება, „კრიტიკული“ დღეები, ანტიბიოტიკებით და ჰორმონალური პრეპარატების მიღება.

თუ კლიენტის თმა შეღებილია ლითონის შემცველი საღებავებით (ურზოლი, ფუქსინი, საღებავი „გამა“) ქიმიური დახვევის გაკეთება არ შეიძლება!

მოსამზადებელი სამუშაოების ეტაპები:

1. ჯერ უნდა შეამოწმოთ კლიენტის ორგანიზმის რეაქცია ქიმიურ ნივთიერებებზე, რომლითაც დახვევას აპირებთ. ამისთვის რამდენიმე წვეთი დაასხით მაჯის შიდა მხარეს და 10 წუთი დაიცადეთ. თუ ადგილი გაწითლდა, კლიენტს ალერგია აქვს ამ პრეპარატზე. მაშინ სცადეთ ქიმიური დახვევის სხვა პრეპარატი. თუ მასზეც ალერგიული რეაქცია მისცა, მაშინ დახვევაზე უარი უნდა უთხრათ.

2. ქიმიური დახვევის სახეობა და მისი შესრულების ტექნოლოგია შეარჩიეთ თმის სტრუქტურისა და მდგომარეობიდან გამომდინარე. მაგალითად, თუ თმები თხელია და არა ხშირი, მაშინ უკეთესია წვრილად დაახვიოთ, რომელიც მოკლე ვარცხნილობაზე სრულდება. თუ თმები ჭაღარაა, მაშინ მისი რქოვანი ფენის დასარბილებლად ქიმიური დახვევის წინ წაუსვით წყალბადის ზეჟანგის 6-7%-იანი შემადგენლობა და გააჩერეთ 15 წუთი. შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და გაიშრეთ თმები. თუ თმები ძალიან არის გაუფერულებული, შეამოწმეთ, იხვევა თუ არა საერთოდ. დაახვიეთ თმები დასახვევ კოჭაზე, არ დაასველოთ არც წყლით, არც ქიმიური შიგთავსით. 10 წუთის მერე გახსენით ჩხირი. ფენამ უნდა გაიკეთოს ხვეულა.

3. ახლა ქიმიური დახვევის ბევრი საშუალებაა, ხშირად დახვევის პრეპარატთან ერთად კომპლექტს მოჰყვება მაფიქსირებელი შიგთავსი. ქიმიური დახვევის პოპულარული პრეპარატია „ლოკონი“. მწარმოებლები გვირჩევენ მის გამოყენებას მხოლოდ ჯანმრთელ თმაზე. მაგრამ თუ თმა სუსტია და გამოფიტული, შესაძლებელია „ლოკონის“ მოქმედების შესუსტება, თუ თმას წინასწარ დავასველებთ და მხოლოდ ამის მერე დავიტანთ პრეპარატს.

ამრიგად, ქიმიური დახვევისთვის საჭიროა:

- „ლოკონი“ ან რაიმე სხვა პრეპარატი ქიმიური დახვევისთვის

- დასახვევი კოჭები ან ჯოხები (ხის ან პლასტმასის)
- მცირე ზომის ქაღალდის ოთკუთხედები („კალკი“) თმის ბოლოების დასამაგრებლად. ის ამარტივებს დახვევის პროცესს
- პორალონის ორი ღრუბელი
- კერამიკის ან პლასტმასის ორი ჯამი (დაახლოებით 150-200 მგ მოცულობის)
- რეზინის ხელთათმანები
- სავარცხელი „კუდი“
- საზომი ჭიქა
- მინიმუმ ორი პირსახოცი
- წყალგაუმტარი მოსასხამი
- თმის შამპუნი და ბალზამი
- 33%-იანი პერჰიდროლი ან ჰიდროპერიტის აბები (მაფიქსირებელი შიგთავსის მოსამზადებლად)

ინსტრუმენტები და ნივთები არ უნდა იყოს ლითონის, რადგან ლითონი შეიძლება რეაქციაში შევიდეს ქიმიური დახვევის პრეპარატთან, რამაც შეიძლება დამწვრობა გამოიწვიოს.

ქიმიური დახვევის შესრულების პროცესი

1. თმის საფარი დაყავით ზონებად: რუსული П-ს მსგავსი გაყოფით გამოყავით თხემის არე, გააგრძელეთ П-ს მსგავსი გაყოფა კისრამდე, ამით გამოყოფთ ზედა კეფის და ქვედა კეფის შუა ნაწილს. გააკეთეთ ფრონტალური თხემის გაყოფა (ყურიდან ყურამდე კინკრიხოს გავლით) და გაყოფა, რომელიც გამოაცალკავებს ზედა და ქვედა თხემის არეებს (კეფის ბორცვების გავლით).





2. თუ თმა სუსტია, გამოფიტული ან ძლიერ გაუფერულებული, საჭიროა ოდნავ მათი წყლით დასველება. ისევე ვიქცევით, როგორც მსუბუქი ქიმიური დახვევის დროს.

3. თავის ზედაპირის სხვადასხვა ადგილას ტემპერატურა განსხვავდება. თხემის ზონაში ის უფრო მაღალია, ვიდრე სხვა დანარჩენ ადგილას. ამიტომ თხემის არეს ახვევენ ყველაზე ბოლოს.

4. დასახვევი კულულის სისქეზეა დამოკიდებული, თუ რა სისქის ხვეულა გვინდა მივიღოთ. რაც უფრო თხელია კულული, მით უფრო პატარა იქნება ხვეულა. კულულის სიგანე არ უნდა აღემატებოდეს დასახვევი კოჭას სიგანეს. დახვევის დროს თმის ფენას ვვარცხნით თავის პერპენდიკულარულად. ფენა თანაბრად უნდა იყოს განაწილებული დასახვევ კოჭაზე. დახვევისას კოჭა ხან ერთ მხარეს დახარეთ, ხან მეორე მხარეს, რათა კიდეები კარგად დაიჭიმოს. კულული კოჭზე მჭიდროდ უნდა იყოს დახვეული.

5. ჯერ ვახვევთ კეფის ზედა და ქვედა არეებს (მათ შუა ნაწილს, რომელიც გამოვყავით П-ს მსგავსი გაყოფით). ფრონტალური თხემის გაყოფის ადგილას ვაცალკავებთ კულულს, ვვარცხნით თავის პერპენდიკულარულად. ბარაქიანად ვასველებთ „ლოკონით“ („ლოკონს“ წინასწარ ვასხამთ ჯამში და ვურევთ ქაფის გაჩენამდე), კულულის ბოლოებს ვახვევთ ქაღალდში, ვახვევთ კოჭზე და ვამაგრებთ რეზინით. ასე მივყვებით ზევიდან ქვევით კისრისკენ. კოჭებზე კულულებს ვახვევთ თმის ზრდის მიმართულებით.

6. ვახვევთ გვერდით არეებს, შემდეგ საფეთქლის არეებს (ასევე ვმოძრაობთ ზევიდან ქვევით).

7. ბოლოს ვახვევთ თხემის არეს, მივყვებით ფრონტალური თხემის გაყოფიდან „ჩოლკისკენ“.

8. მას მერე, რაც დაახვიეთ მთელი თავი, კიდევ ერთხელ ააქაფვეთ „ლოკონი“ ღრუბელით ჯამში, ბარაქიანად დაასველეთ დასახვევ კოჭებზე დახვეული კულულები. ეცადეთ ბოლომდე გაიჟღინთოს. მერე კლიენტს თავზე წამოაცვით პოლიეთილენის პაკეტი და შემოახვიეთ პირსახოცი. ქიმიური რეაქციისთვის საჭიროა სითბო. თმაზე შიგთავსის მოქმედების დრო უნდა იყოს მითითებული ინსტრუქციაში, რომელიც თან მოყვება პრეპარატს.

9. ჩვეულებრივ მინიმალური დროა 10 წუთი, მაქსიმალური - 25 წუთი. ათი წუთის შემდეგ ნახეთ, გაიკეთა თუ არა ხვეულა. ამისთვის ოდნავ გახსენით კოჭა (მაგალითად, თხემის ზონაში) და დააკვირდით ხვეულას მდგომარეობას. თუ თმის ფენა გახსნილ მდგომარეობაში S-ის მსგავს ფორმას ინარჩუნებს, ე.ი. ხვეულა ჩამოყალიბდა (ანუ თმა დაიხვა) და შეიძლება დაყოვნების დროის შემცირება.

10. მას მერე, რაც პრეპარატი „ლოკონის“ მოქმედების დრო გავიდა, კოჭების გაუხსნელად, შიგთავსი ჩამობანეთ თბილი წყლით. შეამშრალეთ პირსახოცით და მოემზადეთ ფიქსაჟისთვის.

ფიქსაჟის მომზადება

ფიქსაჟი ნორმალური თმისთვის: შეურიეთ 33%-იანი პერეჰიდროლის 1 ნაწილი, სქელი შამპუნის 1 ნაწილი, თბილი წყლის 7 ნაწილი ერთმანეთში.

ფიქსაჟი გაუფერულებელი თმითვის - 33%-იანი პერეჰიდროლის 1 ნაწილი, შამპუნის 1 ნაწილი, წყლის 10 ნაწილი.

მაფიქსირებელი შიგთავსი ააქაფვეთ ფიქსაჟის ღრუბელით. ***არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ „ლოკონში“ ნახმარი ღრუბელი***. ბარაქიანად დაადეთ ჩხირებზე დახვეულ თმებზე. ფიქსაციის დროა 12-15 წუთი. შემდეგ მოხსენით ჩხირები, მაგრამ თმები არ დავარცხნოთ. მათზე დაადეთ მაფიქსირებელი შიგთავსი კიდევ ერთხელ და თმებს მასაჟი გაუკეთეთ. გააჩერეთ 5 წუთი. შემდეგ კარგად დაბანეთ თავი წყლით. ფიქსაჟის მოქმედება რომ განეიტრალდეს, დაადეთ თმებზე გადასავლები ბალზამი ან სამკურნალო ბალზამი. ქიმიური დახვევის პროცესი დამთავრებულია. ახლა შესაძლებელია თმის ბოლოების ან მთლიანად მისი შეჭრა.

რჩევები:

რა წესები უნდა დაიცვას კლიენტმა ქიმიური დახვევისას? - კლიენტმა უნდა დაიცვას ზოგიერთი წესი. ახლად დახვეული კულულები ძალიან მგრძნობიარეა. მათ სჭირდებათ დრო (2-3 დღე საბოლოო გამაგრებამდე). ამიტომ თმის დაბანა შეიძლება დახვევიდან მხოლოდ მესამე დღეს. ხოლო მანამდე არ შეიძლება მათი დავარცხნა ჯაგრისით ან წვრილკბილანებიანი სავარცხლით, რადგან თმები არ გასწორდეს. ქიმიური დახვევის დასავარცხნად გამოიყენება სავარცხელი გრძელი მეჩხერი კბილანებით (იხ. ინსტრუმენტები). უმჯობესია ამ სავარცხლით სარგებლობა შემდგომშიც, განსაკუთრებით, თუ ქიმიური დახვევა დაგრძელებულ თმაზეა გაკეთებული. ასევე აკრძალულია 3-4 დღის განმავლობაში თმის ფენით ან უთოთი დაყენება, თერმობიგუდებზე დახვევა.

კიდევ რამდენიმე რჩევა, რომელიც გამოსაყენებელია თმის მოვლისას ქიმიური დახვევის შემდეგ. დაბანის შემდეგ აუცილებელია გადასავლები ბალზამის ან ბალახების ნაყენის (გვირილა, ჭინჭარი, პიტნა) გამოყენება, რადგან ქიმიური პრეპარატები ცვლიან თმის ბუნებრივი სტრუქტურას. ეს კარგად იმოქმედებს თმის გარეგნულ იერზეც. დაახლოებით ოთხ კვირაში ერთხელ, შეიძლება უფრო ხშირადა,) შეიჭერას თმის ბოლოები. ეს აცოცხლებს კულულებს.

თმის შეღებვა შეიძლება ქიმიური დახვევიდან ერთი კვირის შემდეგ.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. დასახვევი ჩხირების დიამეტრის მიხედვით, ქიმიური დახვევის რა სახეებს იცნობთ?
2. ჩამოთვალეთ ქიმიური დახვევის სახეები.
3. რა შემთხვევაში გამოიყენებათმის ძირისეული ქიმიური დახვევა?
4. რაში მდგომარეობს ორ ჩხირზე ქიმიურად თმის დახვევის თავისებურება?
5. რას ნიშნავს თმის სტრუქტურის „მოტეხვა“ და როდის გამოიყენება ის?
6. როგორ მუშავდება ჭაღარა თმა ქიმიური დახვევისას?
7. როდისაა შესაძლებელი დახვეული თმის დაბანა?
8. ბიგუდების რამდენ ტიპს იცნობთ?
9. რა ტიპის ხვეულებს ქმნის ბიგუდი - ბუმერანგი?
10. რა ეფექტს იძლევა ბიგუდი - ზღარბი?
11. საშუალოდ რა დრო სჭირდება თერმული ბიგუდებით თმის დახვევას?
12. როგორ მაგრდება თმაზე ე.წ. ჯადოსნური ბიგუდები?

თმის გასწორება

თმის გასწორების რამდენიმე ხერხი არსებობს, მათ შორის დროებითი (ხანმოკლე ეფექტის) და ხანგრძლივი ეფექტის.

თმის გასწორებისთვის არის შექმნილი სპეციალური შამპუნები და სხვა გასასწორებელი საშუალებები, რომლებითაც დაბანის შედეგად თმა გაშრობის შემდეგ არის მეტად სწორი ვიდრე ჩვეულებრივ.

თმის გასწორების ყველაზე გავრცელებული და მარტივი ხერხი **არის თმის გასწორება ფენით.**

ფენით თმის გაშრობისთვის აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ამ პროცედურის ხშირი გამოყენება აზიანებს თმას, ამიტომ აუცილებელია ფენით თმის გასწორებამდე გამოვიყენოთ სპეციალური თერმო დამცავი სპრეები, რომლებიც იცავს თმას ჰაერის ცხელი ნაკადის ზემოქმედებისგან.

ფენით თმის გაშრობა არ არის ხანგრძლივი პროცესი, საშუალოდ 30-50 წუთი გრძელდება და ეფექტი აქვს თმის შემდგომ დაბანამდე.

თმის გაშრობა ფენით ხდება შემდეგი ინსტრუმენტებით: სავარცხელი მასაჟორი - ძირების აწევისა და მოცულობის მიცემისთვის, ჯაგრისი სავარცხელი - უშუალოდ თმის გასწორებისთვის, სპეციალური სამაგრები, სველი თმის დასამაგრებლად იმ უბნებზე რომლებზეც მოცემულ მომენტში არ ხდება გასწორება და ფენი.

ფენით თმის გასწორება არის როგორც სალონური პროცედურა, ასევე მარტივად არის შესაძლებელი სახლის პირობებშიც.

ფენით თმის გასწორების შემთხვევაში, აუცილებელია რომ ცხელი ჰაერის ნაკადი მიმართული იყოს თმის ზრდის მიმართულებით, პირიქით მიმართული ჰაერის ნაკადი აზიანებს თმის დამცავ შრეს.

ფენით თმის გასწორებისას აუცილებლად უნდა იყოს თმა დაბანილი ბალზამითაც, რადგან ბალზამი ხდის თმას უფრო მორჩილსა და ელასტიურს და ანიჭებს მათ დამატებით ბზინვარებას.

სუფთა სავარცხლით უნდა დაივარცხნოს სველი თმა (ჯერ ბოლოები და შემდეგ ავდივართ ზევით - რათა არ მოხდეს თმის დაწყვეტა ვარცხნის პროცესში).

ვტოვებთ მხოლოდ იმ ფენას, რომელსაც ვასწორებთ, ხოლო დანარჩენ თმას ვეცავთ დანაყოფებად და ვამაგრებთ თავზე სპეციალური სამაგრებით.

თმის გასასწორებელ ფენას ვათავსებთ ჯაგრის - სავარცხელზე და ვაშრობთ ფენით ძირიდან ბოლოებისკენ მიმართულებით. ასე ხდება გასწორება მთელს თავზე.

ბოლოს ფენის ჰაერის ნაკადს ვარეგულირებთ შედარებით გრილ ტემპერატურაზე და გასწორებულ თმას ვუბერავთ გაგრილებულ თმის ნაკადს. ბოლოს კი ვვარცხნით.

თმის გასწორება თმის უთოთი

თმის უთოთი გასწორებაც მარტივი ხერხია და გამოიყენება ძირითადად სახლში თმის გასწორებისთვის, ან სალონებში თმის მოსამზადებლად ვარცხნილობისთვის.

უთოთი თმის გასწორება ხდება უფრო ნაკლებ დროში ვიდრე ფენით.

თმის უთოს გამოყენებისას, ზალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტავად ისნტრუმენტის ხარისხის, და იმ დაფარვის ხარისხს სადაც თავსდება თმა. აუცილებელია მაქსიმალური ყურადღება მიექცეს ისნტრუმენტის ხარისხს.

უთოს ხშირი გამოყენებაც აშრობს და აზიანებს თმას, ამიტომ რეკომენდებულია ამ შემთხვევაში თერმოდამცავი სპრეების გამოყენება.

უთოს დადება სველ თმაზე არ შეიძლება, აუცილებელია თმის შეშრობა. ამის შემდეგ ხდება თმის დაყოფა ზონებად და დამაგრება თავზე. რჩება მხოლოდ ის ფენს, რომელსაც ვასწორებთ.

სასურველია რომ გასწორება მოხდეს ერთი ჩამოსმით და თმის არც ერთი ნაწილი დიდხანს არ გავაჩეროთ უთოში.

თმის გასწორება კერატინით

კერატინი წარმოადგენს ცილოვან ნივთირებას, რომელიც შედით ჩვენი თმის შემადგენლობაში.თმა შედგება ძირითადად ცილა კერატინისგან. ჯანსაღი თმის ქიმიური შემადგენლობა ასეთია : 15% წყალი, 6% ლიპიდები, 1% პიგმენტი, 78% ცილა.

კერატინით დამუშავებისას, შრატის მოლეკულები ავსებენ თმის ფორებს და ამდიდრებენ თმის სტრუქტურას კერატინით - პროტეინით, რომლისგანაც 90%-ით შედგება თმა, ამით უმჯობესდება თმის სტრუქტურა ანუ მიიღწევა ორმაგი ეფექტი - თმის გაჯანსაღება და გასწორება.
პროცედურა იწყება თმისა და კანის ზედმეტი ცხიმისგან გაწმენდა - გასუფთავებით, შემდეგ ხდება თმაზე შრატის დატანა. შრატის მოქმედების პერიოდის გასვლის შემდეგ (45 წუთი) ხდება თმის გაშრობა ფენით და შემდეგ სწორდება სპეციალური უთოთი.
გასწორების შემდეგ თმა დაიბანება სპეციალური შამპუნით და გაშრობის შემდეგ ჩანს პროცედურის შედეგი.

პროცედურის შემდეგ თმა ხდება ადვილად დასამორჩილებელი და საგრძნობლად ამცირებს თმის მოვლისა და დავარცხნისთვის საჭირო დროს. საუკეთესო შედეგი ნარჩუნდება 4 თვის განმავლობაში.

წესები, რომელთა გაცვა უნდა მოხდეს კერატინის გასწორების შემდეგ: 3 დღის განმავლობაში თმა არ უნდა დაიბანოს; მაქსიმალურად უნდა დავიცვათ თმა სისველისგან: თოვლის, წვიმის ზემოქმედებისგან; ეს სამი დღე შხაპის მიღება სასურველია მხოლოდ რეზინის ქუდით.

ამ ვადის გასვლის შემდეგ, სასურველია თმის სპეციალური კერატინიანი თმის მოვლის შამპუნით და კონდიციონერით დაბანა.

არ არის რეკომენდებული პროცედურის შემდეგ თმის ზღვის წყალში დასველება, ხოლო თუ ეს მაინც მოხდა, მაშინ იმთავითვე უნდა მოხდეს თმის დაბანა ონკანის წყლით.

აუცილებელია პროცედურის ჩატარება მოხდეს სტანდარტის მიხედვით, გართო დაწესებულებაში, სადაც არის სპეციალური გამწოვები და ჰაერი ნიავდება.

რაღაც პერიოდის შემდეგ ხდება თმის ბოლოების დაყოფა და აუცილებელი ხდება მათო მოჭრა. კერატინით გასწორების შემდეგ ხდება თმის მოცულობის შემცირება - ეს აუცილებლად უნდა აცნობოთ ადამიანს, ვინც იკეთებს ამ პროცედურას.

აუცილებელია კერატინით თმის გასწორების წინ, მოხდეს კლიენტთან გასაუბრება, ხომ არ არის ალერგიული. რადგან პრიოცედურამ შესაძლოა გამოიწვიოს ალერგია და ცრემლდენაც კი.

აუცილებლად უნდა მოხდეს ამ პროცედურის დაწყებამდე თავის უბნების გამოკვლევა, ხომ არ არის სადმე კანი გაჭრილი ან გაღიზიანებული.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კერატინით თმის გასწორებაიმ შემთხვევაში თუ დაფიქსირებულია თმის ცვენა.

არ არის რეკომენდებული ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში.

თმის აბრეშუმისებრი გასწორება (SILIS)

სილისის მეთოდით თმის აბრეშუმისებრი გასწორება, არის თმის გასწორების სფეროში ყველაზე ინოვაციური ტექნოლოგია.

ეს არის თმის პერმანენტული გასწორების ხერხი, რომლის შედეგიც 6 თვის მანძილზე რჩება. ფორმულა გაჯერებულია აქტიური მკვებავი კომპონენტებით, არ შეიცავს ფორმალდეგიდს და სხვა ევროპაში აკრძალულ ნივთიერებებს;

იძლევა საშუალებას შეიღებოს თმა ზუსტად იმ ფერში იმავე დღეს.

სილისის მეთოდით აბრეშუმისებრი გასწორება შესაძლებელია იყოს ცივი - უთოს გამოყენების გარეშე, და ცხელი.

SILIS SILK გვთავაზობს 3 ტიპის მომსახურებას მომსახურებას ერთად: მოცულობის დაწევა, ბრაზილიური გასწორება, იაპონური სიგლუვე.

შედგება **ორი პრაქტიკული ნაკრებისაგან** თმის სხვადასხვა ტიპისათვის:

Silis 1 Basic - ნორმალური და მტრევადი თმისთვის

Silis 2 Strong – უხეში თმისთვის

პროცედურისთვის საჭირო პროდუქცია:

Neutralizing Silis Aqua Gel (მაფიქსირებელი კონდიციონერი)

მას გააჩნია განსაკუთრებული კონსისტენცია, რისი წყალობითაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ოსტატის სავარძელში. შეიცავს მაკონდიცირებელ პოლიმერს Polyquaternium, რომელიც აფიქსირებს გასწორების შედეგს, აღადგენს თმის ქერცლებს, აღმოფხვრავს მისი ზედაპირის ნებისმიერ უსწორობას. თმა ხდება აბრეშუმივით გლუვი, მორჩილი

Silis 1 Basic / Silis 2 Strong (კრემი)

სპეციალური კრემი რბილი ტექსტურით ცხელი (უთოს გამოყენებით) ან ცივი, მუდმივი ან დროებითი გასწორების პროცედურისთვის. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას უშუალოდ ოსტატის სავარძელში. შეიცავს სერიცინს - აბრეშუმის პროტეინებს თმის სტრუქტურის მსგავსი სტრუქტურით. კრემის დატანებისას სერიცინი იქმნის თმაზე დამცავ დამატენიანებელ თხელ ფენას. გარდა ამისა, კრემი შეიცავს ზეითუნის ზეთის წარმოებულებს, რომლებიც აპრიალებენ თმის ღეროს, აღადგენენ ლიპიდურ ბალანსს. ამის შედეგად ვღებულობთ მაქსიმალურად დელიკატურ და დამზოგველ, პროფესიონალულ, ეფექტურ და ხანგრძლივ თმის გასწორებას.

Silis Protective Serum (დამცავი შრატი)

დამცავი ლოსიონი ცხელი გასწორების პროცედურისათვის და თმის დასაცავად ცივი გასწორების პროცედურის დროს.

შეიცავს აბრეშუმის პროტეინების კომპლექსს, რომლებიც ამაგრებენ თმის ღეროს. შედეგი: კაშკაშა, რბილი და აბრეშუმისებრი თმა.

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ სტილისტმა, რომელიც აკეთებს ამ პროვედურას, შეისწავლოს კლიენტის თმა დეტალურად, თმის ტიპი და ტექსტურა.

პროცედურა საშუალოდ გრძელდება 2-დან 6 საათამდე და ეს ხანგრძლივობა არის თმის სიგრძესა და ფაქტურაზე დამოკიდებული.

ასევე თმის ტიპსა და ტექსტურაზეა დამოკიდებული საბოლოო შედეგიც.

პროცედურის გაკეთებიდან 3 დღის მანძილზე სასურველია მოხდეს თმის დასველებისგან თავის შეკავება.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. **თმის გასწორების რა ტიპებს იცნობთ?**
2. **რომელის თმის გასწორების მარტივი ტიპები?**
3. **თმის გასწორების რომელი ხერხების გამოყენება შეიძლება სახლის პირობებში?**
4. **რა ინსტრუმენტები გესაჭიროებათ თმის ფენით გასწორების შემთხვევაში?**
5. **თმის ხანგრძლივი გასწორების რა ტიპებს ვიცნობთ?**
6. **როგორ ხდება კერატინით გასწორებული თმის მოვლა მომდევნო დღეებში?**
7. **რამდენ ხანს სძლებს აბრეშუმისებრი გასწორების მეთოდით გასწორებული თმა?**

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა და საიტები:

1. Color Chemistry - Framesi

2. Martin Gennon, Richard Tompson - Mahogany Hairdressing: Steps to Cutting, Colouring and Finishing Hair

3. Наталья Брониславовна Шешко, Людмила Андреевна Ивлева
Профессия парикмахер.

4. Основы стрижки, окраски и укладки волос: М. Гэннон, М. Томпсон, 2003

5. Секреты красоты. 101 прическа с заколками: Коллектив, 2003

6. Энциклопедия домашнего парикмахера: М. Марченко, 1999

7. http://www.hairfinder.com/

8. Stage & Screen Hairstyles - Kit Spencer
A Practical Reference for Actors, Models, Hairstylists, Photographer, Stage Managers & Directors

9. Hairdressing: The Foundations - By Martin Green , Leo Palladino

10. Hairdressing & Barbering: The Foundations - The Official Guide to Level 2 - Leo Palladino / Martin Green

11. The Hair and Make-up Artist's Handbook: a Complete Guide for Professional Beverley Braisdell /Jennifer Lenard

12. Hairdressing Science - Florence Openshaw

13. The Ultimate Visual Guide to Hairstyles By Nicky Pope

14. A Head Start to Hairdressing - David Bendell, Elizabeth Tehan

15. http://www.framesirus.ru/uhod

16. http://www.onlymyhealth.com/topic/hair-care

17. http://www.haircaremanual.com/coloring-hair/how-long-to-wait-between-coloring-hair/

18. http://www.haircaremanual.com/dry-hair/ways-to-remove-and-prevent-split-ends/

19. http://www.haircaremanual.com/curly-hair/pros-and-cons-of-perming-hair/

20. http://www.hair.com/

21. volos-ok.ru

22. http://beautydream.ru/bigudi.html

23. http://rasti-kosa.ru/

24. http://triholog.com.ua/wash-hair/

25. http://www.hairfinder.com/

26. http://dailymakeover.com/how-to-wash-your-hair/

27. http://www.elle.com/beauty/hair/tips/g8062/healthy-hair-care-tips/

28. http://www.onlymyhealth.com/healthy-hair-1375769217.html

29. http://www.health.com/health/gallery/0,,20498923,00.html

30. http://menshair.about.com/od/haircaretips/a/haircare.htm

31. http://www.menshealth.co.uk/style/hair-care

32. http://www.herinterest.com/